PRIME Time

N41 (342) ორშაბათი, 19 ოქტომბერი 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

ასახავს თუ არა NDI საზოგადოების რეალურ განწყობებს და როგორია ალტერნატიული კვლევის შედეგები?

NDI

„სამჯერ მეტი პროცენტული მაჩვენებელი აქვს მმართველ გუნდს „ნაციონალებთან“ შედარებით. ცოტა უფრო მეტიც“

დიდი პოლიტიკური აფერა



რას გეგმავენ ნაციონალები არჩევნებზე

SCANDAL

პროკურატურამ თაროზე შემოდებული საქმეები ჩამოიღო

90-იანების სასტიკი დანაშაულები

პროკურატურა EXCLUSIVE უგულავას წინააღმდეგ

კონკრეტული შეთავაზება ნიკა გვარამიას - ღია ბოდიში ან სასამართლო პროცესი

საქმე დიდი ოდენობით ფულის ვათეთრებას ეხება

ინტერვიუ ბიზნესმენ გიორგი კაპანაძესთან

ექსკლუზივი

საიდან ჩაუვარდა კოლომოისკის ხელში სკანდალური კომპრომატები

„ყველა ყველაფერს იღებდა და ერთმანეთსაც უღებდნენ. შესაბამისად, ყველას ხელში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო. რა თქმა უნდა, შანტაჟისთვის და საკუთარი თავის დაცვისთვის“

„არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. კლანური დაპირისპირება არსებობს „ნაციონალურ მოძრაობაში“ და შესაძლოა, ეს ამ დაპირისპირების შედეგი იყოს“

„ეს კადრები სოციალურ ქსელში კოლომოისკის ტელევიზიიდან გავრცელდა“

EXCLUSIVE

SCANDAL

ექსკლუზიური ინტერვიუ გელა ჩივიაშვილთან

რა სოციალურ პროგრამებს ახორციელებს მერია

ექსკლუზიური ინტერვიუ ბორის სილევიჩთან

„წინასაარჩევნო პერიოდში ვითარება ყოველთვის ემოციური და დაძაბულია“

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

რეკონსტრუქციული და პლასტიკური ქირურგიის თანამედროვე მიდგომები „კარაპს მედლაინში“

გენერალ კაპანაძისა და შშმ ოფიცრის დაპირისპირების ფარული დეტალები

EXCLUSIVE

ირაკლი ალასანიას პარტია ეშლება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საიდან ჩაუვარ ხელში სკანდალუ

სააკაშვილის სახიფათო თამაშები თუ ბადრი პატარკაციშვილის საქმე N2?



მარიამ ნადირაძე

გვეგონა, რომ საქართველომ, როგორც იქნა, თავი დააღწია პატიმრების წამების ამსახველი კოშმარული კადრების ტირაჟირებას... დიდი ხნის განმავლობაში ვიყავით იმ შანტაჟის მოწმე, რითაც საქართველოდან გაქცეული სააკაშვილის ძალოვნები საკუთარ ხელშეუხებლობის მიღწევას სწორედ ასეთი კადრებით ვაჭრობით ცდილობდნენ ახალ ხელისუფლებასთან და, შესაბამისად, ყველას კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ ფართოდ აფიშირებული განადგურების სცენის მიუხედავად, ოდესღაც სადღაც მაინც გაჟონავდა დუბლირებული ეგზემპლარი...

ასეც მოხდა: ორიოდე დღის წინ ერთ-ერთ უკრაინულ საიტზე კვლავ დაიდო წამების ამსახველი ვიდეოჩანაწერი. რა თქმა უნდა, ცხადი გახდა მიზანი – ამ ვიდეოს მნიშვნელოვნად უნდა დაეზიანებინა ოდესელი ქართველი გუბერნატორის იმიჯი... რა შედეგი დადგა რეალურად, ვის ინტერესსა და კავშირებს ხედავენ ამ კადრების გამოქვეყნების მიღმა? – სწორედ ამის შესახებ ისაუბრებს დღეს „პრაიმტაიმი“ თავის რესპონდენტებთან...

თუმცა მანამდე კიდევ ერთი ფაქტი, რაც უკრაინულ საიტზე ვიდეომასალის გამოქვეყნებას უსწრებდა წინ: რამდენიმე დღის წინ გაზეთ „ვერსიაში“ დაიბეჭდა სტატია, რომლის მიხედვითაც სოდ-ის ყოფილი შეფი, ერეკლე კოდუა ძველი ჟენევის ერთ-ერთ კაფეში მიხეილ სააკაშვილის დაუძინებელ მტერს, ოლიგარქ იგორ კოლომოისკის შეხვდა. გთავაზობთ ფრაგმენტს სტატიიდან: „ერეკლე კოდუასა და კოლომოისკის შეხვედრა დაახლოებით 40 წუთი გაგრძელდა: „თავდაპირველად, კოდუა ვიცანი და ჩემი ყურადღება მან მიიქცია. მერე, რომ დავაკვირდი, მოგვიანებით მივხვდი, რომ დნეპროპეტროვსკის ყოფილ გუბერნატორთან ერთად იყო. ისინი სადილობდნენ და მშვიდად საუბრობდნენ... ეს ჰგავდა მეგობრულ შეხვედრას. დავაკვირდი, რომ კოლომოისკის კიდევ 2 მამაკაცი ახლდა, თუმცა ისინი სხვა მაგიდასთან ისხდნენ... არ ვიცი, ვერც ერთი მათგანი ვერ ვიცანი. მახსოვს, კოლომოისკის ყავისფერი „ზამშეს“ პიჯაკი ეცვა... ეს დამამახსოვრდა. განსაკუთრებული ყურადღებაც არ მიმიქცევია. იქვე, ახლოს ვმუშაობ და შემთხვევით შევესწარი, დაახლოებით, ალბათ, 40 წუთი გაგრძელდა მათი შეხვედრა. მეტს ვერაფერს გეტყვით“, _ იხსენებს ქართველი ემიგრანტი.

ამ ფაქტს ყურადღებას არც მივაქცევდი და, როგორც ბევრ სხვა შემთხვევას, არც ამას გავხდიდი საქართველოში საჯაროდ, რომ არა კოლომოისკის ღია და მტრული დამოკიდებულება საქართველოს ექსპრეზიდენტის, შესაბამისად, მისი თანაგუნდელების მიმართ. ახლახან უკრაინულმა მედიამ ინფორმაციაც გაავრცელა, რომ ოლიგარქი სააკაშვილს სასამართლოში უჩივლებს. ოდესის ოლქის გუბერნატორმა, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მას აქვს საკმარისი მტკიცებულება ოდესის პორტში კონტრაბანდასთან იგორ კოლომოისკის კავშირის შესახებ. ასევე, მან აღნიშნა, რომ საქართველოში მისი პრეზიდენტობის პერიოდში კოლომოისკი მისი გუნდის წევრებს ქრთამს სთავაზობდა. მიხეილ სააკაშვილმა ერთ-ერთ უკრაინულ ტელეარხს, ასევე, განუცხადა, რომ პრემიერ- მინისტრი არსენი იაცენიუკი გადაწყვეტილებებს იღებს არა უკრაინელი ხალხის, არამედ ადგილობრივი ოლიგარქების, კერძოდ კი, იგორ კოლომოისკისა და რენატ ახმეტოვის სასარგებლოდ. თავის მხრივ კი, კოლომოისკიმ ბრალდებებზე მწვავე რეაქცია მისცა და განაცხადა, რომ სააკაშვილს სასამართლოში უჩივლებს, რადგან „ეს ძალზე სერიოზული ბრალდებაა“ და მისი დასაბუთება მოუწევს. დნეპროპეტროვსკის ყოფილმა გუბერნატორმა ოდესის გუბერნატორს, „მკბენარა ძაღლიც“ კი უწოდა და მისი საქართველოში გაგზავნა და პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა“.

ბუნებრივია, ამ შესაძლო ალიანსმა ბევრს ერეკლე კოდუასა და ბადრი პატარკაციშვილის ურთიერთობა გაახსენოს. თავის დროზე, როდესაც პატარკაციშვილი ბიზნესის ჩარჩოებს გასცდა და პოლიტიკური აქტივობები წამოიწყო, პარალელურად გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ კოდუა სააკაშვილის ბანაკის დატოვებას აპირებდა. პირველი შეხვედრა „შინაურების“ დახმარებით შედგა და მათ კოდუას განზრახვები გულწრფელად მოეჩვენათ. თუმცა შემდეგ როგორ შეტრიალდა სიტუაციები, ყველამ ისედაც კარგად იცის. აქვე ისიც ითქვა, რომ კოდუას ჩანაფიქრი ვანო მერაბიშვილმა გაშიფრა და ის იძულებული გახდა, დაწყებული საქმე სულ სხვა მიმართულებით წაეყვანა. ასე იყო თუ ისე, ფაქტია, რომ ოპერაციის დასასრულით სააკაშვილმა დიდად იხეირა...

ახლაც დაპირისპირებულ მხარეებს კვლავ სააკაშვილი და ოლიგარქი წარმოადგენენ. სცენაზე ისევ კოდუა ჩნდება... ამბის ფინალი (თუ ეს ამბავი მართლაც რეალურია) გემოვნებისა და გამოცდილების მიხედვით შეიძლება გაითვალოს. მანამდე კი ეჭვი იმის შესახებ, რომ უკრაინულ საიტზე გამოჩენილი ვიდეომასალა სწორედ ჟენევური შეხვედრის გამოძახილი შეიძლება იყოს, უსაფუძვლო ნამდვილად არ არის.

ახლა კი ვნახოთ, რას ფიქრობენ ამის შესახებ ექსპერტები და პოლიტიკოსები...

სანდრო ბრეგაძე:

– ჩემი აზრით, აქ მთავარი ის კი არ არის, ვინ დადო ეს კადრები, არამედ ის, რომ ეს ხდებოდა და ამას აკეთებდა დღეს ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალად წარმოდგენილი „ნაციონალური მოძრაობა“. ამ კადრებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ეს არ არის არანაირი პოლიტიკური პარტია. ეს არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელსაც ძალიან სერიოზული დანაშაულები აქვს ჩადენილი თავისი მმართველობის პერიოდში. კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, რომ მომავალ პოლიტიკურ სივრცეში, საქართველოში ასეთი ძალების არსებობა არც კი უნდა განიხილებოდეს. მათ პასუხი უნდა აგონ. ამ კადრების გამოქვეყნებით რეჟიმის გასამართლების საკითხი კიდევ მეტი აქტუალობით დაისმება.

– ვფიქრობთ, ეს უკრაინისთვის სიახლე არ უნდა ყოფილიყო. რატომ გავრცელდა ის ახლა უკრაინაში და ხედავთ თუ არა ამის მიღმა სააკაშვილისა და უკრაინელი ოლიგარქის დაპირისპირებას?

– ყველაფერია შესაძლებელი, თუმცა დაზუსტებით არაფრის თქმა არ შეიძლება. ეს კადრები გადმოცემით ვიცოდი აქამდე, მაგრამ ასეთ საშინელებას არ ველოდი. შესაბამისად, ყველასთვის მისი შინაარსი უნდა იყოს განხილვის მთავარი თემა.

– ეს კადრები როგორ უნდა აღმოჩენილიყო ის უცხოურ მედიაში?

– შესაძლებელია, იქაურ შიდა ომებ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

და კოლომოისკის რი კომპრომატები

რა კავშირი აქვს უკრაინულ სკანდალთან სოდ-ის ყოფილ დირექტორს?

„ყველა ყველაფერს იღებდა და ერთმანეთსაც უღებდნენ. შესაბამისად, ყველას ხელში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო. რა თქმა უნდა, შანტაჟისთვის და საკუთარი თავის დაცვისთვის“

დიდ ფულსაც იხდის სააკაშვილის კომპრომატებში... კოდუა კი მაშინდელ უშიშროებას ხელმძღვანელობდა, ფაქტობრივად...

– მაგრამ სანდოობა?.. მე რომ კოლომოისკის ადგილზე ვიყო, ამ პიროვნებას ახლოსაც არ გავიკარებდი, რადგან ხელწერა აქვს საეჭვო. კოლომოისკის ბანკში კოდუას გამოჩენა უფრო მეტად ამტკიცებს ვერსიას, რომ ის შეგზავნილია, ვიდრე იმას, რომ ის უპირისპირდება სააკაშვილს...

მამუკა არეშიძე:

– ფაქტია, პირველი, ვისკენაც ხელს გაიშვერენ, ხელისუფლებაა. თუმცა, არ მგონია, რომ დუბლიკატები ხელისუფლებას აქვს. ასეთი კადრები შანტაჟისთვის იქმნება. 2012 წლის არჩევნების შემდეგ ერთი პიროვნება სწორედ ასეთი კადრებით ბრიუსელიდან ევაჭრებოდა ხელისუფლებას, სხვა – სოჭიდან... ესენი იყვნენ ყოფილი ძალოვნები... ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ეს კადრები სოციალურ ქსელში კოლომოისკის ტელევიზიიდან გავრცელდა. თუ საქართველოში ნაჩვენებ კადრებზე დაფარული იყო სახეები და სხეულის სხვა ნაწილები, თანაც ტიტრები ედო ინგლისურად, ამ შემთხვევაში ეს კადრები სულ სხვანაირად იყო დამუშავებული. ამიტომაც არ გამოვრიცხავ, რომ ამ ყველაფერში კოლომოისკის ხელი ერიოს, მით უმეტეს, რომ ის ძალიან კარგ ურთიერთობებში იყო ქართულ პოლიტიკურ სპექტრთან. მოგეხსენებათ, მას სერიოზული ბიზნესაქტივები ჰქონდა, მაგალითად, „პრივატ ბანკში“. შემდეგ მას გაუფუჭდა ურთიერთობები ქართულ პოლიტიკურ სპექტრთან და მტრად გადაეკიდა მიხეილ სააკაშვილს ჯერ კიდევ მანამ, სანამ სააკაშვილი ოდესის გუბერნატორი გახდებოდა. ის მუდმივად ჟენევაში ცხოვრობს და გავრცელდა ხმები, რომ ის იქ ერეკლე კოდუას შეხვდა...

– ფიქრობთ, რომ ეს კადრები მისთვის კოდუას შეიძლებოდა მიეწოდებინა?

– ამის მტკიცებას ვერ დავიწყებ. კოლომოისკის იმდენი ფული აქვს, რომ ასეთ საქმეს ისედაც, კოდუას გარეშეც მოაკვარახჭინებს...

– თუმცა თქვენ, ალბათ, კოდუასა და პატარკაციშვილის ურთიერთობაც გაგახსენდებოდათ...

– დიახ, იქნებ უფრო მრავალშრიან თამაშთან გვაქვს საქმე, რომელიც კოლომოისკისთვის შეიძლება ცუდად დამთავრდეს. ეს კადრები შეიძლება უბრალო სატყუარა იყოს და სხვანაირად განვითარდეს. ყველაფერი შესაძლებელია, რადგან კოდუას ბიოგრაფიაში ერთი ასეთი სვლა უკვე იყო, რაც ბადრი პატარკაციშვილისთვის ცუდად დამთავრდა. დიდ პოლიტიკაში ხდება ისე, რომ ადამიანი ვერც კი მიხვდეს, მას რომ იყენებენ. თავის დროზე კოდუასაც ასე დაემართა. ამ შემთხვევაშიც არ არის გამორიცხული, რომ ვიღაცამ მრავალსვლიანი თამაში დაგეგმა.

– ხომ არ იცით, რა შედეგი ჰქონდა უკრაინაში ამ კადრების გავრცელებას?

– ძალიან მძიმე... საზოგადოების დიდმა ნაწილმა საერთოდაც არ დაიჯერა, რომ ასეთი კადრები შეიძლება არსებობდეს და კოლომოისკის დააბრალეს, რომ მან ეს დადგა. თუმცა, ზოგადად, საზოგადოებას ძალიან მძიმე შთაბეჭდილება შეექმნა ამ კადრების ნახვით. შესაბამისად, გარკვეულწილად მიზანი მიღწეულია, თუმცა, როგორ მოუბრუნდება მას ეს ყველაფერი, არავინ იცის.

კოდუა ფუნქციურად მაშინ იყო მნიშვნელოვანი, როდესაც მას ძლიერი მექანიზმები ჰქონდა ხელში. ახლა ვინ არის კოდუა? – არც პოლიტიკოსია, არც ამინდის შექმნა შეუძლია... რაც შეეხება კადრებს, ის ისედაც ცნობილია მსოფლიოსთვის. დამალული არავისთვის ყოფილა. ის კადრები, რაც შეიძლება კოდუას ჰქონდეს, მის საწინააღმდეგოდ შეიძლება შემოტრიალდეს. კოდუას შეიძლება კოლომოისკისთან რაღაც ბიზნესინტერესები აკავშირებდეს, მაგრამ პოლიტიკურ ჭრილში რომ განვიხილოთ, მაშინ ჩვენთვის ცნობილი უნდა იყოს მისი განხეთქილება სააკაშვილთან...

– მაშინ, როდესაც კოდუა პატარკაციშვილს შეხვდა, ბევრს, მათ შორის თქვენც, მისი განზრახვები გულწრფელად მიგაჩნდათ... გათამაშებული ხომ არ არის კოლომოისკისთან ალიანსი?

– სიმართლე გითხრათ, ამ ვერსიაზე არ მიფიქრია. ეს უკვე მეთოდია, რომელიც გამოყენებული და აპრობირებული აქვს. თავის დროზე პატარკაციშვილმაც დაიჯერა, რომ კოდუას უშვებდნენ სამსახურიდან... იქნებ არც ცდებოდა? შესაძლოა, ეს რეალურიც იყო და მერე გადათამაშდა...

– გულისხმობთ, ვანო მერაბიშვილმა რომ გაუგო კოდუას?

– თქვენ უნდა იცოდეთ, რომ კოდუამ თავისი თავი ამ ოპერაციაში საკუთარივე ბრძანებით გაფორმა ჩანერგილ აგენტად... ეს სამართლებრივად ცოტა სასაცილოა, მაგრამ თვითონ ჩაიყენა თავი აგენტურულ სიტუაციაში და მე როგორ შემიძლია გამოვრიცხო, რომ ის იგივეს არ გაიმეორებს?

– ანუ ფიქრობთ, რომ კოდუა კოლომოისკისთან სულ სხვა მიზნებით აღმოჩნდა და არა ისე, როგორც ეს ოლიგარქს შეიძლება ეგონოს?

– მე უფრო ეს მგონია... ამაზე იფიქროს თავად კოლომოისკიმ, რადგან სპეცსამსახურების მაღალრანგიან თანამშრომელთან ურთიერთობა საფრთხილოა და ის ყოველთვის შეიძლება გამოყენებული იყოს პოლიტიკური მიზნებისთვის. თუმცა, ვიმედოვნებ, რომ კოლომოისკის დაუდებენ ინფორმაციებს, რას წარმოადგენდა კოდუა და როგორ იქნა ის გამოყენებული ინსტრუმენტის სახით ბადრი პატარკაციშვილთან მიმართებაში.

– იქნებ ახლაც, როგორც პატარკაციშვილთან ურთიერთობის პირველ ეტაპზე, ერეკლე კოდუას განზრახვები გულწრფელია...

– თუ ეს ასეა და საქმე არ გვაქვს სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილ ოპერაციასთან, მაშინ რაში უნდა სჭირდებოდეს კოლომოისკის კოდუა? რამე საფრთხეს უქმნის ის სააკაშვილს?

– ამბობენ, რომ კოლომოისკი თანაც გვქონდეს საქმე. ჩვენ კარგად ვიცით, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ არის რამდენიმე კლანი, რომელიც მუდმივად ებრძვის ერთმანეთს. არც ისაა გამორიცხული, რომ გარკვეულ პერსონებს სურდეთ უკრაინაში სააკაშვილთან დაპირისპირებულ ძალებს დაეხმარონ. აქვე ისიც ვიცით, რომ ეს კადრები სააკაშვილის ხელისუფლების ძალოვანი უწყების ხელმძღვანელებს გატანილი აქვთ.

– შეიძლებოდა ეს კადრები კოდუას ჰქონოდა?

– ყველა ყველაფერს იღებდა და ერთმანეთსაც უღებდნენ. შესაბამისად, ყველას ხელში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო. რა თქმა უნდა, შანტაჟისთვის და საკუთარი თავის დაცვისთვის ამას მარტო ერთი არ გააკეთებდა და, რა თქმა უნდა, ასეთი კადრები ერთ ეგზემპლარად არ ექნებოდათ...

– თუ ქართულ პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას დავუჯერებთ, კოდუა კოლომოისკის შეხვდა ჟენევაში. იქნებ მან გადასცა ოლიგარქს ეს მასალა?

– არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. კლანური დაპირისპირება არსებობს „ნაციონალურ მოძრაობაში“ და შესაძლოა, ეს ამ დაპირისპირების შედეგი იყოს. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ, ადრე თუ გვიან, ყველაფერი გაირკვევა. თითქმის 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი მაღალჩინოსნის მიერ გადაცემული კადრები.

ვალერი გელბახიანი:

– თქვენ ერეკლე კოდუასთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება გაქვთ... იმის გათვალისწინებით, რომ პრესა კოდუასა და კოლომოისკის შეხვედრის შესახებ იუწყება, რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ სოდ-ის ყოფილმა შეფმა ე.წ. მტრის ბანაკში გადაინაცვლოს და სააკაშვილის წინააღმდეგ კოლომოისკისთვის ერთ-ერთ მთავარ იარაღად იქცეს?

– არა მგონია, კოლომოისკისთვის ის მნიშვნელოვანი იარაღი გახდეს.

„კოდუას გამოჩენა უფრო მეტად ამტკიცებს ვერსიას, რომ ის შეგზავნილია, ვიდრე იმას, რომ ის უპირისპირდება სააკაშვილს...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პროკურატურა უგუ

ინტერვიუ ბიზნესმენ გიორგი კაპანაძესთან

ქეთი ხატიაშვილი

ხმაურიანი საქმე, რომელიც ნაციონალებმა პოლიტიკას დაუკავშირეს; ბრალდება, რომელიც მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა. თუმცა, ეს ერთადერთი საქმე არ არის, რომელიც გიგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარეობს. ბიზნესმენი გიორგი კაპანაძე ჩინოვნიკ გიგი უგულავას წინააღმდეგ – ასეთ სტატუსს აძლევს თავად საქმის მთავარი მოწმე თბილისის ყოფილ მერს. ამბობს, რომ არამხოლოდ პროკურატურის მიერ აღძრული საქმე არ არის პოლიტიკური, მისთვის გიგი უგულავაც ჩინოვნიკია. ამით კაპანაძეს იმის ხაზგასმა სურს, რომ პოლიტიკურ კონტექსტში არასოდეს და არავისთან არ იმყოფებოდა.

თუმცა, უგულავას გარდა, ის კიდევ ერთ ხმაურიან საქმეს – „რუსთავი 2“-ს დაუკავშირეს. ნიკა გვარამიას მძიმე ბრალდებების საპასუხოდ, ბიზნესმენის ადვოკატები მალე სარჩელს სასამართლოში შეიტანენ. გიორგი კაპანაძე ამბობს, რომ „რუსთავი 2“-ის დირექტორმა ან ბოდიში უნდა მოიხადოს სიცრუის ტირაჟირებისთვის, ან პასუხს ის სასამართლოში აგებს.

„პრაიმტაიმი“ გიგი უგულავას ერთ-ერთი საქმის მთავარ მოწმეს გიორგი კაპანაძეს ესაუბრა:

– გიორგი, თქვენი აზრით, მაინც რატომ აკავშირებენ ამ კონკრეტულ საქმეს პოლიტიკასთან?

– ამ საქმეს არანაირი პოლიტიკური ელფერი არ აქვს. აქ საქმე ჩვეულებრივ კრიმინალთან გვაქვს. მათგან, გიორგი ღონიაშვილის მეშვეობით, ძალიან კონკრეტული შემოთავაზება მქონდა. საუბარია ფულის გათეთრებაზე, ანუ უცხოეთიდან საქართველოში ფულის არალეგალურად შემოტანაზე.

შესაბამისად, ამ კონკრეტულ და სერიოზულ კანონდარღვევას პოლიტიკასთან, საერთოდ, არ მესმის, რა შეხება შეიძლება ჰქონდეს? მე არა ვარ პოლიტიკაში ჩართული, არც არასოდეს ვიყავი და ინტერესიც კი არ მქონია. მე მხოლოდ ბიზნესით ვარ დაკავებული...

– მკითხველისთვის ნათელი რომ გახდეს, რაზე დაობთ?

– მე არ ვდაობ, ამ საქმეში მთავარი მოწმე ვარ. რაც შეეხება დავას, მათ კანონი ედავება. კანონის მხრიდან საქმეში პროკურატურაა ჩართული. ბრალდება უგულავას განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის მუხლს ეხება. ანუ საუბარია ფულის გათეთრებაზე, დიდი ოდენობით თანხების უკანონო ლეგალიზაციაზე, როგორც უკვე აღვნიშნე.

– რატომ მიიღეთ ასეთი შეთავაზება თქვენ? ადრე მონაწილეობდით, მათთან ერთად, მსგავს ოპერაციებში?

– არა, ეს აბსურდია. ჩემი აზრით, აქ რამდენიმე ფაქტორმა ითამაშა გადამწყვეტი როლი.

პირველი, ჩვენ ნორმალური ურთიერთობები გვქონდა და, როგორც ჩანს, მათი ნდობით ვსარგებლობდი.

მეორე, მათ არ უნდოდათ, ე.წ. კეზერაშვილთან ასოცირებული კომპანიებიდან, საქართველოში თანხების ჩარიცხვა პირდაპირ მომხდარიყო. ანუ მათ არ უნდოდათ, გაეშიფრათ ის ფინანსური სქემები, რომლებიც დღესდღეობითაც ოპერირებს. ამიტომაც გადაწყვიტეს, ეს ოპერაცია ჩემი მეშვეობით განეხორციელებინათ, რამდენადაც კარგად იცოდნენ ჩემი შესაძლებლობები, ვგულისხმობ ჩემს კავშირებს უცხოურ კომპანიებთან და ბანკებთან.

„ამოისუნთქე იმედით“ - ფილტვის იდიოპათიური ფიბროზის დაავადების საინფორმაციო კამპანია დაიწყო

ქეთი დიდებულიძე

ფილტვის იდიოპათიური ფიბროზის (ფიფ) საინფორმაციო კამპანიის „ამოისუნთქე იმედით“ ფარგლებში „რედისონ ბლუ ივერიაში“ კონფერენცია გაიმართა. კამპანიის მიზანს, დაავადების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება, ფიფ პაციენტებისა და მათი ახლობლების მხარდაჭერა, დაავადების დროული დიაგნოსტიკა და შემდგომში მისი სწორი მართვა წარმოადგენს.

საპნის ბუშტების გაშვება ფიფ-ის სიმბოლოდ იქცა. ჯანმრთელი ადამიანისთვის საპნის ბუშტების გაშვება მხიარულ ემოციებთან არის დაკავშირებული და 1 წამზე ნაკლები სჭირდება, თუმცა ფიფ-ით დაავადებული ადამიანებისთვის, ერთი შეხედვით მარტივი აქტივობა, ძალზედ რთულად შესასრულებელი შეიძლება აღმოჩნდეს.

„პრაიმტაიმი“ ამ თემასთან დაკავშირებით ექიმ-პულმონოლოგს, კლინიკა „დიაკორის“ წარმომადგენელს ქალბატონ **ელენე შეროზიას** ესაუბრა.

- რა სიმპტომები ახასიათებს ამ დაავადებას ადრეულ ეტაპზე?

- დაავადება არასპეციფიკური სიმპტომატიკით ხასიათდება, როგორიც არის გაძნელებული სუნთქვა, ქრონიკული მშრალი ხველა, ქოშინი ფიზიკური დატვირთვის შემდეგ. ფილტვებზე მოსმენის დროს, შეიმჩნევა პირბაზალური ხიხინი, ანუ ორმხრივი ინსპირაციული ხიხინი, მოგვიანებით ვლინდება ქოშინი და ხველა მოსვენების მდგომარეობაშიც კი, შედეგად გულის პარკუჭოვანი უკმარისობა ვითარდება. სწორედ ეს არის ძირითადი სიმპტომები.

- დაავადების გამოვლენის რა სტატისტიკური მონაცემებია საქართველოში და რას გულისხმობს ფილტვის იდიოპათიური ფიბროზით დაავადებული ადამიანის დახმარება?

- სამწუხაროდ, საქართველოში ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ მასზე მუშაობა დაწყებულია. პირადი პრაქტიკიდან გამომდინარე, ჩემს კლინიკაში იმყოფება 35-ზე მეტი პაციენტი, რომლებიც საჭიროებს ადეკვატურ მკურნალობას. მე ვგულისხმობ ისეთ პაციენტებს, სადაც შედეგის მიღწევა შესაძლებელია. არიან პაციენტები, რომელთა დაავადების გამოვლენა ძალიან დაგვიანდა და შესაბამისად, მათთან მიდის მხოლოდ სიმპტომური მკურნალობა. რაც შეეხება დახმარებას, ჩვენ გადავდგით გარკვეული ნაბიჯები იმისთვის, რომ ფილტვის იდიოპათიური ფიბროზი საქართველოში შეტანილ იქნას იშვიათ დაავადებათა ნუსხაში, რაც უზრუნველყოფს ანტიფიბროზული მკურნალობის ხელმისაწვდომობას.

ფილტვის იდიოპათიური ფიბროზი ფილტვის იშვიათი, პროგრესირებადი, შეუქცევადი დაავადებაა, რომელიც სიკვდილიანობის უფრო მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ვიდრე, ავთვისებიანი სიმსივნეების უმრავლესობა. პაციენტების ნახევარი ილუპება დიაგნოზის დასმიდან 2 – 5 წელიწადში.

არასპეციფიკური სიმპტომატიკის გამო ფილტვის იდიოპათიური ფიბროზის დიაგნოსტიკა რთულია. ფიფ პაციენტების ნახევარს დიაგნოზი არ აქვს დასმული, ნახევარს კი არასწორად აქვს დასმული. ადრეული დიაგნოსტიკა და ადრე დაწყებული ადეკვატური მკურნალობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია დაავადების გამოსავლისთვის.

20011 წლამდე ფიფ-ის ნებადართული თერაპია არ არსებობდა. დღესდღეობით ფიფ-ის სამკურნალოდ მოწოდებულია ანტიფიბროზული მედიკამენტები, რომელიც დაავადების პროგრესირებას 43%-ით, ხოლო სიკვდილობას 49%-ით ამცირებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო მონაცემებით დიაგნოსტირებული პაციენტების 60% არ იღებს ადეკვატურ მკურნალობას, რაც ართულებს დაავადების მიმდინარეობას და ზრდის სიკვდილობის მაჩვენებელს.

კვირეულის მიზანზე საქართველოს რესპირატორთა ასოციაციის პრეზიდენტმა **კახა ვაჭარაძემ** ისაუბრა:

„ფიფ-ის საინფორმაციო კამპანია მიზნად ისახავს საქართველოში დიაგნოსტირების გაუმჯობესებასა და ანტიფიბროზულ თერაპიაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რის შედეგადაც ფიფ-ით დაავადებული პაციენტების სიკვდილობის რისკი თითქმის განახევრდება, ცხოვრების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება და, რაც მთავარია, „ამოისუნთქავენ იმედით“.

მსოფლიოში ეს კვირეულები 2012 წლიდან ტარდება. საბედნიეროდ, წელს საქართველოც შეუერთდა ამ კვირეულს. დაავადება არის საკმაოდ მძიმე. დაახლოებით, ევროპის მასშტაბით, დაავადებულია 80 000 დან 110 000-მდე ადამიანი. ყოველწლიურად კი პაციენტების რაოდენობა დაახლოებით 30 000-ით იზრდება. იმედს ვიტოვებთ, რომ ამ დაავადებას უფრო მეტად მიექცევა ყურადღება, რადგან ფილტვის იდიოპათიური ფიბროზი მიმდინარეობს შეუმჩნევლად და, ფაქტობრივად, მუდმივად პროგრესირებადია. აქვე მინდა აღვნიშნო, დროულად დაწყებული მკურნალობის შემთხვევაში, ინვალიდობა და სიკვდილობა მცირდება დაახლოებით 43%-დან – 48 % -მდე. დღესდღეობით პაციენტების 60 % ჯერ კიდევ არ არის აღრიცხული და არ იმყოფება უშუალოდ ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. სწორედ ამიტომ არის ეს საინფორმაციო კამპანია, რომ პაციენტებმა დროულად მიაკითხონ ექიმებს.

- მრავალი შემთხვევა, რომ უკვე დიაგნოზდასმული პაციენტები წყვეტენ მკურნალობას. რით არის ეს გამოწვეული?

- მოგახსენებთ, ეს არის ძნელად დიაგნოსტირებადი შემთხვევა, ამიტომ მისი სიმპტომები ძალიან ჰგავს სხვა დაავადების სიმპტომებს. მკურნალობა ხანგრძლივია და ძვირი, პაციენტმა უნდა იმკურნალოს მთელი სიცოცხლე, ერთთვიანი კურსის ღირებულება კი 4 000 ამერიკულ დოლარს შეადგენს. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი და საჭირო ჩვენი ჩართულობა, სახელმწიფოს კეთილი ნება და თითოეული ადამიანის მონდომება და მხარდაჭერა. საბედნიეროდ, ადრეულ სტადიაში დაწყებული მკურნალობა ძალიან კარგ შედეგს იძლევა, ხოლო მესამე-მეოთხე სტადიაში მყოფი პაციენტების განკურნება ძალიან პრობლემატურია, ამ დროს მაღალია ლეტალური შემთხვევები. დაავადების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების, დაავადების დროულად გამოვლენისა და დამარცხების მიზნით შეიქმნა ფილტვის იდიოპათიური ფიბროზით დაავადებულ პაციენტთა კავშირი, რომლის ინიციატორი ფიფ პაციენტი ქალბატონი ელენე სამხარაძე გახლავთ.

„თავადაც ამ დაავადებას ვებრძვი და ამ კავშირის დაფუძნების მიზანიც ფიფ პაციენტების გაერთიანებაა. მე ძალიან რთული გზა გავიარე, ჩემი დიაგნოსტიკა გაჭირდა, მივაკითხე რამდენიმე ექიმს, მაგრამ საბოლოო დიაგნოზი ვერ დამისვეს. კიდევ უფრო გამირთულდა სიტუაცია. შემდეგ დადგა ანტიფიბრიზული პრეპარატის მიღების დროც, როგორღაც მოვახერხე და შევიძინე წამალი. მდგომარეობა გამიუმჯობესდა. თუმცა ამ მედიკამენტების მიღება უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს, პრეპარატის შეძენა კი საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ჩვენთვის, ფიფ პაციენტებისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჩართულობა და საზოგადოების მხარდაჭერა“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კონკრეტული შეთავაზება ნიკა გვარამიას - ღია ბოდიში ან სასამართლო პროცესი

EXCLUSIVE

საქმე დიდი ოდენობით ფულის გათეთრებას ეხება

მესამე, ისინი ცდილობდნენ, არ გამოეჩინათ კეზერაშვილის კომპანიების პირდაპირი კავშირები საქართველოს საბანკო სექტორში.

– უგულავას ერთ საქმეზე განაჩენი უკვე გამოტანილი აქვს, არის სხვა საქმეებიც, თქვენი საქმე ცალკეა?

– გიგი უგულავას არაერთ საქმეზე ედავებიან. ჩვენი საქმე ცალკეა და სხვა დავებთან არანაირი შეხება არ აქვს. სხვა საქმეებზე ვერაფერს გეტყვით. კი ჰგონიათ და წარმოუდგენიათ, თითქოს მე მხოლოდ უგულავას თემით ვიყო დაინტერესებული, მაგრამ მათ შესახებ არაფერი ვიცი და ინტერესიც არ მაქვს.

– გიგი უგულავას გარდა, კიდევ ვინ იკვეთება ამ კონკრეტულ საქმეში?

– უგულავასთან ერთად, კიდევ ორი ადამიანი იკვეთება. ესენი არიან: გიორგი ღონიაშვილი და ალექსანდრე გოგოხია. ისინი უშუალოდ იყვნენ ჩართული ფულის გათეთრების ოპერაციაში.

– ალექსანდრე გოგოხიას დავით კეზერაშვილთან კავშირები დასტურდება?

– გოგოხიასა და კეზერაშვილის კავშირები ცნობილია. ფაქტია და ყველამ იცის, რომ ის კეზერაშვილის ბიზნესპარტნიორია, ლატარიის კომპანიის დირექტორი იყო და დღემდე აგრძელებს საქმიანობას კეზერაშვილის უცხოეთში მოქმედ კომპანიებში.

– ამ საქმით შეიძლება კეზერაშვილზე გასვლა?

– არა, ამ სქემით უკვე გამოიკვეთა სამი ფიგურანტი: გოგოხია, ღონიაშვილი და უგულავა.

– თქვენთვის ფულის შესახებ რაიმე დეტალი ცნობილია? ამ ფულის გამოყენებას ისინი არჩევნებში აპირებდნენ?

– ასე ამბობდნენ, რომ არჩევნებისთვის სჭირდებოდათ. თუმცა, არჩევნებზე დახარჯეს თუ პირადად მოიხმარეს, ამის თაობაზე არაფერი ვიცი, შესაბამისად, ვერაფერს გეტყვით.

– უგულავას გარდა, თქვენ „რუსთავი 2“-ის საქმესთანაც დაგაკავშირეს და განცხადება ამის შესახებ ნიკა გვარამიამ გააკეთა.

– არანაირი შეხება არ მაქვს. ეს აბსურდია. მისი ეს განცხადება ჩემთვის აგვისტოში გახდა ცნობილი, მაშინ საქმიანი მივლინებით გახლდით უცხოეთში. როდესაც საქართველოში დავბრუნდი, კონსულტაციები გავიარე ჩემს ადვოკატებთან და კონკრეტული გადაწყვეტილებებიც მივიღეთ – ჩვენ სასამართლოს მივმართავთ.

ნიკა გვარამიამ განაცხადა, თითქოს მე „რუსთავი 2“-ის საწინააღმდეგო პროცესებს ვხელმძღვანელობ, თითქოს რაღაც შეთქმულებას ვაწყობ, ვაფერხებ ტელეკომპანიის მუშაობას და ზიანს ვაყენებ მას. ჩემი ადვოკატები ამ ბრალდებას სასამართლოში გააასაჩივრებენ, სარჩელი უკვე მზადდება. მას მოუწევს სასამართლოში მტკიცებულებების წარდგენა...

– სარჩელი ცილისწამებას ეხება?

– კვალიფიკაციას ადვოკატები სარჩელში ჩამოაყალიბებენ. მე არანაირი შეხება „რუსთავი 2“-თან არ მაქვს. ნიკა გვარამიამ არა მხოლოდ დამაკავშირა ამ ტელეკომპანიაში მიმდინარე მოვლენებთან, არამედ დამასახელა ანგაჟირებულ პირად, რომელიც რაღაც შეთქმულებას ხელმძღვანელობს. ეს აბსურდია და ნიკა გვარამიას მოუწევს, ან ღიად მომიხადოს ბოდიში, ან სასამართლოს წინაშე აგოს პასუხი ამ სერიოზული ბრალდების გამო. რას ნიშნავს განცხადება, თითქოს მე ვაფერხებ ტელეკომპანიის მუშაობას და ზიანს ვაყენებ მას? გვარამიამ ეს უნდა განმარტოს. ჩემი ადვოკატების განმარტებით, ეს განცხადება შესაძლოა, ჩემთვის ზიანის მომტანი იყოს...

– იქ საუბარი იყო, რომ თქვენ კარგად იცნობთ ნიკა ჩიქოვანს, რომელიც ამ პროცესშია ჩართული და, ასევე, „რუსთავი 2“-ის გარდაცვლილი მეწილის, გეგეშიძის მეუღლეს ნინო ნიჟარაძეს...

– და მერე, რომ ვიცნობ?.. რა თქმა უნდა, ვიცნობ, გეგეშიძე ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო, ნიკა ჩიქოვანი ჩემი ბიზნესპარტნიორია და ამით რა მტკიცდება?

– შეიძლება თქვენ, როგორც ბიზნესმენს, გქონოდათ ინტერესი, გეყიდათ ნიჟარაძის წილი „რუსთავი 2“-ში.

– ინტერესი შეიძლება მქონოდა, თუმცა რა კავშირი აქვს ამას კომპანიისთვის ზიანის მიყენებასთან, ან რაღაც გადაწყვეტილებების დაბლოკვასთან, ან მუშაობის შეფერხებასთან? ყოვლად აბსურდული ბრალდებებია, რომელსაც უპასუხოდ არ დავტოვებ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ნიკა გვარამია ან ღიად მოიხდის ბოდიშს, ან სასამართლოს წესით აგებს პასუხს. პირობას ვაძლევ მას, ამ პროცესს ბოლომდე მივყვები და იმასაც გავარკვევ, როგორ ჩაგრავენ ნინო ნიჟარაძეს.

– გინდათ თქვათ, რომ გვარამიას მხრიდან ადგილი ჰქონდა ნიჟარაძეზე ზეწოლას?

– ზეწოლას არა, აქ საუბარია უკმაყოფილებაზე... საუბარია შიდა პროცესებზე...

– უგულავას საქმეს რომ დავუბრუნდეთ... ითქვა, თითქოს თქვენ გარკვეული დივიდენდების მიღება გსურდათ და ამ საქმეში ამიტომაც ჩაერთეთ...

– რას გულისხმობთ, ან რას გულისხმობენ ისინი, ვისზეც არის საუბარი? თუ იმას, რომ მე ჩემი სახელმწიფოს წინაშე დავიწერე დივიდენდები და ქულები ავკრიფე, მაშინ დაგეთანხმებით. მინდა კარგად გაიგოთ: აქ საუბარი სახელმწიფოზეა და არა ხელისუფლებაზე. ანუ აქ ცალკეულ ჯგუფებზე, პოლიტიკურ ძალებსა (ხელისუფლებასა თუ ოპოზიციაზე) თუ დაინტერესებულ პირებზე კი არ არის საუბარი, არამედ სახელმწიფოზე.

მეტსაც გეტყვით, უგულავას პროცესი ყველა ჩინოვნიკისთვის მაგალითი უნდა იყოს. ეს მართლაც სენია – ჩინოვნიკები დაიკავებენ თანამდებობას და თავს ბევრი რამის უფლებას აძლევენ. დღესაც არის ასეთი შემთხვევები... ჩინოვნიკები, რიგ შემთხვევებში, თავს უკანონობის უფლებას აძლევენ. ყველას მიმართ უნდა ვიყოთ ერთნაირები, როგორც უგულავას, ისე დღევანდელი და ხვალინდელი ჩინოვნიკების მიმართ, ვინც არ უნდა იყოს ის. აქ არანაირი განსხვავება არ უნდა იყოს.

საქმე ის კი არ არის, მომწონს თუ არა მე უგულავა, პირადი შურისძიება არ მაქვს, ანგარიშსწორებას არ ვახდენ... მე ბიზნესმენი ვარ და ჩინოვნიკური მარწუხები, მათი კლანური მართვის ჩვევა თუ სტილი ქვეყნის განვითარებას ხშირად აფერხებს. კანონი ყველამ უნდა დაიცვას. ჩინოვნიკებმა საშუალება უნდა მისცენ ხალხს, კანონის ფარგლებში განვითარდნენ.

– ალბათ, სიტყვა „ჩინოვნიკი“ უგულავასთან კონტექსტში შემთხვევით არ ახსენეთ, თქვენ მას პოლიტიკოსად არ მიიჩნევთ?

– მე მასზე ვსაუბრობ, როგორც ჩინოვნიკზე, იმიტომ რომ მე ბიზნესმენი ვარ და არა პოლიტიკოსი. ის იყო ჩინოვნიკი, რომელიც რაღაცას მიკრძალავდა, რაღაცაზე მაჯარიმებდა ან გარიგებას მთავაზობდა... მასზე, როგორც პოლიტიკოსზე, ვერ ვილაპარაკებ, ასეთი შეხება მასთან არ მქონია. მე არა ვარ მისი მეტოქე და კონკურენტი, არც არჩევნებში ვეცილები და არც ელექტორატში. ეს თემა ჩემთვის, საერთოდ, უცხოა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

2016 წლის არჩევნების შე
სასამართლო ბათილ

მირიან ბოქოლიშვილი

საარჩევნო წელი ახლოვდება და პოლიტიკური ტემპერატურაც ყოველდღიურად იმატებს. როგორც ჩანს, წინ კიდევ ბევრი სიურპრიზი გველის. ექსპერტები მოვლენების სერიოზულ ესკალაციას არა მხოლოდ წინასაარჩევნოდ, არამედ არჩევნების შემდგომ პერიოდშიც ვარაუდობენ, რადგან მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ უკვე ამზადებს საფუძველს არჩევნების შედეგების არალეგიტიმურად გამოსაცხადებლად. ასეთ შეფასებებში ლოგიკის პოვნა ნამდვილად არ გაგიჭირდებათ, თუ გასულ კვირას პარლამენტში „რუსთავი 2“-ის საკითხზე გამართულ ცხარე დებატებს გადაავლებთ თვალს. „ნაციონალური მოძრაობა“ არ მალავს, რომ „თუ ტელეკომპანია გაჩერდება, ეს კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებს 2016 წლის არჩევნების ლეგიტიმურობის საკითხს“. ეს განცხადება გოკა გაბაშვილმა გააკეთა.

ვის აძლევს ხელს მოვლენების ამ სცენარით განვითარება? ექსპერტების ნაწილი, მაგალითად, ელენე ხოშტარია „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე პროცესებს მოახლოებულ არჩევნებს უკავშირებს და ამბობს, რომ „დღევანდელ მთავრობას საარჩევნო წელს თავისუფალი მედიის არსებობა არ აწყობს“.

„ფაქტია, რომ ხელისუფლებას აქვს სერიოზული პრობლემა მხარდამჭერების და ფაქტია, რომ „რუსთავი 2“-ის მიერ ეფექტური, ფართომასშტაბიანი და კრიტიკული საკითხების გამწვავება არის მათთვის დიდი დისკომფორტი. კრიტიკული ტელევიზიის გარეშე არჩევნების თავისუფალ გარემოში ჩატარება წარმოუდგენელია. ხელისუფლებას ეშინია, რადგან მათი რეიტინგი სერიოზულად ეცემა“, – აცხადებს ელენე ხოშტარია.

ამ პოზიციას არ იზიარებს ექსპერტი მამუკა არეშიძე, რომლის ინფორმაციითაც ტელეკომპანია პოლიტიკური ტემპერატურის აწევისა და ხელისუფლების მიმართ ნეგატიური მუხტის გაღრმავების მიზნით არხის ხელოვნურ დახურვას თავადვე გეგმავს.

,,როგორც გავიგე, „ნაცმოძრაობა“ აპირებს, დახუროს ტელევიზია და ამით პოლიტიკური მიზნები განახორციელოს. ეს პარტია გამოიყენებს ხელოვნური დახურვის შედეგს. გვარამიას პირველი განცხადებაც სწორედ ასეთი ფორმის იყო, რომ ხელისუფლებამ „რუსთავი 2“ დახურაო და ეს თავის დროზე ხალხმა დაიჯერა და ასე ეგონა. „რუსთავი 2“ ამ შემთხვევაში გვევლინება როგორც კრიტიკული ტელევიზია და ასევე, როგორც კონკრეტული პოლიტიკური ძალის ინტერესების დამცველი. იმ ფორმით, რა ფორმითაც არსებობს „რუსთავი 2“, თავისი დივიდენდი მოაქვს, მაგრამ საზოგადოების განსაზღვრული წრისთვის. ტელეკომპანიის ხელოვნური დახურვა, „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელთა აზრით, ამ წრეს გაზრდის“, – აცხადებს **მამუკა არეშიძე.**

მისი შეფასებით, მოვლენების ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში გაცილებით მარტივი იქნება არჩევნების შედეგების არალეგიტიმურობაზე საუბარი.

პოლიტიკურ წრეებში უკვე აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ძველ, უკვე ნაცად მეთოდს მიმართოს და ცესკოს შემაჯამებელი ოქმის გაუქმების მოთხოვნით სასამართლოს მიმართოს. თუ 2003 წელს ეს გადაწყვეტილება უზენაესმა სასამართლომ გააფორმა, ახლა მთავარი ფსონი საკონსტიტუციო სასამართლოზე იდება. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის პროგნოზირება ძნელი არ არის: დაირღვა კონსტიტუციით გარანტირებული უფლება

თავისუფალი, საყოველთაო და თანასწორი არჩევნების შესახებ.

მოლოდინი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო შესაძლოა, პოლიტიკურ თამაშებში აქტიურად ჩაერთოს, მმართველ გუნდშიც აქვთ. ამის არგუმენტად სასამართლოს ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებს იშველიებენ.

„მე ველოდები საკონსტიტუციო სასამართლოს მორიგ და ყველაზე ლოგიკურ გადაწყვეტილებას: კარგად მოგეხსენებათ, რომ საკონსტიტუციო ცვლილება, რომლითაც პრეზიდენტს ჩამოერთვა უფლებამოსილება და გადაეცა მთავრობას, მოხდა იმის გამო, რომ სააკაშვილმა ამოწურა თავისი ორი ვადა და გადაწყვიტა, როგორც პრემიერ-მინისტრი, მოვლენოდა ქვეყანას. დღეიდან საკონსტიტუციო სასამართლოსგან მე სხვას აღარაფერს ველოდები, თუ არა იმას, დაადგინოს, რომ არჩევნებში სხვა გუნდის გამარჯვება იყო არაკონსტიტუციური და სააკაშვილს უნდა, დავუბრუნოთ ხელისუფლება“, – ამბობს **დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი.**



და მაინც, საინტერესოა, წავა თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო ამ ნაბიჯზე, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც საპარლამენტო არჩევნების მომენტში, საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარე ეყოლება? გიორგი პაპუაშვილს უფლებამოსილების ვადა 2016 წლის თებერვალში ეწურება, არჩევნები კი ოქტომბერში გაიმართება. საქმე ის გახლავთ, რომ, თავმჯდომარის გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაც არცთუ ისე თავისუფალია პოლიტიკური კონტექსტისგან. მაგალითად, თუ მერაბ ტურავა „ქართული ოცნების“ მომხრე მოსამართლეთა რიგებში მოიაზრება, პლენუმის სხვა მოსამართლეებს ადეიშვილის გუნდში ყოფნას უსსენებენ. ისინი მოსამართლის თანამდებობებზე

სხვადასხვა ვადით არიან გამწესებულნი და ნებისმიერ შემთხვევაში სათათბირო დარბაზში დიდი ჭიდილი ელით. ეს იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობის საკითხი მართლაც საკონსტიტუციო სასამართლომდე მივიდა. შანსი იმისა, რომ სწორედ სასამართლოს გზით მოხდეს ცესკოს შემაჯამებელი ოქმის გაუქმება, საკმაოდ დიდია და ამაზე სწორედ ზემოხსენებული მოსამართლეთა პოლიტიკური გემოვნება და კარიერაც მეტყველებს. ამაზე ოდნავ ქვემოთ უფრო ვრცლად გიამბობთ, მანამდე კი ორიოდე სიტყვით რამდენიმე პარალელზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

ფაქტია, რომ, როცა წინა პლანზე პოლიტიკა გამოდის, იქ ყოველთვის რჩება სივრცე სამართლებრივი ნიუანსების ინტერპრეტაციებისთვის. მით უმეტეს, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2003 წელს ერთხელ უკვე მოახერხა სასამართლოს გზით არჩევნების შედეგების გაუქმება. ბედის ირონიაა, რომ მაშინ სააკაშვილის გუნდის კვალდაკვალ სასამართლოსგან ცესკოს შემაჯამებელი ოქმის გაუქმებას საარჩევნო კომისიის მოქმედი თავმჯდომარე, თამარ ჟვანიაც ითხოვდა, რომელიც იმ პერიოდში „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელი გახლდათ.

„პრაიმტაიმთან“ საუბრისას ცესკოს მოქმედი თავმჯდომარე ადასტურებს, რომ 2016 წელს, ნამდვილად რთული არჩევნები იქნება, თუმცა იმედს გამოთქვამს, რომ შედეგებს ეჭვქვეშ არავინ დააყენებს.

„2016 წელი, თავისი ბუნებითა და, რა თქმა უნდა, შინაარსითაც, აბსოლუტურად განსხვავებული იქნება. პოლიტიკურად ეს იქნება გაცილებით რთული არჩევნები. და ამაზე დღევანდელი გარემოც და პოლიტიკური ბატალიებიც უკვე მიგვანიშნებს. მაგრამ რაც ჩემთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო მესიჯია, თითქმის ყველა პოლიტიკური მოთამაშე, პოლიტიკური მხარე თავის გამონათქვამებში აღარ აღნიშნავს არჩევნებს, როგორც რაიმე ცუდ საშუალებას კონკრეტული მიზნის მისაღწევად. თითქმის ყველა, როგორც ოპოზიციური, ისე სახელისუფლო, პარტიის გამოსვლებში უკვე მესმის, რომ არჩევნები არის ის გზა, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს მომავლის განსაზღვრა. იქნება ცვლილება თუ არა, ამას არჩევნები გადაწყვეტს. ეს არის არჩევნები და ამას ეჭვქვეშ არავინ აყენებს“, – ამბობს **თამარ ჟვანია**, რომელიც აქვე არ გამორიცხავს, რომ მისი და ცესკოს მისამართით სხვადასხვა ტიპის ბრალდებებმა გაიჟღეროს.

„ბრალდებები აუცილებლად იქნება და ამისთვის მზად ვარ. ზოგი ნაციონალების სასარგებლოდ მუშაობას მაბრალებს, ზოგიც – „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ.

არიან ისეთებიც, ვინც ბურჯანაძის ინტერესების გაზიარება დამაბრალა... მეღიმება ხოლმე. როგორც ჩანს, საქართველოში ძნელად სჯერათ, რომ ვიღაც შეიძლება არ იყოს ვიღაცისტი“, – აღნიშნავს ცესკოს თავმჯდომარე.

სასამართლოს გზით არჩევნების შედეგების გაუქმების პრეცედენტი იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უკრაინაშიც „ნარინჯისფერი რევოლუციის“ დროს, როდესაც უზენაესმა სასამართლომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ბათილად გამოაცხადა. მაშინ მიხეილ სააკაშვილი საქართველოდან მიესალმა უკრაინის თემიდის გადაწყვეტილებას და მას ისტორიულიც კი უწოდა.

„ვცდილობდი, არ გამომეხატა ჩემი სიმპათიები, თუმცა, ალბათ, ვინმე შენიშნავდა ჩემი ჰალსტუხის ფერს“, – აღნიშნა სააკაშვილმა, მიუთითა რა თავის ნარინჯისფერ ჰალსტუხზე. ეს ფერი უკრაინის ოპოზიციის სიმბოლო გახლდათ.

რა ფერის ჰალსტუხს გაიკეთებს ახლა უკვე უკრაინის ხელისუფლებაში მყოფი სააკაშვილი და გადაინაცვლებს თუ არა არჩევნების შემდგომი პოლიტიკური პროცესები საკონსტიტუციო სასამართლოში? სავარაუდოდ კი, თუმცა ცხადია, არც ხელისუფლება იქნება გულხელდაკრეფილი და მაქსიმალურად შეეცდება უკვე აპრობირებული მეთოდისთვის ხელის შეშლას.

ლევან ალაფიშვილი, იურისტი:

„დღეს საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს ზუსტად ის კომპეტენცია, რაც 2003 წელს მიანიჭეს უზენაეს სასამართლოს, რომელმაც პროპორციული არჩევნების შედეგები ბათილად ცნო. სხვათა შორის, უზენაეს სასამართლოს ამ საკითხის განხილვის უფლება მაშინაც არ ჰქონდა, უბრალოდ, პოლიტიკური თვალსაზრისით პროცესები ჭიანურდებოდა, ამიტომ წავიდნენ კანონის გვერდის ავლის მეთოდით. თუ კონსტიტუციის მასობრივ დარღვევაზე იქნება საუბარი, არა მხოლოდ ერთ-ორ ოლქში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გახდეს საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საფუძველი, სხვა შემთხვევაში ეს საერთო სასამართლოების საქმეა. მიუხედავად ბევრი ხარვეზისა, არ ველი, რომ პროცესები ამ გზით განვითარდება და ჩვენი სახელმწიფო თანამედროვე დემოკრატიული პრინციპების წინააღმდეგ ნავა“.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საკონსტიტუციო სასამართლო იმ შემთხვევაში, თუ დღის წესრიგში მართლაც დადგა არჩევნების შემაჯამებელი ოქმის გაუქმება. რა თქმა უნდა, ეს სასამართლოს შემადგენლობაზეა დამოკიდებული. საკონსტიტუციო სასამართლო სულ 9 წევრისგან შედგება. როგორც წესი, მათგან სამს ნიშნავს პრეზიდენტი, სამს – უზენაესი სასამართლო, დანარჩენ სამ წევრს კი პარლამენტი ირჩევს ხმათა უმრავლესობით. როგორც უკვე გითხარით, სასამართლოს თავმჯდომარეს გიორგი პაპუაშვილს უფლებამოსილების ვადა 2016 წლის თებერვალში ეწურება და შესაბამისად, 2016 წლის ოქტომბრის არჩევნებზე მის პასუხისმგებლობაზე საუბარი ვერ იქნება. მოდით, თვალი გადავავლოთ სასამართლოს დანარჩენ შემადგენლობას:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე კონსტანტინე ვარძელაშვილი – 2004-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ. 2006 წლის 14 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად, ხოლო 2 ოქტომბერს ამავე სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ და პირველი კოლეგიის თავმჯდომარედ. 2009 წელს დაინიშნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს Ad Hoc მოსამართლედ. 2007 წლიდან არის ევროპული კომისიის „დემოკრატიისთვის სამართლის მეშვეობით“ (ვენეციის კომისია) შემცვლელი წევრი. 2010 წლიდან – მოწვეული ლექტორი „თავისუფალ უნივერსიტეტში“. 2012 წლიდან არის მოწვეული ლექტორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის ჟურნალ „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. პოლიტიკურ კულუარებში მას „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას ახლო მეგობრად მოიაზრებენ. მისი მეუღლე ანა ჟვანია საქართველოს დაზვერვის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელია.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა თავაძე მუშაობდა საქართველოს გენერალური

თამარ ჟვანია: „რთული არჩევნები იქნება. ამაზე დღევანდელი გარემოც და პოლიტიკური ბატალიებიც უკვე მიგვანიშნებს. ბრალდებებიც იქნება და ამისთვის მზად ვარ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ᲓᲔᲒᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ...ᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ?!

რა გეგმებს განიხილავენ პოლიტიკურ კულუარებში?

პროკურატურის საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ (2004-2007). 2007 წლის მარტიდან 2008 წლის თებერვლამდე იყო საქართველოს გენერალური პროკურატურის საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი. 2008-2010 წლებში გახლდათ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე. 2010 წლის 30 მარტს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილებით, დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად. პროკურატურის სისტემაში საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობა გარკვეულწილად ამყარებს ხმებს, რომ ზაზა თავაძე უშუალოდ ზურაბ ადეიშვილის კადრია და სწორედ მისი ინიციატივით დაინიშნა საკონსტიტუციო სასამართლოში. ამბობენ, რომ მას, ასევე, ახლო მეგობრული ურთიერთობა აქვს ყოფილ მთავარ პროკურორთან, მურთაზ ზოდელავასთან და მის ყოფილ მოადგილესთან გიზო უგულავასთან.

3. თამაზ ცაბუტაშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი – 2003-2004 წლებში იყო კორუფციის, ნარკოდანაშაულის და ადმინისტრაციულ პოლიციაში მოკვლევის კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი. 2004-2011 წლებში – კახეთის საოლქო პროკურორის თანამდებობა ეკავა. არსებული ინფორმაციით, ცაბუტაშვილი 2011 წლის 4 ივნისს საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა, #351 ბრძანებულების საფუძველზე, დანიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად. მას ხშირად პოლიტიკური დავალებების შესრულებაშიც ადანაშაულებდნენ და ამბობდნენ, რომ ზურაბ ადეიშვილის ახლო მეგობარია. ადეიშვილისა და ცაბუტაშვილის ოჯახებს, მეგობრობის გარდა, ნათელ-მირონიც აკავშირებთ.

4. ქეთევან ერემაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი და მდივანი – მას საკონსტიტუციო სასამართლოში მუშაობის ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს. 1998-1999 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოში წამყვან სპეციალისტად მუშაობდა; 1999-2001 წწ. – საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მრჩეველი გახლდათ; 2001-2005 წწ. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწეა; 2005-2006 წწ. – საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის უფროსი; 2000-2001 წლებში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე; 2011 წელს „თავისუფალ უნივერსიტეტში“ ლექტორის პოზიცია უკავია; ერემაძე 2006 წლის 14 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად.

5. მაია კოპალეიშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი – 2005 წლის 22 სექტემბრის, საქართველოს პრეზიდენტის #773 ბრძანებულებით, დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ. ერთ თვეში კი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეც გახდა. 2006-2007 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრი და სპიკერი მოსამართლე. 2006-2007 წლებში საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის დადგენილებებით, არჩეულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის წევრად. 2007 წლის 24 დეკემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ. 2009 წელს დაინიშნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილედ. 2010 წლიდან დღემდე არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი.

6. ოთარ სიჭინავა, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი – 2005-2006 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. 2006 წლის 26 ივნისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად. 2006 წლის 30 სექტემბერს, ფიცის დადების დღიდან კი შეუდგა მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას.

7. ლალი ფაფიაშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი – 2004-2007 წლებში იყო პარლამენტის წევრი, პარტია „ნაციონალური მოძრაობიდან“. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. ამბობენ, რომ ახლო კავშირი აქვს საქართველოს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარესთან და „ენმ“-ის ერთ-ერთ ლიდერთან დავით ბაქრაძესთან. 2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად.

8. მერაბ ტურავა, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი – 1999-2006 წლებში ეკავა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის, ხოლო 2000-2005 წლებში ამავე პალატის თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ის სასამართლო უწყებიდან კორუფციული ბრალდებით გაუშვეს. 2012 წლის არჩევნებამდე კი აქტიურად გულშემატკივრობდა კოალიცია „ქართულ ოცნებას“. 2015 წლის 20 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად. ამავე წლის 30 მარტს, ფიცის დადების დღიდან შეუდგა მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას. ცოტა ხნის წინ კი ის სკანდალშიც გაეხვია, როდესაც გიგი უგულავას სარჩელზე ხელს არ აწერდა ავადმყოფობის მიზეზით. ამბობენ, რომ ის შეგნებულად აჭიანურებდა გადაწყვეტილებაზე ხელმოწერას, რადგან უგულავას საპატიმრო არ დაეტოვებინა.

ზემოხსენებული მოსამართლეებიდან სამს უფლებამოსილების ვადა საპარლამენტო არჩევნებამდე ეწურება, შესაბამისად, მნიშვნელოვანი იქნება, ვინ დაიკავებს მათ ადგილს. შესაძლოა, არჩევნების შედეგების ყოფნა-არყოფნის საკითხი სწორედ მათ ხელში აღმოჩნდეს.

**სოზარ სუბარი: „საკონსტიტუციო სასამართლოსგან მე სხვას აღარაფერს ველოდები, გარდა იმისა, რომ ს

ავღანეთის ომის მონაწილე ქართველი ოფი

ირაკლი მამალაძე

ამერიკაში საქართველოს საელჩოში 1-ელ ოქტომბერს მომხდარი ინციდენტის შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია ვრცელდება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ როდესაც პრეზიდენტი მარგველაშვილი ქართულ სათვისტომოს ხვდებოდა, ავღანეთში მებრძოლმა ვეტერანმა ოფიცერმა, კაპიტანმა ვახტანგ დოლიძემ მასთან კამერების გარეშე შეხვედრა ითხოვა. ამ შეხვედრიდან გამოსულს კი შელაპარაკება მოუხდა გენერალური შტაბის უფროსთან, გენერალ ვახტანგ კაპანაძესთან. შედეგად კი მთელმა საქართველომ ნახა დალეწილი ჭიქის ამსახველი კადრი და მოისმინა გენერალური შტაბის უფროსისა და თავდაცვის მინისტრის თავშეკავებული კომენტარები... სულ ეს იყო. ამის შემდეგ თემა არც გაშლილა და არც დაკონკრეტებულა.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, მეტი შეეტყო მომხდარის შესახებ და გაერკვია, რა პრეტენზიები აქვს სამინისტროსა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელებთან ვეტერან ოფიცერს და რა ხდება იმ შემოკლებული განმარტებების უკან, რაც თავდაცვის მინისტრმა გადაცემა „ბარიერში“ გააკეთა. თინათინ ხიდაშელი აცხადებდა, რომ ვახტანგ დოლიძე გახლავთ მოქმედი სამხედრო და ის ამერიკაში სამსახურებრივი მივლინებით არ იმყოფებოდა. შესაბამისად ჩნდება კითხვა: როდესაც ნებისმიერ სამხედროს, თუნდაც შვებულებით, უწევს საზღვარგარეთ წასვლა, ის მრავალმხრივ გადამოწმებას გადის და გასაუბრებაზეც მიდის სამხედრო პოლიციაში. როგორ მოხდა, რომ შესაბამისი სტრუქტურების ინფორმირებულობის გარეშე კაპიტანი ასეთი დონის შეხვედრაზე მოხვედრილიყო? საუბარი აღარ გვაქვს იმ შედეგებზე, რითაც ეს შეხვედრა დამთავრდა...

ამას გარდა, მინისტრი ფრაგმენტულად საუბრობს იმ პრეტენზიებზე, რაც კაპიტანმა დოლიძემ მათ განუცხადა. „საუბარი შეეხებოდა ჩამორთმეულ წამლებს. ეს არის 2011 წლის საქმე. მე გენინსპექციიდან უკვე მაქვს სრული სურათი მომხდარის შესახებ. თუ შესწავლის შედეგად გამოვლინდება, რომ ამ საქმეში მონაწილეები დღესაც მუშაობენ თავდაცვის უწყებაში, გვექნება შესაბამისი რეაგირება“, – დაახლოებით ასე ჟღერდა მინისტრის განცხადება, თუმცა უფრო მეტად საქმის ვითარებას არ აკონკრეტებს...

შესაბამისად, „პრაიმტაიმმა“ გადაწყვიტა, საკუთარი წყაროებით მოეძიებინა ამ ინციდენტთან დაკავშირებული ინფორმაციები. სამწუხაროდ, მის გადასამოწმებლად, მიუხედავად დიდი მცდელობისა, თავად კაპიტან დოლიძესთან, ან მის ახლო გარემოცვასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. ამ თემებზე საუბარი ხმამაღლა არც მათ ისურვეს და არც ოფიციოზმა. შესაბამისად, გთავაზობთ იმას, რაც და რა სახითაც მოვიპოვეთ.

მაშ ასე: კაპიტან ვახტანგ დოლიძის სახელი და გვარი პირველად მაშინ გაჟღერდა, როდესაც რამდენიმე წლის წინათ ავღანეთში მძიმედ დაიჭრა (მისი დაზიანებების შესახებ „პრაიმტაიმი“ დეტალურად შეგნებულად არ საუბრობს. – მ.ნ.)... მოგვიანებით მისი გვარი იმ დანარჩენი ვეტერანი ოფიცრების გვერდით მაშინ გამოჩნდა, როდესაც 2013 წელს მიხეილ სააკაშვილმა მოინახულა, ზოგიერთ მათგანს, მაგალითად,

ჯანდაცვის სამინისტრო ოჯახის ექიმის ინსტიტუტის გაძლიერებაზე ზრუნავს

15-17 ოქტომბერს, საქართველო ოჯახის ექიმთა მასწავლებლების ევროპული აკადემიის (EURACT– European academy of teachers in general practice of family medicine) წევრი ქვეყნების საოჯახო მედიცინის სფეროს წარმომადგენლებს მასპინძლობდა.

საქართველომ „ოჯახის ექიმთა მასწავლებლების ევროპული აკადემიის“ წევრი ქვეყნების საოჯახო მედიცინის სფეროს წარმომადგენლებს უმასპინძლა

საქართველო აღნიშნული ორგანიზაციის წევრი 2006 წელს გახდა და პირველი სასწავლო ტრენინგები ქართველმა საოჯახო მედიცინის წარმომადგენლებმა სწორედ ამ პერიოდში გაიარეს. ორგანიზაციის მისიაა ევროპაში ოჯახის ექიმთა მასწავლებლების სწავლების დონისა და კომპეტენციის ამაღლება, რათა საბოლოო ჯამში მაღალი კვალიფიკაციის მქონე ოჯახის ექიმები არსებობდნენ.

EURACT ორიენტირებულია საგანმანათლებლო მეთოდებზე. მთელს ევროპაში საგანმანათლებლო ტრენინგები წელიწადში ერთხელ ტარდება. ამჯერად სამდღიანი ტრენინგის ჩატარების ადგილად საქართველო შეირჩა. სასწავლო კურსს ევროპაში აღიარებული ექსპერტები – ეგლერ პრაისი, როჯერ პრაისი და ადამ ვინდაკი უძღვებოდნენ.

EURACT-ის ყოფილი პრეზიდენტი ეგლერ პრაისი დიდ ბრიტანეთში ზოგადი პრაქტიკის ექიმია და საქართველოს სასწავლო კურსის გამო სტუმრობდა.

– ქალბატონო ეგლერ, რა სახის გამოცდილებას უზიარებთ ექიმებს ტრენინგის ფარგლებში და რა არის სამუშაო შეხვედრების მთავარი მიზანი?

– სასწავლო კურსის ფარგლებში ტრენინგის მონაწილეები ეცნობიან ახალ სასწავლო მეთოდებს ზოგადი პრაქტიკის მქონე ექიმებისთვის (for general practice teachers). ზოგადად, კურსი საკმაოდ ცვალებადია. ის მოიცავს ახალ მიღწევებს, ახალ მეთოდებს და იმ უნარებს, რომლებსაც საოჯახო მედიცინის მასწავლებლები უნდა ფლობდნენ. ჩვენ, ყველანი პრაქტიკოსი ექიმები ვართ, მაგრამ იმისთვის, რომ იყო მასწავლებელიც, გჭირდება გარკვეული დამატებითი უნარები, რათა სხვებს ასწავლო.

ამ ეტაპზე ვასწავლით ძირითად სასწავლო მეთოდებს, რომლებიც ყველაზე უკეთ მუშაობს ხოლმე. საქართველოში უკვე არიან მასწავლებლები, რომლებმაც ეს ტრენინგი გაიარეს, არიან გამოცდილი ტრენერები, რომლების მუშაობის სტილსაც მე კარგად ვიცნობ. ზოგადად, ქართველი ექიმები ძალიან სწრაფად ითვისებენ სიახლეებს და მათ ყოველდღიურ პრაქტიკაში წარმატებით ნერგავენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი ცოდნის გაზიარება უნივერსიტეტებში სტუდენტებისთვის, სასწავლო პროცესის დროს. ამ ტრენინგის მთავარი დადებითი მხარე ის გახლავთ, რომ მისი მონაწილეები არიან სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები, მათ სწავლების განსხვავებული მეთოდები აქვთ. გვაქვს თეორიული პრეზენტაციები, დისკუსიები მცირე ჯგუფებში, სადაც საკუთარი ცოდნის განსხვავებული მეთოდით შეფუთვასა და გადაცემის მეთოდებს სწავლობენ, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. ეს ინტერაქტიული სწავლებაა და კოლეგები ერთმანეთისგან ასე უფრო მეტს იგებენ. მონაწილეები ერთმანეთთან კონტაქტს არ წყვეტენ და როდესაც საკუთარ ქვეყნებში დაბრუნდებიან, იქიდანაც შეძლებენ ინფორმაციის გაცვლას ერთმანეთში.

ჯანდაცვის სამინისტროში, ოქტომბრიდან, პირველადი ჯანდაცვის რეფორმა დაიწყო, რაც ოჯახის ექიმის ინსტიტუტის გაძლიერებასაც გულისხმობს. EURACT-ის საბჭოს წევრი და თსსუ-ს საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გივი ჯავაშვილი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ წამოწყებულ რეფორმას საჭიროს და დროულს უწოდებს. „თუ სამინისტრო EURACT-ის სასწავლო კურსის ფარგლებში დატრენინგებული საოჯახო მედიცინის წარმომადგენლების რესურსს გამოიყენებს, ეს პირველად ჯანდაცვას სასიკეთოდ წაადგება“,- აღნიშნავს ჯავახიშვილი.

– ჯანდაცვის სამინისტრომ პირველადი ჯანდაცვის მნიშვნელობა წინ წამოწია და დიდი იმედი მაქვს, რომ ასეთი ტიპის საგანმანათლებლო სამუშაოები, რომლებიც ხარისხის ამაღლებას ემსახურება, ჯანდაცვის სამინისტროს ძალიან გამოადგება. ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა გამოიყენოს ეს ადამიანური რესურსი მომავალ საქმიანობაში, მით უმეტეს, რომ პირველადი ჯანდაცვის რეფორმას იწყებენ და ეს საჭიროა. ვისურვებდი, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ მოახერხოს და დანერგოს ოჯახის ექიმების უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა. 2007 წლამდე უწყვეტი განათლების პროგრამა სავალდებულო იყო, შემდეგ გაუქმდა. კარგი იქნება, თუ კვლავ განახლდება.

– რამდენად მოსალოდნელია პაციენტების აქტიურობა პირველადი ჯანდაცვის სერვისის მისაღებად?

– მას შემდეგ რაც სისტემა აეწყობა, საზოგადოებაც ნელ-ნელა გაითავისებს თუ რა სჭირდება, როგორ უნდა მოიქცეს, რა შემთხვევაში სჭირდება ვიზიტი სპეციალისტთან და რა შემთხვევაში ოჯახის ექიმთან. როგორც ბრიტანელმა კოლეგამ აღნიშნა, ისინი ძალიან იშვიათად აგზავნიან პაციენტებს სხვა ექიმებთან, ეს პაციენტსა და ოჯახის ექიმს შორის დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ნდობის შედეგია, რასაც, რა თქმა უნდა, ექიმის კვალიფიკაცია განაპირობებს. ასეთი ურთიერთობა რომ შედგეს საქართველოში, მხოლოდ ექიმების ძალისხმევა არ კმარა. სახელმწიფოში, პირველ რიგში, უნდა ჩამოყალიბდეს ჯანდაცვის სისტემისადმი საზოგადოების ნდობა. ჩვენთან, ამჟამად, არის სპეციალისტების კულტი. მისასალმებელია, რომ ჯანდაცვის სამინისტრო იწყებს პირველადი ჯანდაცვის გამყარებაზე ზრუნვას, რომელიც არა მარტო ხარჯთეფექტურია, არამედ კარგია პაციენტებისთვის. სპეციალისტებთან წარამარა სირბილი არ არის საჭირო, ასევე, შეინიშნება დიდი ოდენობით წამლების დანიშვნის ტენდენცია. მოქალაქეებმა უნდა გაიგონ, რა შემთხვევაში და რატომ სჭირდებათ ოჯახის ექიმი. ამ ყველაფერში ოჯახის ექიმებს ჯანდაცვის სამინისტროს მხარდაჭერა სჭირდებათ. სამინისტრო უნდა ეცადოს, რომ საოჯახო მედიცინის მნიშვნელობის შესახებ ინფორმაცია მოსახლეობას სწორად და საინტერესო მეთოდებით მიაწოდოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ცერი ამერიკისგან თავშესაფარს ითხოვს(?!)

გენერალური შტაბის უფროსისა და შშმ ოფიცრის დაპირისპირების დაფარული დეტალები

ვიცე-პოლკოვნიკ ალექსანდრე ტუღუშს ვახტანგ გორგასლის ორდენი გადასცა და სიტყვითაც გამოვიდა, რომ ამ გმირებზე სახელმწიფომ სულ სხვანაირად უნდა იზრუნოს... ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც სააკაშვილის პრეზიდენტობა დღეებს ითვლიდა. უფრო მეტიც, სწორედ იმ პერიოდში, სააკაშვილმა ტუღუშთან დაკავშირებით კამპანიაც წამოიწყო და ტელეკამერების თანდასწრებით ოფიცრის საცხოვრებელი ავტოფარეხის წინ ბრიფინგი გამართა შინაარსით – სირცხვილია, რომ ჩვენი დროის გმირები ასეთ პირობებში ცხოვრობენ. ამ განცხადებას, ბუნებრივია, თავდაცვის სამინისტროც გამოეხმაურა და სააკაშვილი სიცრუეში დაადანაშაულა. შეიარაღებული ძალების პოზიცია გენერალური შტაბის უფროსის მაშინდელმა მოადგილემ (ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა), გენერალმა კაპანაძემ გააჟღერა და განაცხადა, რომ ვიცე-პოლკოვნიკი ტუღუში უკვე დაკმაყოფილდა ბინით. ამ განცხადებამ ძალიან გააღიზიანა ვეტერანი და მოგვიანებით, როგორც „პრაიმტაიმს“ უამბობენ, გენერალს ბოდიშის მოხდაც მოუხდა...

კულისებში კი სიტუაციას ასე აღგვინერენ: ვიცე-პოლკოვნიკმა ტუღუშმა თავად თქვა უარი ბინაზე და მის ნაცვლად თავდაცვის სამინისტროს სთხოვა, მისი დის საცხოვრებელ კორპუსთან არსებული ავტოფარეხი მოეწყოთ მისთვის საცხოვრებლად. ეს შესრულდა კიდეც. ეს თხოვნა ერთადერთი არ ყოფილა და ირაკლი ალასანიას მინისტრობის პირობებშიც და მერეც სამინისტროს ხელმძღვანელობა ალექსანდრე ტუღუშისა და მისი თანამებრძოლების სხვა თხოვნებსაც ასრულებდა. გარდა კომპენსაციის სახით გაცემული თანხისა, მათ მკურნალობასაც აფინანსებდნენ და შესაძლებლობის ფარგლებში სოციალური პრობლემების მოგვარებაშიც ეხმარებოდნენ... თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს არ იყო საკმარისი. მაგალითად, როგორც „პრაიმტაიმს“ უამბობენ, კაპიტან დოლიძეს სამინისტროსთვის მისი საცხოვრებელი სახლის მისასვლელის ადაპტირება მოუთხოვია. ის ერთ-ერთ თბილისურ ეზოში მეორე სართულზე ცხოვრობს. როგორც „პრაიმტაიმს“ აუხსნეს, მისი თხოვნის დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა, ვინაიდან ამაზე მეზობლებმა თქვეს უარი. შედეგად კაპიტანმა გადააღებინა ვიდეომასალა, როგორ აჭყავთ ის ხელში აყვანილი საკუთარ სახლში. ეს ვიდეომასალა კი მოგვიანებით ამერიკაში წაიღო. ვარაუდობენ, რომ ამის ჩვენება ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მის მოთხოვნას ამერიკაში თავშესაფრის მიცემაზე უსათუოდ დააკმაყოფილებს...

რაც შეეხება წამლის საქმეს, რის შესახებაც თავდაცვის მინისტრმა ფრაგმენტულად გააჟღერა, „პრაიმტაიმმა“ შეიტყო, რომ საქმე ეხება 2011 წელს, როდესაც კაპიტანი დოლიძე ამერიკიდან დაბრუნდა. მან იქ მკურნალობის კურსი ჩაიტარა და სამშობლოში დაბრუნებულმა მისი ჯანმრთელობისთვის აუცილებელი წამლებიც ჩამოიტანა. მას ეს წამლები ჩამოართვეს. როგორც ამბობენ, ამ საქმეში ჰოსპიტალის დირექტორი, ცნობილი „ქილერა“ მონაწილეობდა...

როგორც ირკვევა, ავღანეთის ომის ვეტერანებს გენერალური შტაბის უფროსთან პრეტენზიები მისი ქალიშვილის საქმიანობის გამოც ჰქონიათ. დეტალებს არ გვიყვებიან, თუმცა გვარწმუნებენ, რომ ეს პრეტენზიები ქალბატონ ანა კაპანაძის მოღვაწეობის იმ პერიოდს ეხება, როდესაც ის ვეტერანთა სარეაბილიტაციო ცენტრს ხელმძღვანელობდა...

ამერიკაში მომხდარ ინციდენტში ალეკო ტუღუშის სახლის შესახებ თემა კვლავაც წამოჭრილა, სადაც ვახტანგ კაპანაძემ ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულება ისევ ძველი განცხადების შესაბამისად გამოხატა, რის გამოც სატელეფონო კავშირით საქმეში ისევ ალექსანდრე ტუღუში ჩაერთო და შესაბამისად, სიტუაციაც უფრო დაიძაბა.

ახლა კი იმის შესახებ, რატომ დაარქვა მინისტრმა დოლიძეს მოქმედი სამხედრო, როდესაც ის ყველა მედიასაშუალებით ვეტერანად მოიხსენიებოდა მხოლოდ...

როგორც „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, ავღანეთში დაინვალიდებული სამხედროების მიმართ სამინისტროს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს და ცდილობენ, ისინი თადარიგში არ გაუშვან. შესაბამისად, დასაქმებული ჰყავთ სხვადასხვა რგოლებში. მაგალითად, ალექსანდრე ტუღუში ამერიკაში ატაშეს თანაშემწეა. რაც შეეხება კაპიტან დოლიძეს, ის ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლის მრჩევლად არის გაფორმებული. თუმცა, მას თავისუფალ რეჟიმში უნევს მუშაობა. ის ხშირად ჩადის ამერიკაში რეაბილიტაციის კურსების გასავლელად, ამიტომაც მისი იქ ყოფნა, როდესაც საქართველოდან დელეგაცია ჩავიდა, არც არავის გაჰკვირვებია.

ვინ არის კაპიტანი, რომელმაც გენერალ კაპანაძესთან ჭიქის სროლა გაბედა?

ერთი სიტყვით, ვფიქრობთ, „პრაიმტაიმმა“ შეძლებისდაგვარად შეძლო იმ მკითხველის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, რომელმაც მომხდარი ინციდენტის ვერც თავი გაიგო და ვერც ბოლო. რაც შეეხება დეტალების სიზუსტეს, თუ რომელიმე მხარეს ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ მაინც გაუჩნდება სურვილი, რომ მეტი უამბოს „პრაიმტაიმის“ მკითხველს მომხდარის შესახებ, ჩვენ სიამოვნებით მოვუსმენთ. მანამდე კი გთავაზობთ ინტერვიუს სამხედრო ექსპერტთან, რომელიც ვეტერანების პრობლემებში უფრო მეტად ჩაგვახედებს.

რეზო სახვაძე:

– ვახტანგ დოლიძეს მანამდე ვიცნობდი, სანამ ის ავღანეთში წავიდოდა...

– ახლა სარდლის მრჩეველი ყოფილა... შეიძლება მოქმედი სამხედრო ისე აღმოჩნდეს უცხო ქვეყანაში, რომ არც შვებულება ჰქონდეს და არც მივლინება?..

– გამორიცხულია, ის იქ სამხედრო პოლიციის ინფორმირების გარეშე აღმოჩენილიყო... ის, ალბათ, მიწვეული იყო ამ შეხვედრაზე, უბრალოდ, ახლა მალავენ ამ ფაქტს.

– ვეტერანებს პრეტენზიები ჰქონიათ გენერალური შტაბის უფროსის ქალიშვილთან. რა ინფორმაციას ფლობთ ქალბატონი ანა კაპანაძის საქმიანობის შესახებ და რა პრეტენზიები შეიძლება ჰქონდეთ ვეტერანებს მასთან?

– ეს ქალბატონი იყო ვეტერანთა რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელი. რამდენად კარგად ართმევდა თავს ამ საქმეს და რამდენად კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ჰქონდა მას ვეტერანებთან, ეს გამოჩნდა თუნდაც ამ შეხვედრიდან. მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ ეს ინციდენტი მხოლოდ ამის გამო მოხდებოდა...

– რას გულისხმობთ?

– დაულაგებელ სიტუაციებს ჯარში, მოუწესრიგებელ საყოფაცხოვრებო პირობებს. მართალია, წინა ხელისუფლებაზე მეტად გაისარჯნენ სამხედროებისთვის და ვეტერანებისთვის, მაგრამ ხალხი ჯანმრთელობას კარგავს, სიცოცხლეზე რომ არაფერი ვთქვათ. ძალიან მცირედი და მიზერია, რასაც სახელმწიფო აკეთებს ვეტერანებისთვის. სამხედროები უნდა გრძნობდნენ, რომ სახელმწიფო მათ გვერდშია.

– საინტერესოა თქვენი დამოკიდებულება, როცა შეიტყობთ, რომ ჯანმრთელობადაზიანებული ოფიცერი სხვა ქვეყნის სახელმწიფოსგან ითხოვს თავშესაფარს მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარ სახლში ვერ ახერხებს სხვის დაუხმარებლად შესვლას...

– ეს არის დიდი სირცხვილი. ასეთ ადამიანებზე პატრონაჟი მარტო თავდაცვის სამინისტროს საქმე არ არის. მთლიანად სახელმწიფომ უნდა აიღოს მათზე პასუხისმგებლობა. თუკი მეზობელია ადაპტირების წინააღმდეგი, ბოლოს და ბოლოს, აუშენონ სახლი. ამას როცა სხვა სამხედრო დაინახავს, ის დარწმუნებული იქნება, რომ სახელმწიფო მას არასდროს მიატოვებს. არ შეგინიშნავთ ქაშუეთის ეკლესიასთან სამხედრო ფორმაში ჩაცმული ყავარჯნებიანი ადამიანი? ის დღეს მათხოვრობს. აფხაზეთის ომის ვეტერანია. ეს არ არის სირცხვილი? თუ მას სახელმწიფო ეხმარება და ის მაინც გარეთ დგას, მაშინ დიდ ბოდიშს მოვიხდი.

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ასახავს თუ არა NDI საზოგადოების
და როგორია ალტერნატიული კ

მირიან ბოქოლიშვილი

NDI-ს კვლევის შედეგები, რომელიც გასულ კვირას, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე გამოქვეყნდა, ტრადიციულად არაერთგვაროვანი შეფასებების საფუძველი გახდა. მიხეილ სააკაშვილი უკვე გამარჯვებას ზეიმობს და ამბობს: „პირველად 2012 წლის არჩევნების შემდეგ საქართველოში ჩემი პარტია ძირითადი ლიდერების დაპატიმრებისა და ქვეყნიდან გაძევების მიუხედავად, იგებს არჩევნებს“.

მმართველი გუნდი კი სააკაშვილის სიხარულს ნაადრევად მიიჩნევს და გამოკითხვის შედეგებს ეჭვის თვალით უყურებს. ისინი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ამავე ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევას იხსენებენ, რომლის მიხედვითაც არჩევნებს „ნაციონალური მოძრაობა“ დამაჯერებლად იგებდა, „ქართული ოცნების“ რეიტინგი კი სადღაც 10 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა.

რამდენად ასახავს „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ კვლევა საზოგადოების რეალურ განწყობებს და როგორია ალტერნატიული კვლევის შედეგები? ამის გასარკვევად „პრაიმტაიმი“ ფსიქოლოგ ზურაბ ბიგვავას ესაუბრა, რომელიც თავად გახლავთ არაერთი სოციოლოგიური კვლევის ავტორი. სანამ ინტერვიუს გაგაცნობთ, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ NDI-ს კვლევის პოლიტიკურ ნაწილს. კითხვაზე – ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, ვის დაუჭერდით მხარს? – მონაცემები ასე გადანაწილდა: კატეგორია „არ ვიცი“ აირჩია 35%-მა, „არც ერთი პარტია“ – 14%, „უარი პასუხზე“ – 13%, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 13%, კოალიცია „ქართული ოცნება“ – 11%, ირაკლი ალასანია „თავისუფალი დემოკრატები“ და „პატრიოტთა ალიანსი“ 4-4%, „ლეიბორისტული პარტია“ – 3%. ასევე, 3% მოდის კატეგორიაზე – „სხვა“. აქვე მკითხველს შევახსენებ, რომ NDI-ს კვლევებს აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (Sida) და ატარებს CRRC-საქართველო.

ზურაბ ბიგვავა, ფსიქოლოგი:

– სავარაუდოდ, ამ კვლევაში არის შეცდომა, ან რაღაც მანიპულაცია, თორემ წარმოუდგენელი და ლოგიკას მოკლებულია განწყობებში ასეთი ცვლილება. არის რაღაც გარკვეული მონაცემები და კვლევები, რომელიც ჩატარდა ცალკეულ საარჩევნო ოლქებში. მინდა გითხრათ, რომ ეს მონაცემები მკვეთრად განსხვავდება „ენდიაი“-ს კვლევის

ზურაბ ბიგვავა: „კვლევები ჩატარდა ცალკეულ საარჩევნო ოლქებში და ეს მონაცემები მკვეთრად განსხვავდება NDI-ს კვლევის შედეგებისგან“

შედეგებისგან. მართალია, დიდი მასშტაბის კვლევა არ არის, მაგრამ ეს კვლევები ჩატარდა რამდენიმე ოლქში და ზოგადი სურათი გამოიკვეთა.

– როგორია ამ ალტერნატიული კვლევის შედეგები?

– ამ ოლქებში ჩატარებული კვლევებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს არაუმეტეს 7 პროცენტისა, „ქართულ ოცნებას“ კი წინა არჩევნებთან შედარებით აქვს დაბალი, მაგრამ სხვა პარტიებთან შედარებით ყველაზე მაღალი რეიტინგი. ის კვლავაც პირველ ადგილზეა ამ მონაცემებით.

– იქნებ დაგვიკონკრეტოთ „ქართული ოცნების“ რეიტინგი რამდენია იმ მიკროგამოკითხვაში, რომელზეც თქვენ საუბრობთ?

– დაახლოებით სამჯერ მეტი პროცენტული მაჩვენებელი აქვს მმართველ გუნდს „ნაციონალებთან“ შედარებით. ცოტა უფრო მეტიც.

– მაშინ, რით ხსნით „ენდიაი“-ს კვლევის შედეგებს?

– ძალიან ძნელია ამის ახსნა. თუ გახსოვს 2012



წელს ზუსტად ამ ხალხმა გააკეთა გამოკვლევა, სადაც იყო ერთი ასეთი პარადოქსული შედეგი: ბიძინა ივანიშვილის მოწოდებაზე ქუჩაში გამოსვლის მზაობას გამოთქვამდა გამოკითხულთა დაახლოებით 30 პროცენტი, ხოლო ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერის მაჩვენებელი დაფიქსირეს 7 პროცენტი. დაახლოებით ასეთ ვარიანტთან გვაქვს საქმე ახლაც. მაშინ, „ენდიაი“-ს ხელმძღვანელობამ ვერ ახსნა, რით იყო განპირობებული ასეთი პარადოქსული შეუთავსებლობა მაჩვენებლებს შორის და ეს საკითხი მერე საერთოდ მიაფუჩეჩეს. წარმოიდგინეთ, 30 პროცენტი მზად იყო, ბიძინა ივანიშვილთან ერთად ქუჩაში

„ქართულმა ოცნებამ“ ნამდვილად დაკარგა მხარდამჭერთა გარკვეული რაოდენობა, მაგრამ არა იმდენი, რომ არჩევნები წააგოს და მეორე ადგილზე გავიდეს“

ებრძოლა, და ამავე დროს თურმე მხოლოდ 7 პროცენტი მისცემდა ხმას არჩევნებზე. ხომ წარმოუდგენელია არა? ასეთივე ალოგიკურია გასულ კვირას გამოქვეყნებული შედეგებიც. ძნელია იმის თქმა, ეს რატომ მოხდა, შეგნებულად დაამახინჯეს მონაცემები, თუ რამე შეცდომა გაიპარა, მაგრამ ფაქტია, რომ ლოგიკას არ ექვემდებარება. ასეთი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად მაქვს იდეა, რომ ჩავატაროთ ერთობლივი კვლევა. ყველა დაინტერესებულმა მხარემ შევქმნათ საბჭო, მოვიპოვოთ დაფინანსება და ერთად გავაკეთოთ ეს კვლევა, მერე რომ აღარ იყოს საუბარი იმაზე, მე ვენდობი და შენ არ ენდობიო. უფრო სამართლიანიც იქნება და კითხვებიც ნაკლები გაჩნდება.

– საინტერესო იდეაა და, ასევე, საინტერესოა, თუ მოჰყვება ამ იდეას გამოხმაურება...

– აი, ახლა, თქვენი გაზეთის მეშვეობით, მოვუწოდებ ყველა მხარეს და იგივეს გავიმეორებ ნებისმიერ დროს, რომ შევქმნათ საერთო ჯგუფი და ჩავატაროთ მართლაც ისეთი გამოკითხვა, სადაც არანაირი ეჭვები აღარ გაჩნდება. ვნახოთ, რა შედეგები დაიდება. პირადად მე მზად ვარ, ასეთი კვლევის ჩასატარებლად და მოვუწოდებ ყველას, იქნება ეს „ენდიაი“, „აირაი“, თუ სხვა კვლევითი ორგანიზაციები. თავის დროზე, როდესაც მე ჩავატარე კვლევა, მზად ვიყავი, პირველადი ფაილი, ანუ მონაცემები, საჯარო გამეხადა და დაინტერესებული მხარისთვის მეჩვენებინა. სამწუხაროდ, სხვა კვლევების შემთხვევაში ეს ფაილები მკაცრად დახურულია.

– ანუ თქვენთვის „ენდიაი“-ს კვლევის შედეგები სერიოზულ ეჭვს ბადებს?

– დიახ, ამ შედეგების სანდოობა სერიოზულ ეჭვებს ბადებს. დასაბუთებული ეჭვი მაქვს, რომ ეს მონაცემები რეალურად არ ასახავს საზოგადოების განწყობას.

– ამავე კვლევაში საუბარია იმაზე, რომ გამოკითხულთა 60 პროცენტს ჯერაც არ გადაუწყვეტია, ვის მისცეს ხმა... ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, უპრეცედენტო მაჩვენებელიც კი დაფიქსირდა... რას ფიქრობთ ამაზე?

– კი, ბატონო, ამის გამორიცხვა არ შეიძლება. „ქართულმა ოცნებამ“ ნამდვილად დაკარგა მხარდამჭერთა გარკვეული რაოდენობა, მაგრამ არა იმდენი, რომ არჩევნები წააგოს და მეორე ადგილზე გავიდეს. „ოცნებაზე“ გულაცრუებული ამომრჩეველი არ მიდის ნაციონალებთან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეალურ განწყობებს ვლევის შედეგები?



„თქვენი გაზეთის მეშვეობით მოვუწოდებ ყველა მხარეს, შევქმნათ საერთო ჯგუფი და ჩავატაროთ მართლაც ისეთი გამოკითხვა, სადაც არანაირი ეჭვები აღარ გაჩნდება“

– მაშინ რის ხარჯზე შემცირდა „ოცნების“ რეიტინგი?

– მმართველი გუნდის დაკარგული ამომრჩევლებიდან ნაწილი მოიაზრება სწორედ იმ კატეგორიაში, ვისაც ჯერ არ გადაუწყვეტია, რომელ პარტიას მისცეს ხმა. მეეჭვება, ჩამოუყალიბებელთა კატეგორია 60 პროცენტი იყოს, მაგრამ რაღაც სერიოზული მაჩვენებელი ნამდვილად იქნება. შესაძლოა, ამ ხალხის ნაწილი კვლავ „ოცნების“ სასარგებლოდ ჩამოყალიბდეს. ეს ერთი წელი იქნება გარდამტეხი ამ მიმართულებით. რეალურად ხელისუფლებას საარჩევნო კამპანია არ დაუწყია. საზოგადოებისადმი ანგარიშგება რომ მოხდება, ბევრი რამ თავის ადგილას დადგება. აქტიური და აგრესიული პიარი „ქართული ოცნების“ სტილი არ არის, რამაც გარკვეულწილად განაპირობა მომხრეების დაკარგვაც, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, შედეგი, რომელიც „დემოკრატიულმა ინსტიტუტმა“ გამოაქვეყნა, არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. სხვა ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, „ოცნებას“ აქვს სახელისუფლებო რესურსი, რომელიც იმაზე მეტია, ვიდრე ახლა გამოქვეყნებული მაჩვენებელი. დავიჯერო, „ქართული ოცნების“ მომხრე აღარ დარჩა ქვეყანაში?! ცალკეულ ოლქებში ჩატარებული კვლევები რადიკალურად განსხვავებულ სურათს გვაჩვენებს და გამორიცხულია, ეს მონაცემები ასე დიამეტრალურად განსხვავდებოდეს ზოგადი მონაცემებისგან.

– ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნება“ მიიღებს იმ დონის მხარდაჭერას, რომ ის დამოუკიდებლად მოახერხებს მთავრობის ფორმირებას?

– ეს ძნელი სათქმელია. გააჩნია, როგორ წარმართავს წინასაარჩევნო კამპანიას. წესით, ამ ერთ წელში უნდა გამოჩნდეს შედეგი, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა. თუ ეს შედეგები გამოჩნდება და მისი ანგარიში მისაღები იქნება საზოგადოებისთვის, რა თქმა უნდა, შესაძლოა მხარდამჭერთა რაოდენობის გაზრდა.

– რა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც მმართველმა გუნდმა რეიტინგი დაკარგა?

– ახალი მოსულები იყვნენ ხელისუფლებაში და, შესაბამისად, შეცდომებიც დაუშვეს. რაღაც გააკეთეს, მაგრამ იყო დაპირებები, რომელიც ვერ შესრულდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგი დაპირება, უბრალოდ, მიაწერეს „ქართულ ოცნებას“. „ოცნებასთან“ ასოცირებული ადამიანები ქუჩა-ქუჩა რასაც ლაპარაკობდნენ, ეს საარჩევნო დაპირებად აღიქვა საზოგადოებამ. ამიტომ არის საჭირო, რომ ჩავხედოთ საარჩევნო პროგრამას. გარდა ამისა, ერთ-ერთი მიზეზი არის ძალიან სერიოზული კონტრპროპაგანდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, იგივე „რუსთავი 2“-ის მხრიდან მიდიოდა საკმაოდ კვალიფიციური კონტრპროპაგანდა. აქ მხოლოდ „რუსთავი 2“-ზე არ არის საუბარი. დღეს საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს მედიასაშუალება, რომელიც ხელისუფლების მიღწევებს, ან დადებით მხარეებს აშუქებს. რეალურად, მედია ორიენტირებულია სკანდალსა და უარყოფით მოვლენებზე, ამას აქვს თავისი ახსნა – სკანდალი უფრო ადვილად იყიდება, მაგრამ არც ის არის საიდუმლო, რომ არსებობს დაინტერესებული პოლიტიკური მხარე, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს ხელისუფლების დადებითი მხარეების გადაფარვას.

„აქტიური და აგრესიული პიარი „ქართული ოცნების“ სტილი არ არის, რამაც გარკვეულწილად განაპირობა მომხრეების დაკარგვაც, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, შედეგი, რომელიც „დემოკრატიულმა ინსტიტუტმა“ გამოაქვეყნდა, არანაირ ლოგიკაში არ ჯდება“

ახვლედიანი NDI-ს კვლევებს არ ეთანხმება

NDI-ს მისია „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნებაა – ამის შესახებ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, გიორგი ახვლედიანმა ისაუბრა.

გიორგი ახვლედიანმა NDI-ს მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშზე კომენტირებისას განაცხადა, რომ პოლიტიკურ რეიტინგში „ნაციონალური მოძრაობის“ პირველ ადგილზე აღმოჩენა ქართველის ერის შეურაცხყოფაა.

„ერთადერთი მისია, რომელიც NDI-ს ბოლო 3 წლის განმავლობაში დარჩა საქართველოში, ეს არის ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში დააბრუნოს. ამის შედეგად მივიღეთ უკვე ის სიტუაცია, რომ თურმე „ნაციონალური მოძრაობა“ პირველ ადგილზეა რეიტინგის მიხედვით. ეს არის არათუ აბსურდი და არაადეკვატურობა, ეს არის შეურაცხყოფა, ზოგადად, ქართველი ერის. დროა, სერიოზულად ვიფიქროთ იმაზე, რომ უცხო ქვეყნის კვლევით ორგანიზაციებს ამდაგვარი მონოპოლია საქართველოში აღარ ჰქონდეთ“, – განაცხადა გიორგი ახვლედიანმა.

გუგული მაღრაძე: „ეს არის გამაფრთხილებელი სიგნალი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უკეთესად იმუშაოს“

„ქართული ოცნების“ მთავარი შეცდომა პოლიტიკური სიმწიფის ნაკლებობა და პოლიტიკური ხერხების არცოდნაა. ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გუგული მაღრაძემ „პრაიმტაიმს“ განუცხადა.

გუგული მაღრაძემ NDI-ს კვლევის შედეგები შეაფასა და განაცხადა, რომ არ აქვს მნიშვნელობა, ენდობი თუ არა ამ კვლევას, მთავარია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ისე ვერ იმუშავა, როგორც უნდა ემუშავა.

მისი თქმით, ეს არის გამაფრთხილებელი სიგნალი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გაცილებით უკეთ იმუშაოს.

„უნდა ითქვას ისიც, რომ არ ვიცით პოლიტიკური ხერხები, ეს პოლიტიკური სიმწიფის ნაკლებობის ბრალია. ხალხი არ ფიქრობს, რომ „ქართული ოცნება“ ქვეყნის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, როგორც ეს წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა. ამას ჩვენი ხელისუფლება არასოდეს გააკეთებს“, – განაცხადა გუგული მაღრაძემ.

მან, ასევე, აღნიშნა, რომ შეიქმნა მაღალი მოლოდინები. აქედან გამომდინარე, ხალხი უფრო მეტს ითხოვს ხელისუფლებისგან, ვიდრე ის ამას დღეს აკეთებს.

შეკითხვაზე, რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს, რესპონდენტთა 42%-მა აირჩია კატეგორია – „არც ერთი პარტია“. პარტიების მიერ მიღებული ხმები კი ასე გადანაწილდა: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – 14%; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 13%; „თავისუფალი დემოკრატები“ – 4%; „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 4%; „ლეიბორისტული პარტია“ – 3%; „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ – 3% და კატეგორია „სხვა“ – 3%.

კვლევის საველე სამუშაოები 8 აგვისტო-10 სექტემბრის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 4,448 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე ჩატარდა.

NDI-ს კვლევებს შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SIDA) აფინანსებს და CRRC-საქართველო ატარებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეკონსტრუქციული და პლასტიკური ქირურგიის თანამედროვე მიდგომები „კარაპს მედლაინში“

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

ქეთი მუსერიძე

რეკონსტრუქციული და პლასტიკური ქირურგიის კლინიკა „კარაპს მედლაინი“ 1998 წელს შეიქმნა. 2001 წელს მას მიენიჭა მრავალპროფილური კლინიკის სტატუსი. როგორც „კარაპს მედლაინში“ აღნიშნავენ, მათი წარმატების საიდუმლო არის თანამედროვე ტექნოლოგიები და აღჭურვილობა, უსაფრთხოების გარანტია, უმტკივნეულო მკურნალობა, პაციენტების პრობლემისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების სწორად გამოყენება, მაღალკვალიფიციური უფროსი და საშუალო სამედიცინო პერსონალი. „პრაიმტაიმი“ „კარაპს მედლაინის“ წარმატებებსა და მიღწევებზე პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელს პროფესორ ალექსანდრე კალანტაროვს ესაუბა.

- რა სიახლეებია დღეს კლინიკაში და რა მომსახურეობებს სთავაზობთ მომხმარებლებს?

- კლინიკის სიახლეებს რაც შეეხება, იგივე სიახლეებია რაც თანამდევად ხდება მსოფლიოში. არაფერი განსაკუთრებული, არაფერი სასწაული, თუმცა რაც დღეს ესთეტიკურ ქირურგიაში, პლასტიკურ და რეკონსტრუქციულ ქირურგიაში ხდება იგივე თანამდევი პროგრესით მივყვებით ჩვენც.

ჩვენს ქართველ და არაქართველ სტუმარ პაციენტებს (რომლებიც საკმაოდ მრავლად გვყავს ამ ბოლო დროს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისთვის, ასევე ჩვენთვისაც), ვთავაზობთ ფართო სპექტრს პლასტიკურ ქირურგიაში. უცხოეთიდან ჩამოდის ძალიან ბევრი პაციენტი მაგ: შეერთებული შტატებიდან, ასევე ვლადიკავკაზიდან ჩამოდის უამრავი პაციენტი და მათთან კვირაში სამი ოთხი ოპერაცია გვაქვს. ასევე ბევრია ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, ისინი დიდი ხანია წასული არიან საქართველოდან, სამი თვით ადრე გეგმავენ და მოდიან ჩვენთან ოპერაციების გასაკეთებლად. ეს, ერთი მხრივ, ძალიან კარგია, რადგან ხაზს უსვამს, ალბათ, ჩვენი პროფესიონალიზმის დონეს, კლინიკის ხარისხს, და თან საქართველო, შეიძლება ითქვას, მიმზიდველი გახდა ამ სფეროში მოღვაწე ბიზმესმენებისთვისაც. რაც შეეხება ჩვენს შეთავაზებებს, ვთავაზობთ ყველაფერს, გარდა თმის გადანერგვისა. თბილისში არის კარგი ცენტრები, რომლებიც დაკავებულნი არიან სპეციფიკურად ამ თემატიკით. ამ თემას ძალიან დიდი დრო მიაქვს და სპეციალური ცენტრი სჭირდება. ეს არის ესთეტიკური მედიცინა, ანუ კოსმეტოლოგია, რომელსაც ჩვენ ფართო მასშტაბით არ ვთავაზობთ. თუმცა, ჩვენთან შეგიძლიათ გაიკეთოთ ბოტოქსის ინექციები, ბიოთავსებადი გელის ინექციები, სახის გაახალგაზრდავების მარტივი პროცედურები, როგორიცაა ცხიმის გადანერგვა ლიპოჰილინგი, რომელიც დღეს მსიფლიოში ძალიან პოპულარულია. ეს ყველაფერი ჩვენთან საკმაოდ წარმატებით და დიდი რაოდენობითაც კეთდება. აგრეთვე ყველაზე მარტივი პროცედურები - მუხლების ლიპოსაქცია, რინოპლასტიკები, ანუ ცხვირის პლასტიკა, ძუძუს პლასტიკა, მუცლის და სახის პლასტიკა, სახის ენდოსკოპიური ტექნოლოგიის ჩათვლით. რაც, ბოლო ხუთი ათი წელია მსოფლიო ბაზარზე შემოვიდა და ეტაპურად სხვადასხვა ქვეყნებში ჰპოვა განვითარება. ჩვენ უკვე რვა წელია ამას მივყვებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის გაახალგაზრდავების ტექნოლოგია შესაძლებელია დღეს დიდი ჭრილობების გარეშე, ანუ კეთდება სულ ოთხი თუ ხუთი ნაჩხვლეტი თავის თმიან ნაწილში, არც თმის მოკრეჭვაა საჭირო, არც დამატებითი ჭრილობების გატარება და ამის ხარჯზე მთელი სახის ზედაპირის გაახალგაზრდავება მიმდინარეობს. საბოლო ეფექტი კი მინუს 10 - 15 წელია. ეს ერთ-ერთი სიახლეა მსოფლიოში. რა თქმა უნდა, ჩვენი კოლეგები, კოსმეტოლოგები ცდილობენ იგივე გააკეთონ ძაფებით, მეზოთერაპიული საშუალებებით, თუმცა ამ რადიკალიზმთან და ამ მასშტაბებთან ახლოს ვერ მივლენ. რაც შეეხება ძუძუს, რაც ასევე მნიშვნელოვანია, კეთდება ყველა ტიპის ძუძუს პლასტიკა, ეს არის გადიდება, აწევა, დაპატარავება, აწევადა-გადიდება ერთ მომენტად. და, რაც მთავარია, დღეს საქართველოში და არამარტო საქართველოში იმატა ძუძუს კიბოს შემთხვევებმა, ამან კი გამოიწვია ონკოლოგიისა და პლასტიკური ქირურგიის მეგობრობა. როცა ახალგაზრდა ქალს ძუძუს აჭრიან ავთვისებიანი პათოლოგიების გამო, იმ მომენტშივე კეთდება რეკონსტრუქცია ანუ პლასტიკური ქირურგები ვმუშაობთ მამოლოგებთან ერთად. ეს ჩვენს კლინიკაში კარგად დაინერგა. ერთი ოპერაციის მსვლელობისას ისინი ემშვიდობებიან ამ პათოლოგიურ კერას და ილვიძებენ პრაქტიკულად ჩვეულებრივი ძუძუთი. ეს არის ჩვენი და მსოფლიო მედიცინის მიღწევა, რომელმაც იპოვა თავისი ადგილი, მიუხედავად მისი სიძვირისა.

ПРОФЕССОРИ АЛЕКСАНДРЕ КАЛАНТАРОВИ

- რატომ ირჩევენ საქართველოს და კონკრეტულად თქვენს კლინიკას უცხოელი პაციენტები?

- ეს არის ფინანსური მომენტი და კონტაქტები. თბილისში უცხოელი პაციენტები კმაყოფილნი რჩებიან ფასით და მომსახურებით. ჩვენთან ბევრად ნაკლები ფასებია ვიდრე ევროპაში ან ამერიკაში. მაგალითად, გერმანელები პოლონეთში მიდიან ოპერაციების გასაკეთებლად, რადგან პოლონეთში ბევრად დაბალია ოპერაციების ფასი. მაგალითად, თუ გერმანიაში ღირს 8-10 ათასი ევრო, პოლონეთში იგივე მომსახურება 3-4 ათასი ევრო ღირს. ეს მნიშვნელოვანი თანხაა ჩვეულებრივი საშუალო ევროპელი მოქალაქისთვის. სახის ოპერაცია, რაც ამერიკაში ღირს 40 - 45 ათასი დოლარი, ჩვენთან ღირს 10 000 დოლარის ეკვივალენტი ლარში. რაც შეეხება კომფორტს, ჩვენთან ძალიან მაღალი დონეა, სტაციონარში გვაქვს ყველა პირობა, კვებიდან დაწყებული სამედიცინო მომსახურებით და კვალიფიციური პერსონალით დამთავრებული. აეროპორტში გაცილებაც მომსახურების სფეროში გვაქვს, ანუ ამ თვალსაზრისით ვცდილობთ, რომ ვიყოთ თანამედროვენი, ისე, როგორც უნდა იყოს ყველა ნორმალური კლინიკა.

- უცხოელი პაციენტებისთვის, რომელი ოპერაციების გაკეთება გიწევთ ყველაზე ხშირად?

- სტატისტიკურად ოპერაციები, რომლებიც უცხოეთიდან ჩამოსულ პაციენტებზე კეთდება, ეს არის რინოპლასტიკა. ამერიკელი პაციენტი გვყავდა, რომელმაც ერთად გაიკეთა ოთხი - ხუთი ოპერაცია. მუცლის ლიპოსაქცია, ძუძუს აწევა, ქვედა კიდურების პლასტიკა. დაახლოებით ერთი კვირა იმყოფებოდა სტაციონარში და არანაირი დისკომფორტი არ შექმნია ენის ბარიერის მხრივ და ისე გრძნობდა თავს, როგორც თავის ქვეყანაში. ქართველ პაციენტებშიც იგივეა, ყველაზე პოპულარული, დაახლოებით 70%, ეს არის რინოპლასტიკები ანუ ცხვირის პლასტიკა. ჩვენთან კეთდება რეკონსტრუქციული ქირურგიაც, როგორიცაა დაზიანებული კიდურის აღდგენა, დამწვარი კანის და სახეზე მიღებული დაზიანების რეკონსტრუქცია, ტუჩის და სახის ნაპრალი, ან ბავშვებს ვუკეთებთ შესაბამისს ოპერაციებს. ეს უკვე სხვა ძვირადღირებული ქირურგიაა.

- რითი გამოირჩევით „კარაპს მედლაინი“ სხვა მსგავსი პროფილის კლინიკებისგან?

- სხვებისგან ჩვენ გამოვირჩევით იმით, რომ მეტი და თამამი შეთავაზებების მიცემა შეგვიძლია ესთეტიკურ და პლასტიკურ ქირურგიაში. ხშირ შემთხვევაში, სპექტრი ზოგან ვიწროა, ზოგან მიდგომებია მოძველებული, ეს ჩემი სუბიექტური აზრია. ამ შემთხვევაში ვეყრდნობი მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო სტატისტიკას და საზოგადოებისგან მიღებულ ინფორმაციას.

- და ბოლოს თქვენ სამომავლო გეგმებზე, რომ გვესაუბროთ?

- „კარაპს მედლაინი“ 2012 წლიდან „სამედიცინი კორპორაცია ევექსის“ ქსელში შემავალი კლინიკაა. სულ მალე საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი, რომელიც, თავის მხრივ, „სამედიცინო კორპორაცია ევექსს“ მართავს, ლონდონის საფონდო ბირჟაზე გავა. იქ მოზიდული კაპიტალი კი „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ქსელში შემავალი კლინიკების რეინვესტირებას მოხმარდება, რაც ჩვენი კლინიკების კიდევ უფრო თანამედროვე აღჭურვას და მსოფლიო სამედიცინო ინოვაციების დანერგვას შეუწყობს ხელს და ჩვენ კიდევ უფრო გავძლიერდებით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პროკურატურამ თაროზე შემ

მირიან ბოქოლიშვილი

20 წელზე მეტია, ეს საქმეები თაროზე იყო შემოდებული და იმის გამო, რომ საქართველოს კანონმდებლობა ძებნაში მყოფი პირის დაუსწრებლად გასამართლებას ზღუდავდა, უამრავი დაზარალებული წლების განმავლობაში უშედეგოდ ელოდა დამნაშავეების დასჯას. რაკიღა მოქმედი კანონმდებლობა ასეთ შეზღუდვას უკვე აღარ აწესებს და სასამართლოში პირის გასამართლება დაუსწრებლადაც შესაძლებელია, ბადაშვილის უწყებამ 90-იანი წლების გახმაურებული საქმეების თაროდან ჩამოღება და სასამართლოსთვის გადაცემა გადაწყვიტა.



თავდამსხმელები მათ საძინებელ ოთახში შეუვარდნენ, საწოლში მწოლიარე ცოლ-ქმარი სცემეს და 14 ათას დოლარი, ასევე, საკმაოდ დიდი ოდენობით ძვირფასეულობა, მათ შორის ანტიკვარული ნივთები გაიტაცეს

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ამჟამად, საერთო სასამართლოებში თავისი სისასტიკით გამორჩეულ რამდენიმე კრიმინალურ დაჯგუფებას ასამართლებენ. ყაჩაღობა, ძარცვა, დასახიჩრება და რიგ შემთხვევაში სიცოცხლის მოსპობაც კი – ასე გამოიყურება 90-იანების კრიმინალური სერია, რომელიც წლების განმავლობაში ელოდა მართლმსაჯულების ვერდიქტს.

სისასტიკით გამორჩეული ერთ-ერთი ასეთი თავდასხმა 1995 წლის 31 დეკემბერს თბილისში მოხდა. კლდეკარის ქუჩაზე მცხოვრებ მაისურაძეების ოჯახს ავტომატებით შეიარაღებული 6 პირი ახალი წლის ღამეს დაესხა თავს. ბინაში შესვლამდე თავდამსხმელებმა საწამლავით მოწამლეს მაისურაძეების ეზოს ორი ძაღლი, სახლში შესულებმა კი სასტიკად აწამეს იქ მყოფი ორი უმწეო მოხუცი ცოლ-ქმარი – ჟუჟუნა და აბესალომ მაისურაძეები. სასამართლოში წარდგენილ ექსპერტიზის დასკვნაში დეტალურად არის აღწერილი მოხუცების მრავლობითი დაზიანებები, რომელიც მათ რკინის კეტითა და დანით ჰქონდათ მიყენებული. მოხუცი ცოლ-ქმრის რამდენიმესაათიანი წამების შემდეგ თავდამსხმელებმა ბინიდან 30 ათას ლარამდე ღირებულების ძვირფასეულობა და საოჯახო ნივთები გაიტაცეს. ამ სასტიკი თავდასხმიდან 20 წლის შემდეგ სასამართლო 6 პირის ბრალეულობის საკითხს იხილავს, თუმცა ყველა მათგანი ოფიციალურ ძებნაში იმყოფება, ბრალდებულები არიან: ზაზა გარსევანიშვილი, კობა ლაზაშვილი, კობა კობახიძე, ბაჩუკი კანთელიძე და გამოძიებით კვლავაც დაუდგენელი ქურთი ეროვნების ორი მოქალაქე სახელად – გოჩა და გურამი.

სასამართლოშია გადაცემული ერთ-ერთი ცნობილი დაჯგუფების საქმეც, ერეკლე ქვრივიშვილის, მეტსახელად „რემბოს“, ხელმძღვანელობით. საქმის მასალებით ირკვევა, რომ საუბარია 7-კაციან დაჯგუფებაზე, რომლის სახელსაც უკავშირდება 1997 წელს თბილისში მარუაშვილების ოჯახზე შეიარაღებული თავდასხმა. მაშინ ოჯახის უფროსი თეიმურაზ მარუაშვილი და მისი მეუღლე ნინო გაგიძე, ასევე, სასტიკად აწამეს. თავდამსხმელები მათ საძინებელ ოთახში შეუვარდნენ, საწოლში მწოლიარე ცოლ-ქმარი სცემეს და 14 ათას დოლარი, ასევე საკმაოდ დიდი ოდენობით ძვირფასეულობა, მათ შორის ანტიკვარული ნივთები გაიტაცეს.

თავდამსხმელებმა საწამლავით მოწამლეს მაისურაძეების ეზოს ორი ძაღლი, სახლში შესულებმა კი სასტიკად აწამეს იქ მყოფი ორი უმწეო მოხუცი ცოლ-ქმარი

იმავე წელს თბილისში მოქმედი კიდევ ერთი დაჯგუფების სამიზნე გახდა ნამოევების ოჯახი. 10 შეიარაღებული ნიღბიანი გრიშა ნამოევის ოჯახს ღამის 3 საათზე დაესხა თავს. ოჯახის უფროსის თვალწინ აწამეს მისი რძალი ხათუნა ამოევა, თავად გრიშა ნამოევს კი თავდამსხმელებმა „ნაგანის“ პისტოლეტით მუხლი დაუხვრიტეს, რის შემდეგაც სახლიდან 4 ათასი დოლარის, 5 ათასი ლარის და 5 მილიონი რუსული რუბლის ღირებულების ფულადი თანხა, ძვირფასეულობა და საოჯახო ნივთები გაიტაცეს.

სასამართლოშია 1997 წელს თბილისში, ცაბაძის ქუჩაზე მდებარე ბაზრობის დირექტორზე ზურაბ დათაშვილზე მომხდარი თავდასხმაც. მას თავს ბაზრობის საწყობში დაესხნენ და მოკვლის მუქარით 30 ათასი დოლარი გასტაცეს. წინააღმდეგობის გაწევის დროს თავდამსხმელებმა ბაზრობის დირექტორი ფეხში პისტოლეტით დაჭრეს. გაქცევის დროს კი მათ შემთხვევის ადგილზე მყოფ პოლიციელსაც ესროლეს, რომელიც სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა.

სასამართლოში არსებით განხილვაზეა გადაგზავნილი 90-იან წლებში საქართველოს რეგიონებში მომხდარი რამდენიმე სასტიკი დანაშაულის საქმეც

რუსთავის საქალაქო სასამართლო სწორედ ახლა განიხილავს კახა შანშიაშვილის საქმეს, რომელიც, საქმის მასალებით, ერთ-ერთი კრიმინალური დაჯგუფების მეთაური გახლდათ. თუმცა ამ საქმეში გამოჩნდა ახალი მტკიცებულება, რომელმაც შესაძლოა, კახა შანშიაშვილის ბრალეულობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს. საუბარია მისი ძმის, გელა შანშიაშვილის მიერ თვითმკვლელობამდე დატოვებულ წერილზე, რომელიც შანშიაშვილების ოჯახმა, „პრაიმტაიმის“ მეშვეობით, 11 წლის შემდეგ გაასაჯაროვა. ეს წერილი პრაქტიკულად თავდაყირა აყენებს გამოძიების აქამდე არსებულ ოფიციალურ ვერსიას, სადაც ყაჩაღური დაჯგუფების ერთ-ერთ ხელმძღვანელად გელა შანშიაშვილის ძმა, კახა შანშიაშვილი სახელდება.

ვინაიდან ამ საქმეში ბევრი საეჭვო გარემოება იკვეთება, ამიტომაც თქვენს ყურადღებას რამდენიმე დეტალზე შევაჩერებ და ისტორიას ოდნავ ვრცლად გიამბობთ. 2000 წლის 9 აგვისტოს განაჩენით კახაბერ შანშიაშვილი, თანამზრახველებთან ერთად, დამნაშავედ ცნეს და 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მას გამოძიება თბილისში მცხოვრებ ათეულობით ოჯახზე შეიარაღებულ თავდასხმას ედავებოდა. 16-წლიანი განაჩენის მიუხედავად, კახა შანშიაშვილმა ციხეში სულ 3 წელი დაჰყო, რადგან 2003 წელს მან რუსთავის #2 დაწესებულებაში გვირაბი გათხარა და გაიქცა. ის ამჟამადაც ოფიციალურად იძებნება, თუმცა, თუ რუსთავის სასამართლომ მისი ოჯახის ადვოკატების პოზიცია გაიზიარა, შესაძლოა, კახა შანშიაშვილს ბრალდება საერთოდ მოუხსნან.

შანშიაშვილების ოჯახმა გადმოგვცა კახა შანშიაშვილის უდანაშაულობის დამადასტურებელი მთავარი მტკიცებულება – გელა შანშიაშვილის მიერ თვითმკვლელობამდე დაწერილი წერილი, სადაც ნათქვამია, რომ ყაჩაღურ თავდასხმებს რეალურად თავად სჩადიოდა და არა მისი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოდებული საქმეები ჩამოიღო

90-იანების სასტიკი დანაშაულები ბადაშვილის უწყებამ სასამართლოს გადასცა

ძმა კახა შანშიაშვილი. როგორც ჩანს, თავის დროზე სამართალდამცავები შეცდომაში ორმა გარემოებამ შეიყვანა: პირველი – ძმები ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს და მეორე – კახა შანშიაშვილმა საკუთარი ძმა არ დაასმინა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ადგილზე მისულ მილიციას კრიმინალური დაჯგუფების მთავარ ფიგურანტად გაეცნო და არჩადენილი დანაშაული საკუთარ თავზე აიღო.

მოკლედ, რეალური დამნაშავის ნაცვლად, მილიციამ მისი ძმა დაატყვევა და მისგან სასურველი აღიარებებიც მიიღო, რასაც, როგორც შანშიაშვილების ადვოკატი ამბობს, ახლდა დაკავებულის წამება და არაადამიანური მოპყრობა. როგორც უკვე გითხარით, მას 16-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა ციხეს თავი გაქცევით დააღწია, მანამდე კი თავი მოიკლა გელა შანშიაშვილმა, რომელიც წერილში წერს, რომ კახა მილიციამ მის მაგივრად დააკავა, ძმები ერთმანეთს ვგავდით, რამაც შეცდომაში შეიყვანა დაზარალებულებიცო. იქვე გელა შანშიაშვილი წერს, რომ ოთხი წლის განმავლობაში ვერ გაბედა სიმართლის თქმა, რადგან ციხეში წასვლა არ უნდოდა.

„პრაიმტაიმი“ ექსკლუზიურად გთავაზობთ ამონარიდს თვითმკვლელობამდე დაწერილი წერილიდან, რომლის ავთენტურობას ექსპერტიზის ოფიციალური დასკვნაც ადასტურებს (წერილის სტილი დაცულია. – ავტ.):

„სინდისმა ძალიან შემაწუხა. როდემდე და სადამდე შეიძლება ამდენის მოთმენა. მინდა ბოლო-ბოლო სიმართლე გაიგოს ყველამ, მოსამართლემ, პროკურორმა, მშობლებმა, თუ ხალხმა. ძალიან დიდი ცოდვა ჩავიდინე. თითქმის ოთხი წელი ჩემი ძმა ციხეში გავტანჯე და ჩავაგდე ძალიან მძიმე მდგომარეობაში. ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა. რომელი ყაჩაღობაც მე ჩავიდინე, ჩემს ძმას დაბრალდა. თანაც მე თუ ერთი ჩავიდინე, მას თხუთმეტი თუ მეტი ყაჩაღობა ჩაუდენია ვითომ. არადა სრულიად უდანაშაულოა. ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა. კახამ იცოდა ჩემი სახლი (სადაც გელა შანშიაშვილი პოლიციას ემალებოდა. – ავტ.), ჩემთან მოვიდა, რა დროსაც გასული ვიყავი და დაუწყია ჩემი ლოდინი. ამასობაში მოვიდა პოლიცია და აიყვანა უდანაშაულო ადამიანი. რა თქმა უნდა, მათ ყაჩაღი ეგონათ... მოკლეს ჩემი ძმა წამებაში, მაინც არ გამცა. თურმე როგორი ცუდი ყოფილა ციხე, ვერ გავძლებდი, მოვკვდებოდი, მაგრამ სინდისი მაინც მქენჯნიდა. გადავწყვიტე, ჩემს ძმასთან სასამართლოებზე ხშირად მევლო. ველოდებოდი, რომელი ადამიანიც მე დამეტაკა (პოლიციელი ასათიანი) მოსულიყო და ვეცნე, მერე ყველაფერს ვაღიარებდი და ჩემს ძმასაც ასე არ გავტანჯავდი, მაგრამ მოხდა სასწაული: მოვიდა ასათიანი, მე დარბაზში ვზივარ და ჩემს ძმაზე თქვა, ამან დამარტყაო. კინაღამ გავგიჟდი. ჩემი ძმა რის დამრტყმელი იყო, სინამდვილეში მე გავარტყი და ამხელა კაცი წაიქცა. ჩემს ძმას, კახა შანშიაშვილს მთელი ცხოვრება ავურიე, იმის ვაჟკაცობა არ მეყო, რომ სიმართლე მეღიარებინა, მაგრამ მე ციხეში ვერ ჩავჯდებოდი. ციხეს სიკვდილი მირჩევნია. ჩემო მშობლებო, შვილი გაგიუბედურეთ, სიკვდილის ღირსი ვარ. პროკურორებო, მოსამართლეებო, გამომძიებლებო, გთხოვთ გაითვალისწინოთ. ღმერთს გეფიცებით, ამ ყველაფერს მართალს გიყვებით“, – წერდა გელა შანშიაშვილი, რის შემდეგაც მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სწორედ ეს წერილია მთავარი მტკიცებულება, რის საფუძველზეც ციხიდან გაქცეული და ამჟამადაც ძებნაში მყოფი კახა შანშიაშვილის ადვოკატი მის უდანაშაულოდ ცნობას მოითხოვს.

სასამართლოში არსებით განხილვაზეა გადაგზავნილი 90-იან წლებში საქართველოს რეგიონებში მომხდარი რამდენიმე სასტიკი დანაშაულის საქმეც. მათ შორის გახლდათ საკმაოდ გახმაურებული ისტორიებიც, რომლის შესახებაც პრესა აქტიურად წერდა. მაგალითად, მარტვილის რაიონში მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახზე თავდასხმის საქმე ადასტურებს, რომ თავდამსხმელები მიზნის მისაღწევად ყველაფერზე მიდიოდნენ. ოჯახი, რომელსაც, შეიარაღებული ნიღბიანები ღამის 3 საათზე მოულოდნელად დაესხნენ თავს, სწორედ უსასტიკესი წამების მსხვერპლნი გახდნენ. მაშინ ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანების დაუთოება, კრიმინალურ წრეებში დამკვიდრებული პრაქტიკა იყო. სწორედ ამ მეთოდს მიმართეს ამ შემთხვევაშიც. თავდამსხმელებმა, შუახნის ცოლ-ქმარს პირი სკოჩით აუკრეს, ქმარს ცოლის თვალწინ წიხლებს ურტყამდნენ და იარაღით იმუქრებოდნენ; ფულსა და ძვირფასეულობას ითხოვდნენ, მაგრამ ცოლ-ქმარი უარის ნიშნად თავს რომ იქნევდა, წამებაზე გადავიდნენ. ვიდრე ერთი თავდამსხმელი სახლს ჩხრეკდა, მეორე ცოლ-ქმრის დამორჩილებას ცდილობდა. ქალბატონის გახურებული უთოთი დაშანთვა რომ დაიწყო, ქმარი მაშინვე გატყდა და სტუმრებს კომოდის იმ უჯრაზე მიუთითა, სადაც ოქროულობასა და შვილის მიერ რუსეთიდან გამოგზავნილ დოლარებს ინახავდა...

რამდენიმე თვის შემდგე, იმავე რაიონში მცხოვრები, კიდევ ერთი ოჯახის დაყაჩაღებისას, ბანდიტებმა ოჯახის უფროსი მაშინ გამოასალმეს სიცოცხლეს, როცა მან საკუთარი სანადირო თოფით მათთვის წინააღმდეგობის გაწევა სცადა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მანანა კაზაკოვას ცხოვრ

„ლევანი თავად არის გმირი, მას უნდა მიამსგავსო სხვა. ჩემი შვილი სულ მეუბნება, მამასნაირები არ არსებობენ, მე რა ვქნა. მე ვეთანხმები ხოლმე“

„ქუდებით ვიძინებდით, ლევანი ხუმრობდა, ესკიმოსებს ვგავართო. ისე გვციოდა ლაპარაკსაც ვერ ვახერხებდით. რომ არ გავყინულიყავით, დავწვებოდით და წიგნს ვკითხულობდით“

„მთავარი, რაც ლევანს აქვს, ეს არის უკიდეგანო სამყარო, რომელსაც თან ატარებს“

„ხომ გაგიგიათ, ჩემს ბავშვობაში „პონჩიკს“ სხვა გემო ჰქონდაო, რომ ამბობენ. პონჩიკი კი არა, ბავშვობა იყო გემრიელი, ისევე, როგორც ახალგაზრდობა“

my View
ნინო მჭედლიშვილი

პატარა იყო, როცა მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ, იმდენად, რომ მათი დაშორება არც განუცდია. ამას ხელი შეუწყო მამინაცვალმა, რომელმაც გაზარდა და რომლის მადლიერია დღესაც.

მამის ჩრდილქვეშ ყოფნის შეეშინდა, მაგრამ მაინც გარისკა. მისი ნათლობა თეატრში ოთარ მელვინეთ-უხუცესისა და გურანდა გაბუნიას წყალობით მოხდა. დღეს მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია.

ქმარს, ლევან წულაძეს, კვლავ უკითხავს წიგნებს ძილის წინ, ისე, როგორც უწინ, როცა სახლში ისე ციოდა, რომ ქუდებით იძინებდნენ, ისევ უმზადებს მისთვის საყვარელ საცივს და კვლავ ცდილობს არ ელაპარაკოს ბევრი, როცა ლევანი სპექტაკლს ჯერ გონებაში დგამს.“

დღეს თავისი ცხოვრების განვლილ გზაზე მანანა კაზაკოვა გიამბობთ.

მკაცრი დედა და ორი მამა

- დედა - მედეა ბერელაშვილი, მამა - მიხეილ კაზაკოვი. გარკვეული პერიოდი მოსკოვში ვცხოვრობდით. მერე ჩემი მშობლები დაშორდნენ. იმდენად პატარა ვიყავი, რომ განცდები ამასთან დაკავშირებით არც მახსოვს. მერე დედა ცოლად გაჰყვა ანატოლი ჩიჩუას, რომელმაც პრაქტიკულად გამზარდა. მადლიერი ვარ მისი, რადგან, ყოველთვის ცდილობდა ყოფილიყო მეორე მშობელი ჩემთვის. არ მიყვარს სიტყვა მამინაცვალი. მას არავინ შეუცვლია, უბრალოდ, ისე უყვარდა დედა, რომ ძალიან შევუყვარდი მეც. ბიოლოგიურ მამასთანაც მქონდა მუდმივი კონტაქტი. მამა ყოველთვის ცდილობდა და-ძმას ნორმალური ურთიერთობა გვქონოდა. მამას ჩვენამდე ჰქონდა ოჯახი, სადაც ჰყავს კაწია და კირილი, მერე დედა შეირთო ცოლად და გავჩნდი მე, მესამე ცოლთან შვილი არ ჰყავს, მეოთხე ცოლთან კიდევ ორი შვილი გაუჩნდა. ადრე ხშირად ვიკრიბებოდით, ახლა ძალიან მიმოვიფანტეთ, სხვადასხვა ქვეყნებში. ჩემი შვილი, თინათინი ნიუ-იორკში სწავლობდა და ჩემს დისშვილებთან მეგობრობდა იქ.

- მშობლებიდან რომელს ჰგავხართ?

- მამას საქმისადმი სიყვარულით, ძალიან უყვარდა თავისი პროფესია. დედასაც ვგავარ, განსაკუთრებით ახლა, რაც წლები მომემატა, საუბრის მანერით, ქცევით. ხშირად დამიჭერია ჩემი თავი იმაში, რომ მის სიტყვებს ვიმეორებ, როცა შვილს ვარიგებ... მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ვმეგობროდი დედასთან, მკაცრი იყო ძალიან, პრინციპული იმ საკითხებში, რაც აღზრდას, განათლებას და ზრდილობას ეხებოდა. კრიტიკული და მომთხოვნი იყო. მისი მოსვლა თეატრში მეშინოდა. ვნერვიულობდი, ის მეტყოდა იმას, რაზეც სხვა, თუნდაც მეგობარი დამზოგავდა.

- მამინაცვალზეც მიამბეთ...

- ძალიან კარგი კაცია, ძალიან, თბილი, მზრუნველი, მოსიყვარულე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო ბავშვისთვის, რომლის მშობლებიც გაშორებულები არიან. დღემდე ჩემი შვილის ფოტო უკიდია საწოლთან.

- დედები მძაფრად რეაგირებენ, როცა მამინაცვალი მის შვილს შენიშვნას აძლევს, ეს მომენტი თუ იყო თქვენ შემთხვევაში?

- ამით შვილები კარგად სპეკულირებენ. ეს ბიოლოგიური მშობლების შემთხვევაშიც არ არის სწორი, როცა ერთი შენიშვნას აძლევს, მეორე არ უნდა გამოექომაგოს ბავშვის თანდასწრებით. ტყუილად გვგონია, რომ ბავშვები სულელები არიან, ძალიან კარგად იყენებენ ამას სათავისოდ.

- იყენებდით?

- ნაკლებად, რადგან არ ვიყავი ცელქი, იშვიათად ვიმსახურებდი შენიშვნას. არც მსჯიდნენ. კუთხეშიც არ ვმდგარვარ.

- კარგი რა აქვს ორი მამის არსებობას?

- კარგია, თუ გაგიმართლა და ორივე კარგი ადამიანია. თორემ, ზოგადად, კარგია, როცა ბიოლოგიურ მამასთან ცხოვრობ.

„გარშემო მაქვს მაგალითები, როცა ქალები ქმრებისგან იღლებიან, როცა ერთი სული აქვთ როდის წავა სახლიდან და როცა თითქოს მხოლოდ ამის მერე სუნთქავენ თავისუფლად“

არშემდგარი ჟურნალისტის ნათლობა თეატრში

- პროფესია როგორ აირჩიეთ?

- ყოველთვის მინდოდა მსახიობი გავმხდარიყავი, მაგრამ როცა ჩაბარების დრო მოვიდა, ვორჭოფობდი, შემეშინდა. გადავწყვიტე ჟურნალისტიკაზე ჩამებარებინა. ერთ დღეს გოგი მარგველაშვილი მოვიდა ჩვენთან და მითხრა, თავს რატომ იტყუებ, ხომ იცი, ეს არ არის შენი საქმეო. იმ დღეს გადავიფიქრე.

- რისი გეშინოდათ...

- როცა ნიჭიერი მშობლები გყავს, მოლოდინი დიდია. ის, რაც ეპატიება არამსახიობის შვილს, არ ეპატიება მსახიობის შვილს. მახსოვს, რომ გამოვდიოდი სცენაზე, სტუდენტურზეც კი, მესმოდა დარბაზში ჩურჩული, ეს იმის შვილიაო. ამბობენ, რომ მსახიობის შვილობა ეხმარებათ დამწყებ მსახიობებს. ეს ტყუილია. პირიქით, ძალიან გიშლის ხელს. მათ ჩრდილქვეშ ხარ, იმ ემოციას ელიან შენგან, რაც შენი მშობლისგან მოდიოდა ან მოდის. ავიღოთ ორი სხვადასხვა ჟანრის გენიალური მსახიობი, სესილია თაყა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

იშვილი და ვერიკო ანჯაფარიძე. სესილიას შვილისგან ყველა ელის იუმორს. რატომ? ხომ შეიძლება არ აქვს მას ეს იუმორი, რა ქნას?!

- პირველი სამსახური, ჰონორარი...

- თეატრალურის დამთავრებიდან ერთი წელი არსად მითამაშია. ერთ დღეს სპექტაკზე ვიყავი. დარბაზში ჩემ წინ გურანდა გაბუნია და ოთარ მელვინეთუხუცესი ისხდნენ. გურანდა რამდენჯერმე მოტრიალდა, მიყურებდა, მერე მკითხა, შენ სად თამაშობო. არსად-მეთქი, ვუპასუხე. მერე დამირეკეს, დამიბარეს თეატრში. მახსოვს, ბატონი ოთარი თავად დამხვდა ფოიეში და შემიყვანა. აი, ასეთი ნათლობა მქონდა თეატრში, რაც ყოველთვის კარგად მახსენდება. იქ ავიღე პირველი ჰონორარიც, 20 კაპიკი თუ კოპონი, არც მახსოვს. ვერ ვიგებდი ეს რა ფული იყო. თინათინი რომ გამიჩნდა, მერე შემოვიდა ფულის ერთეული, - ლარი. საშინელი პერიოდი იყო, როგორ ვცხოვრობდით არ ვიცი. კერძო ბაღში დამყავდა თინათინი და ჩემი ერთი თვის ხელფასი მხოლოდ თინათინის საბავშვო ბაღის გადასახადს წვდებოდა. მალე დაარსდა თეატრალური სარდაფი და იქაც ვთამაშობდი.

- გზის ფულად გყოფნიდათ?

- ხშირად ფეხით დავდიოდით. მაშინ ახალგაზრდობა გვყოფნიდა, ფული ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, რომანტიკულად ვუყურებდით ყველაფერს. მერე და მერე გაჩნდა მოთხოვნილებები, როცა ბავშვი იზრდებოდა.

კულინარიული გამოცდილება

- ბავშვობიდან ძალიან დაკვირვებული ვიყავი, რატომღაც ყოველთვის მაინტერესებდა ეს საქმე. დედაჩემმა არ იცოდა კარგი ცხობა. ვისწავლე მეზობლებისგან, რეცეპტებით. მაშინ სად იყო „გუგლი“ და ინტერნეტი, მეზობლებისა და გამოცდილი ახლობელი კულინარების რეცეპტებით ვხელმძღვანელობდი. ვიდექი და ვაცხობდი გაუთავებლად. დღესაც ძალიან მიყვარს კულინარია, დალაგებას მირჩევნია ვაცხო. უფრო შემოქმედებითი პროცესია, ინტერესია მეტი, ხან გამოვა, ხან - არა.

- ლევანს რა მოსწონს ყველაზე მეტად თქვენი მომზადებული საჭმელებიდან?

- საცივი. ახლაც რომ ჩამოვიდა, თვე-ნახევარი არ იყო საქართველოში, საბერძნეთში დგამდა სპექტაკლს, საცივი დავახვედრე და იყო ბედნიერი.

- თვე-ნახევარი ლევანი არ გინახავთ? ხშირად გაქვთ ხოლმე ამხელა პაუზა?

- ამხელა არა... საქართველოზე მონატრებული დაბრუნდა. ლევანს არ უყვარს დიდად სხვა ქვეყანაში ყოფნა.

„ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲒᲕᲥᲝᲜᲘᲐ, ᲓᲐᲕᲚᲚᲘᲚᲕᲐᲠ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛ ᲓᲝᲖᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲝᲪᲜᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐ“

გამყინვარება სახლში და ქუდებით საწოლში

- საბავშვო ბაღიდან ვიპრანჭებოდი, ვინც მომწონდა იმასთან ვთამაშობდი. პიროვნებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, თვითონ სიყვარული გიყვარს... კითხულობ ნაწარმოებს და ლიტერატურული პერსონაჟი გიყვარს. მერე ცდილობ ის გმირი იპოვო შენ ირგვლივ.

- ლევანი ვის მიამსგავსეთ?

- ლევანი თავად არის გმირი, მას უნდა მიამსგავსო სხვა. ჩემი შვილი სულ მეუბნება, მამასნაირები არ არსებობენ, მე რა ვქნაო. მე ვეთანხმები ხოლმე...

- გვიამბობთ, როგორ დაგითანხმათ ცოლობაზე?

- უმარტივესად. თავიდანვე მოხიბლული ვიყავი მისით. მთავარი, რაც ლევანს აქვს, ეს არის უკიდეგანო სამყარო, რომელსაც თან ატარებს. მას რომ ვუყურებდი, სულ ვფიქრობდი, რა სულელები არიან ეს გოგოები, ასეთი ბიჭია მათ გარშემო და წუწუნებენ, რომ კარგი ბიჭები არ არიან-მეთქი. მერე რაღაც შემთხვევამ შეგვახვედრა ერთმანეთს. სახლში გამაცილა სპექტაკლის მერე. მაშინ ვიგრძენი, რომ ეს რაღაც სხვა იყო.

- მე მგონია, რომ ლევანთან სწორედაც რომ უნდა იგრძნო, ბევრს არ ლაპარაკობს, ასეა?

- ჰო, ძალიან მალე, ერთ კვირაში მითხრა იუმორით, მოდი შევქმნათ ჰარმონიული ოჯახიო. გამეცინა და დავეთანხმე. ორ კვირაში დავქორწინდით. მაშინ იცი როგორი დრო იყო, არაფერი არ იყო, არც კაფე, არც სხვა გასართობი საშუალება. სეირნობა რომ გვინდოდა, მეტროში ჩავდიოდით. რამდენ ხანს უნდა გვევლო მეტროთი, ფეხით.

- როგორი იყო ქორწინების პირველი ხანა ამ რთულ პერიოდში?

- ძალიან რთული. ქუდებით ვიძინებდით, ლევანი ხუმრობდა, ესკიმოსებს ვგავართო. ისე გვციოდა ლაპარაკსაც ვერ ვახერხებდით. რომ არ გავყინულიყავით, დავწვებოდით და ნიგნს ვკითხულობდით. წიგნის კითხვა დღესაც გვიყვარს, მე ვუკითხავ, ის მისმენს და მერე იძინებს.

- ფინანსურადაც მძიმე პერიოდი იდგა. ვინ გეხმარებოდათ, როგორ ცხოვრობდით?

- დედაჩემი და ჩემი მამინაცვალი. საოცრებებს ვჭამდით. მაკაორონიც კი არ იყო, ფქვილისგან ვაკეთებდით ცომს, მერე ამას ვხარშავდით და ვჭამდით. იყიდებოდა სოიოსა და კვერცხის ფხვნილები... დიდი სიდუხჭირე იყო. მაგრამ ახალგაზრდები ვიყავით და მაინც გვიხაროდა. ხომ გაგიგიათ, ჩემს ბავშვობაში „პონჩიკს“ სხვა გემო ჰქონდაო, რომ ამბობენ. პონჩიკი კი არა, ბავშვობა იყო გემრიელი, ისევე როგორც ახალგაზრდობა.

- არსებობს რეცეპტი, რომ სიყვარული არ გახუნდეს?

- აუცილებელია საერთო ინტერესები, იმის მიუხედავად რა პროფესიის ხარ. საერთო გასართობი, თემა, ინტერესი მუდმივად უნდა მონახო, თორემ გამოვა ისე, რომ ერთ სახლში იცხოვრებთ და ერთმანეთს ვერც კი შეამჩნევთ. გარშემო მაქვს მაგალითები, როცა ქალები ქმრებისგან იღლებიან, როცა ერთი სული აქვთ როდის წავა სახლიდან და როცა თითქოს მხოლოდ ამის მერე სუნთქავენ თავისუფლად. ეს რომ არ მოხდეს, ორივემ საკუთარ თავზე უნდა იმუშაოს.

- არასდროს დაღლილხარ ლევანისგან?

- კონფლიქტის პერიოდები ჩვენც გვქონია, დავღლილვარ კიდეც, მაგრამ იმ დოზით, რომ მის სახლიდან წასვლაზე მეოცნება, არა.

„ბავშვი ყველა ასაკში პიროვნებაა“

- თავად რა გამოცდილება გაუზიარეთ შვილს? არსებობს ასაკი, რის მერეც არ უნდა ჩაერიო შვილის ცხოვრებაში?

- ჩარევით არასდროს არ უნდა ჩაერიო. მისი მეგობარი უნდა იყო და რჩევა მისცე მხოლოდ. მოუყვე მაგალითები შენი ცხოვრებიდან. ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეცდომის დაშვებამდე არაფერი გითხრას, მაგრამ მერე აუცილებლად გაგეხსნება და გეტყვის რა მოხდა, გკითხავს როგორ მოიქცეს. ბავშვი ყველა ასაკში პიროვნებაა. ეს უნდა გვახსოვდეს. არასდროს უთხრათ შვილს, შენ არ იცი, მე ვიციო. შეიძლება შენ უკეთ იცი, მაგრამ მის ასაკში ხომ შენც უშვებდი შეცდომებს. მის შორიახლოს უნდა იყო, გვერდში, უკან, ზოგჯერ ჩრდილში, მაგრამ მის აზრს უნდა მოუსმინო. თუ უკრძალავ, უშლი, უნდა დაუსაბუთო რატომ.

- დასასრულ შეცდომებზეც გკითხავთ...

- ცოდვის გარეშე ადამიანს არ შეუძლია ცხოვრება. ღმერთთან იყო ადამი, მხოლოდ ერთი ნაბიჯი აკლდა სამოთხემდე, ვაშლი არ უნდა ეჭამა, მაგრამ მაინც შესცოდა... ასეთები ვართ ადამის მოდგმა, სულ რაღაც გვინდა დავაშავოთ. ზოგჯერ ზუსტად იმას დააშავებ, რაზეც ამბობდი, რომ მე ამას არასდროს ჩავიდენო. ამიტომ არაფერს შევცვლიდი ჩემი ცხოვრებიდან. სწორედ შეცდომებმა მასწავლა ცხოვრება და მომცა გამოცდილება.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

ლეგენდარუ

მირიან ბოქოლიშვილი

საბჭოთა კავშირი დიდი ხნის განმავლობაში მას საკუთარ ჯაშუშად არ აღიარებდა. ლეგენდარული მზვერავის სახელი მხოლოდ 1964 წელს აღადგინეს.

ვინ იყო რიხარდ ზორგე, მეტსახელად „რამზაი“? პრესტიჟული გამოცემის ჟურნალისტი, თუ თავზეხელაღებული ჯაშუში, რომელმაც ისტორიის ჩარხი საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ შემოატრიალა?

ამ კითხვაზე პასუხი დღეს უკვე ცნობილია, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში არავინ იცოდა, რეალურად ვის თამაშს თამაშობდა ჟურნალისტის მანტიას ამოფარებული რიხარდ ზორგე – ლეგენდარული საბჭოთა მზვერავი, რომლის ისტორია ჯაშუშური საქმიანობის კლასიკურ მაგალითად გამოდგება.

როგორც წესი, მას ორ უდიდეს დამსახურებას მიაწერენ. პირველი და უმთავრესი დამსახურება ისაა, რომ ზორგემ საბჭოთა ხელისუფლებას ტოკიოდან წინასწარ აცნობა ჰიტლერის არმიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ზუსტი თარიღი. მეორე დამსახურებად კი ზორგეს სწორად გაკეთებულ უმნიშვნელოვანეს დასკვნას უთვლიან: მან, სადაზვერვო ინფორმაციაზე დაყრდნობით, ზუსტად განსაზღვრა, რომ იაპონია საბჭოთა კავშირზე თავდასხმას არ აპირებდა. ეს დასკვნა მოსკოვს სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარა. კერძოდ, ვინაიდან აღმოსავლეთის საზღვრებთან საჯარისო ნაწილების კონცენტრირება საჭირო აღარ იყო, კრემლმა დასავლეთის მიმართულება გააძლიერა და გერმანიას საბჭოთა კავშირის სწრაფი დაპყრობის გეგმა ჩაუშალა.

თუმცა, დღეს, როცა საბჭოთა პერიოდის უამრავ საიდუმლოს ფარდა აეხადა, ზორგეს კიდევ ერთი, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი პროფესიული დამსახურებაც გამომჟღავნდა. როგორც გასაიდუმლოებული დოკუმენტებიდან ირკვევა, მან მეორე მსოფლიო ომისწინა და უშუალოდ ომის პერიოდში იაპონიის ხელისუფლების მაღალჩინოსნები, გადაწყვეტილების უშუალო მიმღებები, საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქცია.

კერძოდ, ზორგემ დაარწმუნა იაპონიის ხელისუფლება, შეეცვალათ სტრატეგიული სამიზნე. ისტორიული ფაქტი, რომ იაპონიამ, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ნაცვლად, პერლ ჰარბორის ულტა მოაწყო, სწორედ მისი საქმიანობის შედეგი იყო.

მაინც, როგორ მოახერხა საბჭოთა მზვერავმა ისეთი გავლენის მოპოვება, რომ მსოფლიო ისტორია შეეცვალა?

საქმე ის გახლავთ, რომ უნიჭიერესმა მზვერავმა იაპონიაში მთელი ქსელი – „რამზაი“ გაშალა. ცენტრს მისი ქსელის მიერ მოპოვებულ ცნობებს ზორგე სწორედ „რამზაის“ სახელით ანვდიდა. ზორგეს, რომელიც პრესტიჟული გერმანული გამოცემის კორესპონდენტის სტატუსს ამოფარებული მუშაობდა, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა იაპონიის გავლენიან ჩინოვნიკებთან, მათ შორის, იაპონიის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ფუმიმარო კონოეს მრჩეველთან ხოცუმი ოძაკისთან.

ომისწინა პერიოდში ცენტრი დაჟინებით მოითხოვდა ზორგესგან

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მზადების შესახებ ზორგეს მიერ ცენტრში გაგზავნილი ერთ-ერთი პირველი ცნობა



ТЕЛЕГРАММА вх.№ I6433I

из Токио подана 11 час 37 мин 29 декабря 1940.
получена 15 час 20 мин 29 декабря 1940.

Токио, 28 декабря 1940 г.

В настоящее время немцы на своих восточных границах, включая Румынию, имеют 80 дивизий с целью воздействия на политику СССР.

Как говорят военные, прибывающие из Германии в Японию, немцы смогут оккупировать территорию СССР по линии Харьков-Москва-Ленинград.

РАМЗАЙ

Телеграммы Зорге в Центр из Токио.

1927 წლის 19 ივნისს პარტმუშაკ დმიტრი მანუილსკის მიერ ხელმოწერილი რეკომენდაცია დაზვერვაში ზორგეს მისაღებად



Знаю т. Зорге с 1924 г. по работе в Германии и считаю его товарищем заслуживающим доверия

Д. Манцевский

Москва 19 19/VII 27 г.

ზორგეს, რომელიც პრესტიჟული გერმანული გამოცემის კორესპონდენტის სტატუსს ამოფარებული მუშაობდა, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა იაპონიის გავლენიან ჩინოვნიკებთან

რიხარდ ზორგე

დაზუსტებულ ინფორმაციას, დაესხმოდა თავს იაპონია საბჭოთა კავშირს თუ არა. ეს სწორედ ის პერიოდი იყო, როცა მოკავშირე გერმანელები იაპონიის პრემიერ-მინისტრს, იაპონიის ტახტის მემკვიდრე ფუმიმარო კონოეს საბჭოთა კავშირში შეჭრისკენ დაჟინებით უბიძგებდნენ. ზეწოლა თანდათან ძლიერდებოდა. ბოლოს თხოვნებმა მოთხოვნის სახე მიიღო. იაპონელებს სულ უფრო და უფრო უჭირდათ წინააღმდეგობის გაწევა, ამიტომ საბჭოთა კავშირში იაპონიის შეჭრის საკითხი, პრაქტიკულად, ბენზზე ეკიდა. თუ ტოკიო ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას მიიღებდა, საბჭოეთის ბედი გადაწყვეტილი იქნებოდა: გასაგები იყო, რომ ორ ფრონტს წითელი არმია ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას და დამარცხდებოდა.

ამ დროს კი ცენტრი ზორგეს გასაქანს არ აძლევდა. უხეში მოთხოვნებით დაუყოვნებლივ სთხოვდა პასუხს კითხვაზე: აპირებდა თუ არა ტოკიო მოსკოვზე შეტევას? „ჯერჯერობით, ტოკიო ომში ჩართვას ვერ რისკავს“, – პასუხობდა ზორგე და კიდევ ერთკვირიან ვადას ითხოვდა ზუსტი პასუხის გასაცემად. მოსკოვს მისი „ჯერჯერობით“ უკიდურესად აღიზიანებდა, ამ დროს კი ზორგე განუწყვეტლივ ამუშავებდა საკუთარ აგენტს ხოცუმი ოძაკის და მისი მეშვეობით ცდილობდა, დაერწმუნებინა ფუმიმარო კონოე, რომ გაეძლო გერმანელებისა და სისხლსმოწყურებული იაპონელი გენერლების ზეწოლისთვის – „არ მიეღო საბედისწერო გადაწყვეტილება“, ვინაიდან „იაპონიის სტრატეგიული მოწინააღმდეგე, სინამდვილეში, საბჭოთა კავშირი კი არა, აშშ იყო“.

სწორედ ეს არის ზორგეს უდიდესი დამსახურება. პრაქტიკულად, მზვერავმა ისე „დაამუშავა“ ოძაკი და, მისი მეშვეობით, კონოე, რომ ამ უკანასკნელთ საბჭოთა კავშირის-

„ზორგეს იაპონიის ციხეში სასტიკად აწამებდნენ. საბჭოთა ხელისუფლებას მისი დახსნა არც კი უცდია. სავარაუდოდ, საბჭოთა კავშირს არ სურდა ეღიარებინა, რომ ზორგე საბჭოთა ჯაშუში იყო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლი ჯამუში

ზორგეს ინფორმატორი ხოცუმი ოძაკი

იაპონიის პრემიერ-მინისტრი ფუმიმარო კონოე

„რამზაის“ წევრი – ეტოკუ მიაგი

რიხარდ ზორგეს მეუღლე ეკატერინა მაქსიმოვა

რიხარდ ზორგე

თვის დამლუპველი გადაწყვეტილების მიღება გადააფიქრებინა. ზორგემ ისე შეუფუთა კონოეს მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკური წესრიგი და მსხვილ მოთამაშეთა ინტერესები, რომ თავისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება იაპონიის ეროვნულ ინტერესად შეასაღა, ხოლო საკუთარი მტერი – იაპონიის მტრად. შედეგად, ამომავალი მზის ქვეყნის მთავარ მოწინააღმდეგედ აშშ იქცა, რასაც 7 დეკემბერი და პერლ ჰარბორის საზღვაო ბაზაზე იაპონელთა ელვისებური შეტევა მოჰყვა.

რამდენად მცდარი აღმოჩნდა იაპონიისთვის საბჭოთა ანკესზე წამოგება, მოგვიანებით გამოჩნდა. მსოფლიოს სიმძიმის ცენტრად პოზიციონირებად აშშ-ს ტოკიოსთვის პერლ ჰარბორის თავხედობის პატიება არაფრით არ შეეძლო. ის იძულებული გახდა, იაპონიასთან ომში ჩართულიყო, რასაც ჰიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედიები მოჰყვა. საბჭოთა კავშირმა ძალების მოკრება მოახერხა და მეორე სამამულო ომში გერმანიას ისეთი მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, რომ ომის ჩარხი მეკავშირეთა სასარგებლოდ შემოატრიალა. იაპონიას კი უსიტყვო კაპიტულაციის გამოცხადება მოუხდა, რის გამოც ზორგეს მიერ შეცდომაში შეყვანილმა ამაყმა იაპონელმა პრემიერმა ფუმიმარო კონოემ თავი მოიწამლა.

ზორგემ დაზვერვაში მუშაობა დმიტრი მანუილსკის რეკომენდაციით დაიწყო. მოსკოველი კურატორები „რამზაის“ მოგვიანებით ბობოქარ, დაუოკებელ ადამიანად ახასიათებდნენ. ისინი იხსენებდნენ, რომ ზორგე უმაღლესი კლასის, უჭკვიანესი, უგანათლებულესი და უგანვითარებულესი, საოცრად ნიჭიერი პროფესიონალი, ამასთანავე, ბრწყინვალე ჟურნალისტი იყო, მაგრამ მას გამოცდილება აკლდა. მაგალითად, ზორგეს ერთ-ერთი კურატორი, ბორის ეგნატეს ძე გუძი იხსენებდა, რომ ზორგე ხშირად აიგნორებდა უსაფრთხოების ნორმებს და ამას თავისი ახსნა ჰქონდა.

„ჟურნალისტისა და მზვერავის პროფესიები მსგავსია – ორივეს ინფორმაცია უნდა. თუმცა, როცა ისინი ინფორმაციას მიიღებენ, მათი გზები იყოფა: ჟურნალისტი კმაყოფილი მიდის რედაქციაში და სტატიას წერს, მზვერავი კი ცდილობს, ინფორმაციის მუდმივი წყარო შეიძინოს, გავლენის ქვეშ მოაქციოს და ისეთი სადაზვერვო ქსელი შექმნას, რომ მომავალშიც გამოადგეს“, – ამბობს გუძი. მისი თქმით, როცა ჟურნალისტი, თუნდაც, ზორგესავით გამორჩეული უნარების მქონე, ჟურნალისტობიდან მზვერავობაზე ისე გადადის, რომ კონტრდაზვერვის სკოლა არა აქვს გავლილი, მის საქმიანობას უამრავი გაუგებრობა ახლავს. გუძი იხსენებს, რომ ზორგეს გადმოცემის მშვენიერი უნარი ჰქონდა, უდავოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებდა, მაგრამ ერთი უდიდესი ნაკლიც გააჩნდა: არ ჰქონდა კონტრდაზვერვის გამოცდილება. ამიტომაც, ხშირად უშვებდა ისეთ შეცდომებს, რომლებიც მზვერავისთვის მიუღებელია.

კერძოდ, როგორც გუძის მოგონებებიდან ირკვევა, ზორგე ტოკიოში მუდმივად მოტოციკლით დაქროდა. ერთხელაც, იღლიაში ამოჩრილი საიდუმლო საბუთებით სავსე საქაღალდით ავარიაში მოყვა... ისტორია მოგვითხრობს, რომ „ზორგემ მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და თანაშემწესთან დარეკვა მოასწრო“. სინამდვილეში კი მხოლოდ ღმერთმა და საბჭოთა დაზვერვამ იცის, როგორ მოხდა, რომ გონდაკარგული ზორგე ჯაშუშობისთვის ტოკიოს ციხეში არ მოხვდა.

გარდა ამისა, ზორგეს კიდევ ერთი „ახირება“ ჰქონდა: ჟურნალისტურ ეშხში შესული, რადიოკავშირით უშველებელ გზავნილებს გადასცემდა. არადა, იაპონელებს უკვე მაშინ ჰქონდათ საუკეთესო ტექნიკა. არსებობდა ამ რადიოგრამების გადაჭერის მაღალი ალბათობა, ცენტრს კი მოსკოვში იაპონისტები ეჯდა და მთელ იაპონურ მედიას თავადაც აანალიზებდა.

კიდევ ერთი: გარე მოთვალთვალეებისთვის თავის არიდება. როგორ უნდა დამალვოდა მათ, ან ღირდა თუ არა საერთოდ დამალვა? ამ საკითხებში ზორგე ცენტრს დიდად არ ემორჩილებოდა. ერთ მშვენიერ დღესაც მან ცენტრს აცნობა, რომ მის სათვალთვალოდ დაყენებულ ბიჭებთან ისე დამეგობრდა, რომ მათ მოქრთამვასაც აღარ ერიდება, ძალიან რომ არ შეანუხონ...

მზვერავებს კომუნისტებთან კონტაქტი ეკრძალებოდათ. „კომინტერნისა“ და დაზვერვის გზები არსად არ უნდა გადაკვეთილიყო. თუმცა, ზორგე აქაც „გამოირჩა“. მის ქსელში იაპონელი კომუნისტი, მხატვარი ეტოკუ მიაგი გამოერია. ზორგემ ამ ფაქტს ყურადღება არ მიაქცია, სამაგიეროდ, ის მეზობლების ყურადღების ცენტრში მოექცა. ერთხელაც მისმა მეზობელმა გუდას პირი მოხსნა და მიაგის შესახებ ადგილობრივ პოლიციას იმდენი ელაპარაკა, რომ მათ მხატვარზე საგანგებო დაკვირვება დააწესეს... გაარკვიეს, რომ ის „უცხოელ ჟურნალისტებთან დაძვრებოდა“ და გაშიფრეს.

სწორედ ზორგეს დაუმორჩილებლობა (რამაც, საბოლოოდ, ის გაშიფვრამდე მიიყვანა) იყო იმის მიზეზი, რომ მზვერავს საბჭოთა ხელისუფლება არ სწყალობდა. მისი მეუღლე ეკატერინა მაქსიმოვა 1942 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს, 1943 წელს კი ის მურმანსკის საავადმყოფოში გარდაიცვალა. ზორგეს მეუღლის გარდაცვალების ცნობა არც კი მიუღია...

დღეს ცნობილია, რომ ზორგეს იაპონიის ციხეში სასტიკად აწამებდნენ. საბჭოთა ხელისუფლებას მისი დახსნა არც კი უცდია. სავარაუდოდ, საბჭოთა კავშირს არ სურდა, ეღიარებინა, რომ ზორგე საბჭოთა ჯაშუში იყო – სურდა, იაპონელებს ის ბოლომდე გერმანიის აგენტი ჰგონებოდათ. ძნელი სათქმელია, გამოტყდა თუ არა ზორგე წამებისას. სავარაუდოდ, კი. სავარაუდოდ, განუცხადა იაპონელებს, რომ ის გერმანიის კი არა, საბჭოთა აგენტია და ზიანის მოტანა კი არა, ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება სურს... მას ხომ მართლაც ასე სჯეროდა.

როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, მთელი 20 წლის განმავლობაში საბჭოთა იმპერია ზორგეს საკუთარ ჯაშუშად არ სცნობდა. მისი სახელი მხოლოდ ნიკიტა ხრუშჩოვმა, 1964 აღადგინა.

რიხარდ ზორგეს საფლავი იაპონიაში

„მხოლოდ ღმერთმა და საბჭოთა დაზვერვამ იცის, გონდაკარგული ზორგე ჯაშუშობისთვის ტოკიოს ციხეში როგორ არ მოხვდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

გვანცა დარასელია

ია ფარულავა და გიორგი ხაბურზანია

ebaz

ოთო ნემსაძეს მსა

გასულ ზაფ
ალ ოთო ნემსაძ
ვიანი ქორწინე
მისი ყოფილი
კუპრავა ამერიკ
წყვილმა ერთმა
ური ქსელის საშ
ნო. მათი ბედნი
აღმოჩნდა.

მალევე, მომ
ბაში კვლავ გაჩ
ობიექტი. 25 წლის
შვილი პროფესიი
ავთ. ამჟამად ხო
თეატრში მუშაობ
რკვიეთ, მამა მხა
საზღვარგარეთ
ხნის წინ მომღერა
გონასთან ფოტო
ფეისბუქმეგობრ

რამაზ ნოზაძეს ცოლმა დაბად



„დიახ, მე მას საბანს ვუ-
სწორებ როცა სძინავს, ვკოცნ-
ნი მძინარეს, ვდგები გვიან
ღამით, როცა მოშივდება,
ვეხმარები ფეხსაცმლის გა-
ხდაში, თუ დაღლილია, ავ-
ტომატურად ვუღიმი, როცა
ის იცინის, ვცდილობ ხასი-
ათი გამოვუკეთო, როცა მო-
წყენილია... დიახ, მე ვთვლი,
რომ ის ჩემთვის „პირველი
შვილივითაა“, რადგან მასზე
ვისწავლე მზრუნველობა,
ვფიქრობ, დედურ ინსტინ-
ქტებზე არანაკლები ინსტ-
ინქტები მაქვს, როცა მას
ეხებიან! დიახ, მე მიყვარს ის
ისე, როგორც შემიძლია, ისე,
როგორც ღმერთ
რომ მყვარებოდ
დაუფიქრებლად
მი სიცოცხლის ნა
მას ეს დასჭირდ
უიმისოდ ცხოვრ
რმომიდგენია... დ
რე მივულოცავ
დღეს, რადგან ს
ვარ და არ მინდა ვ
სწროს. მილიონჯ
ბი და კიდევ ერთხ
მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ !!!
დაბადების დღეს,
ულო“,- წერს ხატია
თავის ფეისბუქგვ
მილოცვის ამსახვ
ებს აქვეყნებს.

როგორ ერთობ
თავისუფალ
დროს ქართველ
ვარსკვლავებ

მომღერალმა მარიამ როინიშვილმა და
ტატიშვილმა სოციალურ ქსელში ფოტო
მოაქვეყნეს. ერთი შეხედვით ფოტო ქორ
შთაბეჭდილებას ტოვებს, წარწერაც ისეთ
ვს, - „ყველაზე ბედნიერები ვართ“, რომ სა
მათი ფოტოები შემდეგი სათაურით აიტ
„ნოდიკო ტატიშვილი და მარიამ როინიშვ
ქორწინდნენ“. მაგრამ თუ კარგად დააკვირ
მარიამს საცეკვაო კაბის „პადიუბკა“ აცვ
ტოები მარიამის სახლშია გადაღებული. რ
ჩანს, მეგობრებმა შედეგიანად იხუმრეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო მჭედლიშვილი

...ხიოზი შეუყვარდა

...ხულს, მომღერ-
...ის რამდენიმეთ-
...ბა დამთავრდა.
...მეუღლე, თამთა
...აში სწავლობდა.
...ანეთი სოციალ-
...შუალებით გაიც-
...ერება ხანმოკლე

...ერლის ცხოვრე-
...ედა სიყვარულის
...ს სოფო მეძმარია-
...თ მსახიობი გახლ-
...რავას სახელობის
...ს. როგორც გავა-
...ტვარი ჰყავს. დედა
...ცხოვრობს. ცოტა
...ლმა ამ ლამაზ გო-
...ი გამოაქვეყნა და
...ბს საჯაროდ ამ-

ცნო, რომ სწორედ ამ გოგონაზეა შეყვარებული. ვინაიდან მომღერალს პირად ცხოვრებაზე საუბარი არ უყვარს, ჩვენი კითხვებიც უპასუხოდ დატოვა. ამიტომ, მის ძმას, ასევე მომღერალ, ბესო ნემსაძეს დავუკავშირდით და ძმის რომანზე ვკითხეთ.

- მართლა არაფერი ვიცი, ჩემი ძმის პირად ცხოვრებაში არ ვერევი.

- არ იცნობ სოფოს?

- ერთხელ მყავს ნანახი.

- როგორი შთაბეჭდილება დატოვა?

- მშვენიერი, პოზიტიური გოგონაა.

სოფოს ფოტოებიდან ირკვევა ისიც, რომ მსახიობი პრეზიდენტის ქალიშვილთან, ანა მარგველაშვილთან მეგობრობს.

...ეგის დღე საწოლში მიულოცა

...მა ინება,
...... მე მას
...აჩუქებ ჩე-
...ხევარს თუ
...ა, რადგან
...ა ვერ წა-
...ახ, მე ად-
...დაბადების
...ულსწრაფი
...ნმემ დამა-
...რ გეუბნე-
...ლ გეტყვი,
...გილოცავ
...სიყვარ-
...ა სიჭინავა
...რდზე და
...ლ ფოტო-

...ან

...ლი
...ი

...ოდიკო
...ები გა-
...რწილის
...ი ახლა-
...იტებმა
...აცეს, -
...ლი და-
...დებით,
...ია. ფო-
...ოგორც

ფოტო: თინა თუთისანი

ზურა ბალანჩივაძე და მარიტა როხვაძე

ნინა წკრიალაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„წარმატების მიზეზი? ეს არის იღბალი“

იტალიური წიგნი დავით მაღრაძის შესახებ

EXCLUSIVE

ნინო ცაბოლოვი

ერთხელ, ფლორენციაში, მედიჩების ცნობილ ისტორიულ სასახლეში ერთი პოეტის პრეზენტაცია გაიმართა. წარჩინებული საზოგადოება შეკრებილა, რომელსაც ცნობილი ლიტერატურული კრიტიკოსები და ცნობილი საგამომცემლო სახლის ხელმძღვანელი ესწრებოდა. მოულოდნელად, დამსწრე საზოგადოების მზერა სასახლის კარიდან შემოსულმა უცნაურად ჩაცმულმა, ახალგაზრდებმა მიიპყრეს, როგორც იტალიური პრესა წერდა, ახალგაზრდებმა გაარღვიეს ხალხის რიგები და სცენაზე ავიდნენ, საიდანაც საოცარი და უცნაურად ხმაშეწყობილი სიმღერა დაიწყეს.

საქმე ის გახლდათ, რომ იქ მყოფი საზოგადოება, ცნობილი ქართველი პოეტის, დავით მაღრაძის იტალიაში გამოცემულ წიგნის (მთარგმნელები ნუნუ გელაძე და მარიენცა კორაჩი) პრეზენტაციას მართავდა, ადგილზე მისული ახალგაზრდები კი, ფლორენციაში, გასტროლებზე ჩასული ქართული ანსამბლის წევრები აღმოჩნდნენ, რომელთაც აღნიშნული ღონისძიების შესახებ აფიშის მეშვეობით მიუღიათ ინფორმაცია და გადაწყვიტეს, ქართული მრავალჟამიერით მისალმებოდნენ ქართველ პოეტს და იქ შეკრებილ უცხოელებს. გაკვირვებული და აღფრთოვანებული დამსწრე საზოგადოება ხმას ვერ იღებდა, სიჩუმე ისევ ცნობილმა გამომცემელმა ჯულიანო ლადოფლიმ არ დაარღვია. რომელმაც ასე შეაფასა მომხდარი: „როცა ახალგაზრდები საკუთარი ნებით, სურვილით, პატრიოტიზმით და სიყვარულით გულანთებულნი ამას გააკეთებენ, ეს ნიშნავს, რომ იმ ქვეყანაში რაღაც გადარჩა...“ და სწორედ ამ „რაღაცაზე“ გადარჩენილსა თუ ჯერ კიდევ გადასარჩენზეა დათო მაღრაძის პოეზია. ადამიანურ ურთიერთობებზე, თანაგრძნობაზე, სიკეთეზე, სამშობლოს განცდაზე, პასუხისმგებლობაზე.

ორი წლის წინ, იტალიის სახელმწიფო ჯილდოს მფლობელი გახდა, იოანე-პავლე მეორეს სახელობის წლის პრემია ლიტერატურაში შეტანილი წვლილისთვის მიანიჭეს. როგორც თავად პოეტი აღნიშნავს, მისი წიგნების პრეზენტაციები სავსეა მოულოდნელობებით. ბერლინში, გერმანული წიგნის „salve“-ს პრეზენტაციაზე გურამ რჩეულიშვილის მოთხრობის გმირების ალფრედ და ელპიდე კურელას ვაჟიშვილი ეწვია. ლონდონში, ოქსფორდისა და კემბრიჯის კლუბში „ჯაკომო პონტის“ პრეზენტაციაზე დაწესებული „დრესკოდის“ გამო თავად პოეტს არ უშვებდნენ უჰალსტუხობისთვის. სხვა მიღებულ უმრავ ჯილდოების და პრემიების ჩამოთვლას, ალბათ, დიდი დრო დასჭირდება. მისი წიგნები ითარგმნა თურქულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, რუსულ და ახლა, უკვე ივრითულ ენებზე.



სწორედ რამდენიმე დღის წინ, შესანიშნავმა ებრაელმა პოეტმა დენიელ ოზმა ივრითულ ენაზე, ცნობილ ებრაულ ლიტერატურულ გამოცემაში გამოაქვეყნა წერილი და მისი ლექსების თარგმანი, რომელიც ისეთივე სიურპრიზი იყო პოეტისთვის, როგორც იტალიაში მასზე გამოცემული წიგნი იტალიურ ენაზე. წიგნში შესულია ყველა ის რეცენზია, რომელიც პოეტზე იტალიელი ცნობილი ლიტერატურის კრიტიკოსების მიერ ლა რუფოს ისტორიულ ციხე-სიმაგრეში გამართულ დაჯილდოვების ცერემონიალზე გამოითქვა. იოანე-პავლე მეორეს სახელობის პრემიის მიღებიდან 2 წლის შემდეგ, იტალიელებისთვის და არამარტო მათთვის, ქართველი პოეტის დავით მაღრაძის პოეზია იქცა, როგორც „ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“.

სწორედ ასე ჰქვია იტალიაში გამოცემულ წიგნს. „მისი შემოქმედება არის უნივერსალური, ის არ ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს.

„ისე აეწყო წუთისოფელი, რომ ჩემი წიგნები გამოდის იტალიაში, ინგლისში, თურქეთში, რუსეთსა და გერმანიაში. ეს არის ძალიან საპასუხისმგებლო და საპატიო მოვლენა, რომელსაც მოჰყვა იოანე პავლე მეორეს სახელობის პრემია“

როდესაც ვეცნობით მის შემოქმედებას, ვგრძნობთ იმას, რაც დაგვავიწყდა. დათო მაღრაძე არ არის მხოლოდ ქართული კულტურის კუთვნილება. ის ყველა ჩვენგანის კუთვნილებაა“,- ასეთია შეფასებები „სამყაროდან“, რომელზეც, როგორც თავად ამბობს, „ფანტაზიაშიც არ უოცნებია იმიტომ, რომ ეს იყო მიუღწეველი სამყარო მისი წარმოსახვისთვის“.

„წარმატების მიზეზი? ეს არის იღბალი“, - ამბობს დავით მაღრაძე და რაც იღბალს მიღმაა, ამაზე საუბრის უფლებას მისი შემოქმედების შემფასებლებს უტოვებს. „როდესაც ვწერდი, არ მქონდა წარმოდგენილი, რომ უცხოეთში გამოვიდოდა ჩემი წიგნი, მით უფრო, ფანტაზიაც ვერ გასწვდებოდა იმას, რომ ჩემი შემოქმედების შესახებ გამოვიდოდა წიგნი. ისე აეწყო წუთისოფელი, რომ ჩემი წიგნები გამოდის იტალიაში, ინგლისში, თურქეთში, რუსეთსა და გერმანიაში. ეს არის ძალიან საპასუხისმგებლო და საპატიო მოვლენა, რომელსაც მოჰყვა იოანე პავლე მეორეს სახელობის პრემია“,-ამბობს დავით მაღრაძე.

იტალიაში გამოცემული წიგნი კიდევ უფრო საინტერესოა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მოტივი ერთი პოეტის შემოქმედებაა, მკითხველს საშუალება ექნება, გაეცნოს, როგორც საქართველოს ისტორიას, ასევე ქართული კულტურის ისტორიას, რაც, პოეტის აზრით, ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი სამშობლოს პოპულარიზაციისთვის. „როდესაც ადამიანი აქვეყნებს შენს ნაცოდვილარს, რეაქციებს ელი... სტენდალიც კი, რომელიც ახალ ნაწარმოებებს აქვეყნებდა, საფრანგეთიდან რამდენიმე ხნით გარბოდა, იმის გათვალისწინებით, რომ მისთვის რეაქციებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბუნებრივია, როდესაც აქვეყნებ ლექსს, ის საჯარო აღსარებას ჰგავს. ამხელ შენი სულის დღესასწაულს, სულის ტკივილს, შენს სულიერ და რეალურ თავგადასავალს გაანდობ მკითხველს. მე არ მყავს აგენტები, ლობები და ასე შემდეგ. მე მყავს მხოლოდ მეგობრები“ - ამბობს დავით მაღრაძე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვარაზისხევის უსახლკაროებმა თავშესაფარი მიიღეს

სალომე ჩადუნელი

უკვე ორი თვეა, ვარაზისხევში, სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ, კარვის ფორმის პარკის ქვეშ, სამი ოჯახი ერთად ცხოვრობს. წვიმაში, ქარში, მზეში, ყოველთვის შენიშნავდით ძირს დაყრილ ნივთებში ცხვირჩარგულ ქალბატონს, რომელიც მუდმივად რაღაცას ეძებდა ან იქვე ხის მაგიდის გარშემო შემომსხდარ ადამიანებს. კარვის ქვეშ მცხოვრები, პარკებგადაფარებული ადამიანები უსახლკაროდ მაშ შემდეგ დარჩნენ, რაც მელიქიშვილის 49 ნომერში მდებარე ბინა დაანგრიეს და მის ადგილას საცხოვრებელი კორპუსის აშენება დაიწყეს. ბინა კერძო საკუთრება იყო, სადაც უკანონოდ შეჭრილი 12 ოჯახი ცხოვრობდა. 12 ოჯახიდან 2 მრავალშვილიანი, გამოსახლების დღიდან დააკმაყოფილეს და მთაწმინდის გამგეობამ პირველივე დღეს ქირით გაიყვანა. დარჩენილი 10 ოჯახიდან სამმა მატერიალური დახმარება მოითხოვა და ვარაზისხევს სამუდამოდ გაეცალა. ხოლო ექვსმა ადამიანმა ტერიტორიის დატოვებაზე უარი განაცხადა.

დღეს სამივე ოჯახი დაკმაყოფილებულია. მთაწმინდის მერიამ, ისინი ორთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ კოჯორში გადაიყვანა. ტრეფიკინგის მსხვერპლთა ყოფილ ცენტრში დღეს 25 სოციალურად დაუცველი ცხოვრობს, მელიქიშვილის 49-ში უკანონოდ შეჭრილებიც მათ შეუერთდებიან.

„პრაიმტაიმი“, ღია ცის ქვეშ გაშლილ კარავთან მაშინ მივიდა, როდესაც გამგეობის წარმომადგენლებს უსახლკაროები კოჯორში გადაჰყავდათ. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო და გარეთ დარჩენილებიც კოჯორში წასვლაზე უარს არ ამბობდნენ, ნაწილი მაინც უკმაყოფილებას გამოთქვამდა და ქალაქიდან შორს წასვლა არ უნდოდათ.

მათი შემოსავალი ქუჩაში, მათხოვრობით მოპოვებული ფულია, ზოგიერთი ბოთლებსაც აგროვებს. როგორც ამბობენ, სოციალური დახმარება ჰქონდათ, თუმცა ბინის დანგრევის შემდეგ მოუხსნეს.

გამგებლის მოადგილე ირაკლი ქუთათელაძე გვარწმუნებს, რომ მას შემდეგ, რაც ეს სამი ოჯახი კოჯორში დაფიქსირდება, მათთან სოციალური აგენტი მივა, შეაფასებს მდგომარეობას და თუ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ, სოციალურ დახმარებასაც მიიღებენ.

მათთან სოციალური აგენტი მივა, შეაფასებს მდგომარეობას და თუ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ, სოციალურ დახმარებასაც მიიღებენ

რა ხდება მაშინ, როდესაც გამგეობა ან სახელმწიფო სტრუქტურა გარეთ დარჩენილებს დახმარებას სთავაზობს და ისინი არ ეთანხმებიან? - როგორც მერიაში განმარტავენ, პროცედურები ნებაყოფლობითია და თუ ადამიანს შეთავაზების მიღება არ სურს, ამას ვერავინ დააძალებს.

„ჩვენი ინტერესია, რომ ქუჩაში არ გაიყინონ. მითხრეს თბილისში გვინდაო და იქნებიან კოჯორში ოთხ კედელში და პირობებს შევუქმნით. ქალაქშიც 20 წუთში ჩამოვლენ. უფასო სასადილოსაც გავუკეთებთ, კოჯორში საჭმელს შეჭამენ და შეშაც ექნებათ“, - ამბობს მთაწმინდის გამგებლის მოადგილე ირაკლი ქუთათელაძე.

მისივე განცხადებით, რაიონს უსახლკარო ადამიანებისთვის სპეციალური მუნიციპალური საცხოვრებელი არ აქვს, თუმცა ბიუჯეტში ყოველწლიურად 500 000-ია გამოყოფილი იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც ბინები დაკარგეს და დახმარებას საჭიროებენ. დღესდღეობით გამგეობა ბინის ქირას 130 ადამიანს უხდის, კონკრეტული საჭიროებისა და ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით.

უსახლკაროები კოჯორში იქამდე დარჩებიან, ვიდრე მათი და იქ მცხოვრები 25 ოჯახის ინტერესი არ დაკმაყოფილდება და პრობლემები არ მოგვარდება. თუ კონკრეტულად რა პრობლემები უნდა მოგვარდეს და როდის დასრულდება ეს პროცესები გამგეობაში ვერ გვპასუხობენ.

პრობლემის მოგვარების გზების გააზრებამდე კი კოჯორში გადასულ უსახლკაროებს, სუფთა ჰაერზე, 50 მეტრზე მდებარე სასადილოში, თბილი წვნიანიც შეუძლიათ მიირთვან.

როგორც ჩანს, უსახლკაროდ დარჩენის ფორმაშიც უნდა გაგიმართლოს, თორემ ქუჩაში მცხოვრების ადამიანების დაკმაყოფილების ვალდებულებას სახელმწიფო თავის თავზე არასდროს იღებდა და არც ახლა იღებს.

2015 წლის აპრილის მონაცემებით კი, 4 მილიონიან საქართველოში, მხოლოდ თბილისის მასშტაბით, დაახლოებით 4 ათასამდე უსახლკაროა, თუმცა მათ შესახებ რეალური მონაცემების არარსებობის გამო ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია.

უსახლკაროები კოჯორში იქამდე დარჩებიან, ვიდრე მათი და იქ მცხოვრები 25 ოჯახის ინტერესი არ დაკმაყოფილდება და პრობლემები არ მოგვარდება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამარ მეჭიაური: - „მე და თამაზი ღალატ

my View
ნინო მჭედლიშვილი

დაამთავრა მუსიკალური ტექნიკუმი, ზაქარია ფალიაშვილის მეორე მუსიკალური სასწავლებელი, ჰუმანიტარულ-სახელოვნებო აკადემია. ჰქონდა გამოსვლები სიმფონიურ ორკესტრთან. თავიდან მისი ჟანრი კლასიკა იყო, მღეროდა გუნდთან ერთადაც. შემდეგ ქალაქური სიმღერებისკენ გადაიხარა და დღემდე ამ ჟანრში მღერის. მუშაობდა სტუდიაში „ლურჯა ცხენები“. აქვს საბავშვო ვოკალური სტუდია „ჩარი-რამა“. პარალელურად, სასიმღერო კარიერას აგრძელებს. იყო არაერთი სიმღერა, კონცერტი, გასტროლი, სამი ალბომი, თუმცა ფართო აუდიტორია თამარ მეჭიაურს სიმღერით „მოღალატე“ იცნობს. მიუხედავად იმისა, რომ სიმღერა თავად არ შეუქმნია, სახელი სწორედ ამ სიმღერით გაითქვა.

- ამ სიმღერას ვერსად გავექეცი. ბევრს ჰგონია, რომ ჩემი დაწერილია. „მოღალატე“ ქართლოს კასრაძის მეუღლემ, ნუნუ ანანიაშვილმა შექმნა. ტექსტიც მას ეკუთვნის და მუსიკაც. პირველად ეს სიმღერა ანსამბლ „ივერიის“ მიუზიკლში“, - „თოვლის ბებო ბაბალე“ გაჟღერდა. თემურ თათარაშვილი მღეროდა ნაწილს ამ სიმღერისას. მომეწონა, დავურეკე ნუგზარ კვაშალს, ვთხოვე მოეცა სრული ტექსტი და აღვადგინე. ამ სიმღერამ ათწლეულის ჰიტის ნომინაცია აიღო „მეგაზე“ და ჩემს ორ ალბომშია შესული.

„დღეს არავინ იბლოკება. იმ დღეს გიგი უგულავა რომ გამოუშვეს ერთი ღამით, ნიკა მემანიშვილი გამოვიდა და თქვა, როგორ მიხარია, სამართალი რომ აღდგაო. მეორე დღეს კონცერტი ჩაატარა მემანიშვილმა, კი არავის შეუშლია ხელი. ვინც უნდა ის უყვარდეს, მე მისი შემოქმედება მიყვარს და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ჩემთვის, მის პოლიტიკურ შეხედულებებს“

„იუმორით უნდა შეხედო ამას. არ არსებობს კაცს გვერდზე არ გაექცეს თვალი. ღალატს იცი რას ვეძახი, როცა ადამიანი სიყვარულის გამო ოჯახიდან მიდის“

- თამრიკო, უღალატიათ შენთვის?

- (იღიმება) ვისთვის არ უღალატიათ... ამიტომ გახდა ასეთი პოპულარული ეს სიმღერა, რომ ყველამ თავისი გულისტკივილი დაინახა მასში... ჩემთვისაც უღალატიათ, ღალატი მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის არ ხდება. მერე რა...

- მერე რა?! არ არის მტკივნეული?

- არა. იუმორით უნდა შეხედო ამას. არ არსებობს კაცს გვერდზე არ გაექცეს თვალი. ღალატს იცი რას ვეძახი, როცა ადამიანი სიყვარულის გამო ოჯახიდან მიდის. როცა წუთიერ სისუსტეს გამოიჩენს და მერე თავად ნანობს ამას, მალავს, რომ ცოლს არ გააგებინოს, ეს არ არის ღალატი. ამის გამო ნუ ახტებიან, ოჯახს ნუ დაანგრევენ.

- თუ მაინც გაიგო ცოლმა?

- მაშინ მეუღლეს ნუ გააგებინებს, რომ იცის. თუ გააგებინა და მაინც მასთან აგრძელებს ცხოვრებას, ამით საკუთარ თავს მიაყენებს შეურაცხყოფას...

- შენ როგორ მოიქეცი?

- მე და თამაზი ღალატის გამო არ დავშორებივართ ერთმანეთს. ჩვენ პატარები ვიყავით, ძალიან კარგად ვგრძნობდით ერთად თავს, პირველ რიგში ერთმანეთის მეგობრები ვიყავით. 17 წლის გავთხოვდი. თამაზი 22 წლის იყო.

- როგორ გაიცანით ერთმანეთი?

- თიანეთის რაიონში, პარკში გავიცანით ერთმანეთი. მაშინ ახალი გამოსული იყო „ვერის უბნის მელოდიები“ და იქ დამპატიჟა. მერე სკოლაში ჩამომაკითხა. დამემშვიდობა, ჯარში მიდიოდა. წერილობით გაგრძელდა ჩვენი ურთიერთობა. ჯარიდან რომ დაბრუნდა, უკვე პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი... სახლში მესტუმრა. მერე დავდიოდით ფილმებზე, სპექტაკლებზე. იმ დღეს, როცა გავთხოვდი, პაემანზე 40 წუთი დამაგვიანდა. თამაზი უკვე წამოსული იყო შეხვედრის ადგილიდან, მაშინ მობილურები არ იყო, ვერ დამიკავშირდა. მეტროს ვაგონში შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. აი, რას ნიშნავს ბედისწერა.

- არ დაგელოდა?

- იანვარი იყო, 40 წუთი მელოდა ქუჩაში. მერე მეგობართან წავედით და იმ დღეს გადავწყვიტეთ ერთად გვეცხოვრა. 5 წელი ვიცხოვრეთ ერთად. თამაზთან მყავს ბიჭი, კახაბერი, 37 წლის.

„ჯარიდან რომ დაბრუნდა, უკვე პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი...“

- შეიძლება თქვენი დაშორების მიზეზი გკითხო?

- ერთი კონკრეტული არ არსებობს. ალბათ, დამოუკიდებლობის არქონა იყო მიზეზი...

- შენთვის თუ მისთვის?

- ორივესთვის...

- ანუ, დამოუკიდებლად გინდოდათ გეცხოვრათ, მშობლების ჩარევის გარეშე?

- არა, არა, ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ არაჩვეულებრივი დედა-

„როცა წუთიერ სისუსტეს გამოიჩენს და მერე თავად ნანობს ამას, მალავს, რომ ცოლს არ გააგებინოს, ეს არ არის ღალატი“

„იმ დღეს, როცა გავთხოვდი, პაემანზე 40 წუთი დამაგვიანდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ის გამო არ დავშორებივართ ერთმანეთს“



„ის ყოველთვის ამაყობდა ჩემი სიმღერით... არ ვიცი რა მოხდა, მაგრამ მოხდა. ჩვენ დავშორდით“

„პატარები ვიყავით, ბევრი რამ ვერ გავთვალეთ... მე ჩემი კარიერა მინდოდა, მანაც კარგად აანყო კარიერა“

მთილ-მამამთილი მყავდა. როცა დედა სიმსივნის დიაგნოზით იყო ავად, მათ გადამატანინეს ეს ტკივილი. მაშინ უკვე აღარ ვცხოვრობდით ერთად მე და თამაზი. მოკიდეს ჩემს შვილს ხელი, წა-

„მშიერიც რომ ყოფილიყო, სადილს ვერ მოამზადებდა. სადილის მომზადება, ჭურჭლის რეცხვა და მით უმეტეს ქსოვა, მთიული კაცების საქმე არ არის“



იყვანეს თიანეთში და მათ უპატრონეს. კახამ თიანეთში დაამთავრა სკოლა, სამი წელი მათთან ცხოვრობდა, იმიტომ, რომ მე ორი უმძიმესი ავადმყოფი მყავდა სახლში, დედა და ბებია. ეს იყო 92-93 წლები. ეს ის დრო იყო, როცა 8 საათის მერე ქუჩაში ვერ გახვიდოდი. ამ პერიოდში თინეიჯერი ბიჭის და ორი ავადმყოფის მოვლა ძალიან

გიწყობდნენ ურთიერთობაში, მაშ რატომ დაშორდით, რას გულისხმობ დამოუკიდებლობაში...

- როგორ გითხრათ, ალბათ, იმას, რომ ნაკლებ თავისუფლებას ვაძლევდით ერთმანეთს.

- იმ პერიოდში მღეროდი?

- არა, მაგრამ ეს თამაზს არ მოუთხოვია ჩემთვის. ის ყოველთვის ამაყობდა ჩემი სიმღერით... არ ვიცი რა

გამირთულდებოდა. ამიტომ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის მათთვის. 40 დღის განმავლობაში დაიღუპა დედაც და ბებიაც. დაბრუნდა კახა ისეთი ნაკითხი და ნასწავლი, რომ პირველივე წელს მოუმზადებლად ჩააბარა უნივერსიტეტში, საგადასახადო-საფინანსო ფაკულტეტზე... მამამთილი გარდაიცვალა, დედამთილს დღესაც დედას ვეძახი.

- გამოდის, მისი მშობლები ხელს

მოხდა, მაგრამ მოხდა. ჩვენ დავშორდით. მე თბილისში წამოვედი, თამაზი თიანეთში დარჩა... ოჯახი არ არის ოთხ კედელში გამომწყვდეული ქალი და კაცი. პატარები ვიყავით, ბევრი რამ ვერ გავთვალეთ... მე ჩემი კარიერა მინდოდა, მანაც კარგად აანყო კარიერა. წითელ დიპლომზე დაამთავრა სკოლა, უნივერსიტეტი, მაშინვე გაანაწილეს პროფტექნიკუმში მასწ-

ავლებლად. რაიკავშირის თავმჯდომარეც იყო პატიაშვილის დროს.

- რთული იყო განშორება?

- არც ისე. ადამიანი მარტოობას ასაკში განიცდის. როცა ახალგაზრდა ხარ, როცა წინ დიდი გზა გაქვს გასავლელი, ამას ნაკლებად განიცდი, ვარდისფერი სათვალით უყურებ ცხოვრებას...

- არც ისე ვარდისფერი აღმოჩნდა შენი სათვალე, რადგან დღემდე მარტო ხარ...

- მარტო არ ვარ, მყავს შვილი, შვილიშვილი, ჩემი მეგობრები, საქმე, მოსწავლეები, თანაკლასელები... დრო კი იყო რთული. 26 წლის ვიყავი დედა რომ ავად გახდა და 8 წელი ებრძოდა ამ მძიმე სენს.

- თამაზი მხარში გედგა, როგორც მეგობარი?

- როგორც მეგობარი მაშინაც მხარში მედგა და ახლაც. გამორიცხულია რამე ვთხოვო და უარი მითხრას. ამიტომ ვეღარაფერს ვთხოვ.

- რაიონში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს, როგორც ვიცი.

- ნამდვილად, უყვართ რაიონში. თამაზი ორი მოწვევის დეპუტატი იყო შევარდნაძის დროს და თიანეთის რაიონისთვის ბევრი კარგი რამ გააკეთა. ეხმარებოდა ბევრს, ძალიან ყურადღებიანი იყო.

- ახლა მახსენდება პრეზიდენტის ქსოვასთან დაკავშირებით გაკეთებული მისი ცინიკური განცხადება, თვითონ არ ეხერხება ხელსაქმე?

- არა, ხელსაქმე არა, მშიერიც რომ ყოფილიყო, სადილს ვერ მოამზადებდა. სადილის მომზადება, ჭურჭლის რეცხვა და მით უმეტეს ქსოვა, მთიული კაცების საქმე არ არის (იღიმება).

- თამაზმა მალევე შექმნა ოჯახი?

- 3 წელიწადში. მასთანაც ბიჭები ჰყავს. გადასარევი ურთიერთობა აქვთ ძმებს. კახა ხშირად ჩადიოდა სოფელში და მათთან ერთად იზრდებოდა...

- ზოგჯერ ქილიკის ობიექტი ხდება ხოლმე შენი ყოფილი მეუღლე, ამაზე რა რეაქცია გაქვს?

- დღეს ყველა პოლიტიკოსს აქილიკებენ. ეს პიარია. რა მნიშვნელობა აქვს თეთრი თუ შავი, პიარი პიარია.

- მისთვის სიმღერა დაგიწერია?

- მიმღერია სუფრასთან, მიმიძღვნია, მაგრამ არ დამიწერია.

- მახსოვს იყო დრო, როცა ამბობდი, მბლოკავენ, კონცერტებზე არ მეძახიანო. ახლა რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

- აღარ მბლოკავენ.

- მკითხველი იტყვის, ყოფილი ქმარი პარლამენტარი ჰყავს და ვინ დაბლოკავსო...

- თქვან. მე ხომ ვიცი, რომ ასე არაა. დღეს არავინ იბლოკება. იმ დღეს გიგი უგულავა რომ გამოუშვეს ერთი ღამით, ნიკა მემანიშვილი გამოვიდა და თქვა, როგორ მიხარია, სამართალი რომ აღდგაო. მეორე დღეს კონცერტი ჩაატარა მემანიშვილმა, კი არავის შეუშლია ხელი. ვინც უნდა ის უყვარდეს, მე მისი შემოქმედება მიყვარს და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ჩემთვის, მის პოლიტიკურ შეხედულებებს.

- როგორი ბაბუაა თამაზი?

- ძალიან კარგი, სამი ბიჭი შვილიშვილი ჰყავს. ოღონდ ბაბუა, არა, პაპა. ბაბუას რომ ეძახიან სწყინს (იცინის).

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მერიის სოციალუ

„ლეიკემიისა და სხვა ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებში ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის პროგრამის 2015 წლის ბიუჯეტი 4 მილიონ ლარს შეადგენს“

ნინო ცაბოლოვი

რა სოციალურ პროგრამებს ახორციელებს მერია, როგორია პრიორიტეტები და რა თანხები იხარჯება ცალკეულ პროგრამაზე? „პრაიმტაიმის“ ამ და სხვა კითხვებს თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა უპასუხა.

მერიამ რამდენიმე სერიოზული პროგრამა განახორციელა. მათ შორის: ლეიკემიით დაავადებული ბავშვების მკურნალობის, C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრის მიზნით სწრაფი/მარტივი ტესტირება; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა; სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარების პროგრამა; შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა; სხვადასხვა სოციალური პროგრამები.

თითოეულ ამ პროგრამის განხორციელებაზე გელა ჩივიაშვილმა დეტალურად ისაუბრა:

ლეიკემიით დაავადებული ბავშვების მკურნალობის პროგრამა – ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია

დღეისთვის, ამ პროგრამით 12-მა პაციენტმა ისარგებლა. 200 000 ლარამდე ღირებულების ვაუჩერს თბილისის მერია აფინანსებს, რომელშიც შედის როგორც ოპერაცია, ასევე რეაბილიტაციის კურსი 140 დღის განმავლობაში. პროგრამით სარგებლობს თბილისში რეგისტრირებული ყველა პირი, რომელსაც ამ დაავადებას საქართველოში დაუდგენენ. ექსპერტების მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დასკვნის მიხედვით, საზღვარგარეთ ოპერაციის დაფინანსება ხორციელდება. 12 პაციენტიდან 3-ის კურსი წარმატებით დასრულდა, დანარჩენები რეაბილიტაციის კურსს გადიან. ამ პროგრამის განხორციელება 2015 წელს დაიწყო. ლეიკემიისა და სხვა ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებში ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის პროგრამის დაფინანსება 2015 წლის ბიუჯეტში 4 მილიონ ლარს შეადგენს.

C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრის მიზნით სწრაფი/მარტივი ტესტირება

მიმდინარე წლის მაისიდან, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ წამოწყებულ C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამაში მერია საკმაოდ აქტიურად ჩაერთო და ის თანადაფინანსებას უზრუნველყოფს. თბილისის ყველა მოსახლეს მერიის მიერ დაფუძნებულ სკრინინგ ცენტრში, მარტივი ტესტ-მეთოდით შეუძლია, განსაზღვროს, აქვს თუ არა C ჰეპატიტი. ის პაციენტები, რომლებსაც ეს დაავადება აღმოაჩნდებათ, ავტომატურად ერთვებიან ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამაში, რომლითაც სოციალურად დაუცველებს უფასოდ სარგებლობა შეუძლიათ. სხვა მოქალაქეებს კი 10%-ის გადახდა უწევთ, რაც 48 ლარს შეადგენს. მას შემდეგ, რაც პაციენტებს დაავადების ფორმა დაუდგინდებათ, მედიკამენტის მკურნალობის პროგრამაში ავტომატურად ერთვებიან. შემდეგ, უკვე ჯანდაცვის სამინისტროში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას. ჩვენი თანამონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბიუჯეტით გათვალისწინებული 800 000 ლარის დახმარებით, რამდენიმე ათასმა მოქალაქემ ისარგებლა, ხოლო სკრინინგის პროგრამით, მაისიდან დღემდე, 5000 მოქალაქეა გამოკვლეული და მათგან 10%-ს ეს დაავადება აღმოაჩნდა.



„დღეს საქართველოში არსებობს დაახლოებით 8-დან 10 000-მდე სმენადაქვეითებული ადამიანი, რომელთაც სხვადასხვა დაწესებულებებთან კომუნიკაციისთვის რამდენიმე ათეული თარჯიმანი ემსახურება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„70 000 ქულის ზღვარს ქვემოთ მყოფი 18 წლამდე სოციალურად დაუცველი ბავშვები ყოველთვიურად მერიისგან 50 ლარს იღებენ. ეს თანხა ადრე 25 ლარს შეადგენდა“

„შშმ პირების (ბავშვების) ერთჯერადი დახმარება 800 ლარს შეადგენს და ეს თანხაც იგივე პრინციპით გაიცემა. შესაბამისად, ბიუჯეტში ამ პროგრამებისთვის 2 მლნ ლარამდეა გათვალისწინებული“

EXCLUSIVE

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა

აღნიშნული პროგრამა ივლისიდან დაიწყო. ეს არის ახალი დაავადება, რომლის დიაგნოსტიკა უკანასკნელი წლების განმავლობაში ხორციელდება. 400 ლარის ოდენობის ვაუჩერული დაფინანსებით, 309 ბავშვის მკურნალობის კურსს ვფარავთ. პროგრამა ჩვენ მიერ მოწვეული ექსპერტებისა და მშობლების ჩართულობით შემუშავდა. რაც შეეხება ბავშვების ჩართვის მექანიზმს, ამ პროგრამით 2-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვები სარგებლობენ. დიაგნოსტიკა 2 წლამდე პრაქტიკულად ვერ ხორციელდება.

სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარების პროგრამა

ეს არის სოციალური პროგრამა – 70 000 ქულის ზღვარს ქვემოთ მყოფი 18 წლამდე სოციალურად დაუცველი ბავშვები ყოველთვიურად მერიისგან 50 ლარს იღებენ. ეს თანხა ადრე 25 ლარს შეადგენდა, იანვრიდან გაორმაგდა. გარდა ამ პროგრამისა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ყველა დაბადებულ ბავშვზე 500-ლარიანი ვაუჩერის გაცემა დავიწყეთ. პრიორიტეტული მიმართულებაა შშმ პირების სოციალური დახმარება. მინდა აღვნიშნო ორი ახალი პროგრამა – უსინათლოების ერთჯერადი დახმარება (900 ლარი), რომელიც გაიცემა სამჯერ, სამასი ლარის ოდენობით. ასევე, შშმ პირების (ბავშვების) ერთჯერადი დახმარება 800 ლარს შეადგენს და ეს თანხაც იგივე პრინციპით გაიცემა. შესაბამისად, ბიუჯეტში ამ პროგრამებისთვის 2 მლნ ლარამდეა გათვალისწინებული.

შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა

პროგრამის წლიური ბიუჯეტი 400 000 ლარს შეადგენს. ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ამ მიმართულებით მოღვაწეობს, თანადაფინანსებას ვუწევთ. მაგალითად, არსებობს პროექტი – უსინათლოთა ასისტენტი, რომელიც ეხმარება უსინათლოებს სხვადასხვა საჯარო და სხვა დაწესებულებებთან ურთიერთობაში. ასისტენტის ხარჯს მერია მთლიანად თავის თავზე იღებს. დღევანდელი მონაცემებით, 100-მდე ტოტალურ უსინათლოს ვემსახურებით. მეორე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ფინანსდება, ასევე, არის უსინათლო პირთა ჟურნალი, რომლის ბეჭდვაც ბრაილის შრიფტით ხორციელდება. რაც შეეხება სმენადაქვეითებულებს, მათთვის ერთ-ერთი პრობლემა ე.წ. სურდო თარჯიმნების ტრენინგის დაფინანსება იყო. დღეს საქართველოში არსებობს დაახლოებით 8-დან 10 000-მდე სმენადაქვეითებული ადამიანი, რომელთაც სხვადასხვა დაწესებულებებთან კომუნიკაციისთვის რამდენიმე ათეული თარჯიმანი ემსახურება. ჩვენ მიერ 20-მდე თარჯიმანი გადამზადდა.

შშმ პირთა საკურორტო მომსახურება

გასულ წლებში ამ პროგრამაზე მილიონ 200 000 იხარჯებოდა და ამავე ბიუჯეტით შევძელით ის, რომ ხარისხი, პირობები გავაუმჯობესეთ. ვაწარმოებდით გამოკითხვას და ვიღებდით ინფორმაციებს, რა მიმართულებით სურდათ ცვლილების განხორციელება. ხარისხსა და პირობებში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება განვახორციელეთ. შეაბამისად, ბავშვებმა დაისვენეს მთაში – 4-ვარსკვლავიან სასტუმროში; ზღვაზე – 5-ვარსკვლავიან სასტუმროში.

ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება

ომის ვეტერანთა და ომში მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი დახმარებაც გაიზარდა და 2015 წელს ათასი ლარი შეადგინა. მეორე მსოფლიო ომის ყველა მონაწილეს ჩვენ მიერ 9 მაისს აღნიშნული დახმარება გადაეცა.

ას წელს მიღწეულ მოქალაქეთა დახმარება და მილოცვა

სოციალური დახმარება 100 წელს მიღწეულ და ამ ასაკს ზემოთ მყოფი ადამიანებისთვის გაიზარდა. ბიუჯეტი 35 000 ლარით განისაზღვრა. თუ ადრე დიფერენცირება ხდებოდა, არსებული ზღვარი მოვხსენით და ყველას, ერთჯერადი დახმარების სახით, 1000 ლარს გადავცემთ. მათ ოჯახებში მოულოდნელად მივდივართ და თბილისის მერის სახელით თანხით ვასაჩუქრებთ. წელს ასეთი 35-დან 40-მდე ადამიანი იყო. მაგალითად, 103 წლის ქალბატონს ვეწვიეთ. ის ძალიან მხნედ გამოიყურებოდა, საიუბილეო ტორტზე სანთლებიც ჩააქრო, თუმცა რეცეპტი, როგორ მიაღწია ამ ასაკს, დაგვიმალა.

სხვადასხვა სოციალური პროგრამები

სოციალური ბიუჯეტი 76 მილიონს შეადგენს. არსებობს სხვადასხვა სოციალური პროგრამები, დაახლოებით 29-მდე პროგრამა (როგორც ჯანდაცვის, ასევე სოციალური), რომლის ადმინისტრირებასაც ჩვენი სამსახური ახორციელებს. არ შემიძლია, არ აღვნიშნო პროგრამა, რომელზეც მოთხოვნა ძალიან დიდია და რომლის მეშვეობითაც ვაფინანსებთ იმ სამედიცინო მომსახურებებს, რომელიც სხვა ჯანდაცვითი პროგრამებით არ ფინანსდება. წლის განმავლობაში, დაახლოებით, 25 000-მდე ბენეფიციარს ვემსახურებით. 2015 წელს, ამ მიმართულებით, სპეციალური წესი ჩამოვაყალიბეთ. გამოიყო პრიორიტეტული ჯგუფები – სოციალურად დაუცველები 70 000 ქულის ქვემოთ; შშმ პირები; ვეტერანები; მარჩენალდაკარგულები; ასევე, ის მოწყვლადი ჯგუფები, რომლებიც პირველ რიგში საჭიროებენ დაფინანსებას. რაც შეეხება წლიურ ბიუჯეტს, ის 15 მლნ ლარს შეადგენს. ჩვენი დაფინანსების პრინციპი შეესაბამება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ აღიარებულ სიკვდილიანობის მიზეზებს – ეს არის გულ-სისხლძარღვთა დაავადება; ონკოლოგიური დაავადებები; ძვალსახსროვანი დაავადებები და სხვა. ანუ მეტი ფული მიდის იმ დაავადებების აღმოფხვრაზე, რომელიც ადამიანების სიკვდილიანობას ყველაზე მეტად იწვევს. რაც შეეხება დაფინანსების კრიტერიუმებს, არ ვაფინანსებთ საკურორტო, ბალნეოლოგიურ მომსახურებას, პლასტიკურ და ესთეტიკურ ოპერაციებს. რამდენიმე ადამიანმა უკმაყოფილება გამოთქვა, რომ ჭარბი წონის გამო, კუჭის ოპერაციის დაფინანსება არ ხორციელდება. ეს პლასტიკურ ოპერაციად ითვლება, რადგან ადამიანს უწერია, რომ პრაქტიკულად ჯანმრთელია, მაგრამ ჭარბი კალორიების გამო დაფინანსებას ითხოვს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არსებული რესურსი უნდა მოვახმაროთ იმ ადამიანებს, რომელთაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ. კომისიას სუბიექტური გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია, რადგან ეს არის კანონით განერილი მკაცრი კრიტერიუმები. ამის შესახებ დეტალური ინფორმაციის გაცნობა ჩვენს ვებგვერდზეც შესაძლებელია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲜᲘ

PRIME Time

ᲤᲝᲢᲝ: ᲗᲘᲜᲐ ᲗᲣᲗᲘᲡᲐᲜᲘ

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

გია ყანჩელის 80 წლის იუბილეს რუსთაველის თეატრი უმასპინძლებს



ნატო მეტონიძე:
„ეს კომპოზიციები, ნიკა რაჭველის არანჟირებით ნამღერი მაქვს, მაგრამ ამ ტრიოს ხედვა რადიკალურად სხვაა, შესაბამისად, საინტერესოა ჩემთვის სხვა ინტერპრეტაციით ამ კომპოზიციების სიმღერა“

EXCLUSIVE

my View
ნინო მჭედლიშვილი

23 ოქტომბერს, 20:00 საათზე, ფონდი „ავტოგრაფი“ და რუსთაველის თეატრი წარმოგიდგენთ გია ყანჩელის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილ კონცერტს. გენიალური ქართველი კომპოზიტორის მუსიკას ლეგენდარული სპექტაკლებიდან, ფილმებიდან, ახალი ინტერპრეტაციით ასრულებენ ნატო მეტონიძე და Xylem Trio ლატვიიდან. გია ყანჩელის საიუბილეო კონცერტები გაიმართა ევროპის დიდ ქალაქებში, მათ შორის ბრუსელში. 23 ოქტომბერს ქართველ მაყურებელს შეეძლება დატკბეს ამ გენიალური მუსიკოსის კომპოზიციების ახალი ინტერპრეტაციით.

ნატო მეტონიძე:

- ეს კონცერტი ეძღვნება გია ყანჩელის საიუბილეო წელს. მოხდა სასიამოვნო დამთხვევა, რიგელი მუსიკოსები, ბიჭების ჯაზტრიო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში საქართველოში ჩამოდის. ფესტივალზე აჩვენებენ „ხანუმას“, რომლის მუსიკალურ გაფორმებასაც ეს ტრიო აკეთებს. 21-22 ოქტომბერს, თეატრალური ფესტივალის ფარგლებში სწორედ ეს სპექტაკლი იქნება წარმოდგენილი რუსთაველის თეატრის სცენაზე. 23 ოქტომბერს კი, ამავე სცენაზე, გია ყანჩელის იუბილისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართება. ეს ტრიო გია ყანჩელის მუსიკის თაყვანისმცემელია. მათ ორი წლის წინ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჰქონდათ კონცერტი, გია ყანჩელის მუსიკა დაუკრეს. შემდეგ მათივე თხოვნით მიწვეული ვიყავი რიგაში, სადაც ერთობლივად გავაკეთეთ ამ კომპოზიტორის კონცერტი. ასე რომ, ჩვენი პირველი თანამშრომლობა რიგაში უკვე შედგა. სწორედ ეს პროგრამა გვინდა ვაჩვენოთ 23 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში მოსულ მაყურებელს.

- უფრო კონკრეტულად რომ გვიამბოთ კონცერტის მუსიკალურ ნაწილზე, რას მოისმენს გია ყანჩელის მუსიკის თაყვანისმცემელი კომპოზიტორის იუბილეზე?

- ამ ჯაზტრიოს გია ყანჩელის თავისი პროგრამა აქვს, ჩემთან ერთად კი რამდენიმე კომპოზიციას შეასრულებენ, რომელიც გადმოვიტანეთ ჩემი ძველი პროექტიდან „კინოსა და თეატრის მუსიკა“. ეს არის: „ლირი“, „მიმინო“, „ყვითელი ფოთლები“ და „ხანუმა“.

- რაც შეეხება თქვენ დამოკიდებულებას ამ კომპოზიტორის მუსიკისადმი, როგორ ემზადებით ამ მნიშვნელოვანი გამოსვლისთვის?

- მართალია ეს ის კომპოზიციებია, რომელიც მე ნიკა რაჭველის არანჟირებით ნამღერი მაქვს, მაგრამ ამ ტრიოს ხედვა რადიკალურად სხვაა და შესაბამისად, საინტერესოა ჩემთვის სხვა ინტერპრეტაციით ამ კომპოზიციების სიმღერა. ველოდები სიამოვნებას, განცდას, რომელიც ჩემთვის პირველი არ არის, მაგრამ ყოველ ჯერზე ახალია.

გიგა კობალაძე (ფონდ „ავტოგრაფის“ დამფუძნებელი):

- ჩვენი ფონდი უკვე დიდი ხანია გია ყანჩელთან თანამშრომლობს. 2 წლის წინ ჩვენ გავაკეთეთ ამ კომპოზიტორის კონცერტი. ეს იყო განსხვავებული პროგრამა, თუმცა სწორედ „საილენდ“ ტრიო უკეთებდა არანჟირებას ყანჩელის მუსიკას, რომელსაც 23 ოქტომბერს ნახავთ რუსთაველის თეატრის სცენაზე, გია ყანჩელის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილ კონცერტზე. ეს იქნება სრულიად ახალი პროგრამა, ჯაზური ინტერპრეტაციით. ეს პროგრამა გახლავთ ნატო მეტონიძისა და „საილენდ“ ტრიოს ერთობლივი ნამუშევარი, რომელიც რიგაშიც გაიმართა. საიუბილეო საღამოს სწორედ რომ რუსთაველის თეატრი შეესაბამება. ასე რომ, მობრძანდით, წინ დიდი სიამოვნება გელით.

- ამ კონცერტის შემდეგაც გააგრძელებთ, ალბათ, გია ყანჩელთან თანამშრომლობას.

- რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ჩვენი ბოლო ერთობლივი კონცერტი. გვაქვს ახალი იდეები და უახლოეს მომავალში აუცილებლად განვახორციელებთ.

P.S. ბილეთები 16 ოქტომრიდან რუსთაველის თეატრის სალაროებში გაიყიდება. პროექტის პარტნიორია ქალაქ თბილისის მერია. საინფორმაციო მხარდაჭერა: ტელეკომპანია „რუსთავი 2“, რადიო „ფორტუნა“ და „ფორტუნა+“, „Myvideo.ge“, გაზეთი „პრაიმტაიმი“.

გიგა კობალაძე: „ეს იქნება სრულიად ახალი პროგრამა, ჯაზური ინტერპრეტაციით“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერვიუ „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ დირექტორ ლორა თორნტონთან

ნინო ცაბოლოვი

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე, NDI-ს რეიტინგების მიხედვით, 42%-ის შეხედულებებთან ახლოს არც ერთი პარტია არ დგას. მაისში ჩატარებული კვლევის მიხედვით, იმავე შეკითხვაზე მსგავსი პასუხი 35%-მა გასცა. შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მდგომ პარტიად წინა კვლევაში „ქართული ოცნება“ 21%-მა დაასახელა, დღევანდელი შედეგებით კი ეს მაჩვენებელი 14%-ს შეადგენს. მას ერთი პროცენტით ჩამორჩება „ნაციონალური მოძრაობა“, რომლის მაჩვენებელიც მაისის შედეგებთან შედარებით არ შეცვლილა. კითხვაზე: ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, ვის დაუჭერდით მხარს? „ნაციონალურ მოძრაობას“ აქაც 13% აქვს, თუმცა ამ შემთხვევაში, პირიქით, მას „ქართულ ოცნება“ ჩამორჩება 2%-ით. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მხარდამჭერთა პროცენტული მაჩვენებელი არ შეცვლილა, თუმცა რეიტინგებში ევროკავშირის მხარდამჭერთა კლების ტენდენცია შეინიშნება. კვლევის შედეგები „პრაიმტაიმთან“ „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ დირექტორმა ლორა თორნტონმა შეაფასა.

„ეს არის პოლიტიკოსებისთვის შანსი და სიგნალი, რომ უფრო მეტად ისაუბრონ მოსახლეობასთან იმ თემებზე, რომელიც ხალხს ყველაზე მეტად აწუხებს“

– ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით თქვენ მიერ გამოქვეყნებულ წინა კვლევის შედეგებს მოჰყვა შეფასებები, რომ ადამიანების დაბნეულობა კითხვის ფორმულირებამ გამოიწვია და შესაძლოა, 31% რეალურად მხარს არ უჭერდეს ევრაზიულ კავშირს. რა ცვლილებები შეიტანეთ ამ კუთხით ახალ კვლევაში?

– ჩვენ მიერ წინა კვლევის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, გამოითქვა შენიშვნები და კრიტიკა იმის შესახებ, რომ შესაძლოა, რესპონდენტების უმრავლესობამ არ იცის, ან უბრალოდ ვერ გაიგო, რას ნიშნავს ევრაზიული კავშირი. იმისთვის, რომ გაგვერკვია, მართლაც ასე იყო თუ არა ეს, ჩვენი რესპონდენტები ორ ნაწილად დავყავით – ერთ ნაწილს ვკითხეთ, დაუჭერდით თუ არა მხარს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას, მეორე ჯგუფს დავუსვით იგივე შეკითხვა, თუმცა დავამატეთ განმარტება – დაუჭერდით თუ არა მხარს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას, რომელიც დაფუძნებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. როგორც ვნახეთ, შედეგებში განსხვავება არ არის, ანუ ადამიანებმა იციან, რას ნიშნავს ევრაზიული კავშირი და არ აქვს მნიშვნელობა, მიაწოდებთ თუ არა მას განმარტებას.

– პრეზენტაციაზე, ასევე, აღნიშნეთ, რომ 2012 წლიდან მოყოლებული ევროკავშირის მხარდამჭერთა რაოდენობის კლების ტენდენცია შეინიშნება. როგორ ახსნით ევროკავშირის მხარდამჭერთა კლების ტენდენციას?

– მართალია, რომ ჩვენი კვლევების მიხედვით, ბოლო წლების განმავლობაში, ევროკავშირის მიმართ მხარდაჭერა ოდნავ შემცირდა, მაგრამ 61%, რომელმაც ევროკავშირში გაწევრიანებას დაუჭირა მხარი, მაინც მოსახლეობის უმრავლესობას ნიშნავს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მხარდაჭერის მოტივად ადამიანების უმრავლესობა ეკონომიკურ ფაქტორს ასახელებს, შესაძლოა, მიზეზები იყოს ის, რომ ადამიანები ჯერჯერობით ვერ ხედავენ ხელშესახებ ეკონომიკურ სარგებელს ევროკავშირისგან და ამიტომ მზად არიან, განიხილონ სხვა ტიპის კავშირები, თუმცა მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ადამიანების მხარდაჭერა სხვადასხვა კავშირისადმი ეკონომიკურ სარგებელზეა მიბმული და არა პოლიტიკაზე, დემოკრატიის გავლენაზე, ან სხვა ტიპის პოლიტიკურ გავლენაზე.

– რაც შეეხება კვლევის კიდევ ერთ ნაწილს, რომლის მიხედვითაც 12%-ისთვის მისაღებია როგორც ევროკავშირი, ასევე ევრაზიული კავშირი?

– 12%-მა პასუხი „მისაღებია“ გასცა შეკითხვას როგორც ევროკავშირის, ასევე ევრაზიული კავშირის წევრობაზე. ეს ძალიან ბუნებრივია იმიტომ, რომ ადამიანებს უნდათ სხვადასხვა ვარიანტების განხილვა. ადამიანები მზად არიან, მხარი დაუჭირონ იმას, რაც მათ ყველაზე მეტ ეკონომიკურ სარგებელს დაანახვებთ. დარწმუნებული ვარ, კითხვაში რომ ჩაგვესვა რაიმე გამოგონილი ეკონომიკური კავშირი, ზოგიერთი ადამიანი იტყოდა, რომ მასაც უჭერს მხარს იმიტომ, რომ დღეს მთავარი ეკონომიკაა. თუმცა ეს ყველაფერი იმასაც შეიძლება ნიშნავდეს, რომ მოსახლეობაში ცოდნის ნაკლებობაა იმის შესახებ, რომ ორივე კავშირის წევრი ვერ იქნები. ევრაზიის კავშირი ევროკავშირის წევრობას გამორიცხავს. თუმცა ეს მაინც არ გამორიცხავს იმას, რომ ადამიანებს სურდეთ ორივე ან სხვა კავშირი, რომელიც ეკონომიკურ ბენეფიტებს შესთავაზებთ.

– ამ კუთხით შემდეგ კვლევებში ცვლილებებს ხომ არ გეგმავთ?

– მომავალი კვლევების განმავლობაში შევეცდებით, საგარეო ურთიერთობების კითხვებს კიდევ უფრო ჩავუღრმავდეთ და კიდევ უფრო კარგად შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ ადამიანების მოსაზრებები იმ საკითხებზე, რომლებიც დღეს გვაინტერესებს. ამის მიზანი იქნება ის, რომ მოსახლეობის სურვილების შესახებ უფრო სრულყოფილი და დეტალური ინფორმაცია მივაწოდოთ იმ ჯგუფებს, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ.

– რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერას, წინა კვლევებთან შედარებით, 7%-ით მოიმატა იმ ადამიანების პროცენტულმა მაჩვენებელმა, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათ შეხედულებებთან ახლოს არც ერთი პარტია არ დგას. თქვენთვის რაზე მეტყველებს ეს მაჩვენებელი?

– მოსახლეობის 42%-მა თქვა, რომ მათ შეხედულებებთან არც ერთი პარტია არ დგას ახლოს. რთულია იმაზე სპეკულირება, რატომ არის ასეთი სურათი, მაგრამ, ჩემი აზრით, ცხადია, რომ ეს არ არის ერთი ან ორი პარტიის მიმართ იმედგაცრუება, ეს არის მთელი პოლიტიკური სისტემის და ყველა პარტიის მიმართ იმედგაცრუება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არის პოლიტიკოსებისთვის შანსი და სიგნალი, რომ უფრო მეტად ისაუბრონ მოსახლეობასთან იმ თემებზე, რომელიც ხალხს ყველაზე მეტად აწუხებს.

„მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ადამიანების მხარდაჭერა სხვადასხვა კავშირისადმი ეკონომიკურ სარგებელზეა მიბმული და არა პოლიტიკაზე, დემოკრატიის გავლენაზე, ან სხვა ტიპის პოლიტიკურ გავლენაზე“

„ეს არ არის ერთი ან ორი პარტიის მიმართ იმედგაცრუება, ეს არის მთელი პოლიტიკური სისტემის მიმართ იმედგაცრუება“

NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE FOR INTERNATIONAL AFFAIRS

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნამდვილი Wall Street-ის მგელი საქართველოში

სალომე ჩადუნელი

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი და მოთხოვნადი სპიკერი ჯორდან ბელფორტი 28 ნოემბერს საქართველოს ეწვევა და მასტერკლასს ჩაატარებს. მისი საგანმანათლებლო-სამოტივაციო პროგრამა, სახელწოდებით Straight Line Persuasion - ერთ-ერთი ყველაზე მაღალმოთხოვნადია მსოფლიოში. მსმენელი, ბელფორტის გამოცდილების გარდა, იძენს ცოდნას პირდაპირი გაყიდვებისა და დამარწმუნებელი კომუნიკაციის საუკეთესო მეთოდების შესახებ. Wall Street-ის ნამდვილი მგელი წლის განმავლობაში, 5-6 ქვეყანას სტუმრობს და მასტერკლასებს ატარებს, რომელსაც ძირითადად გაყიდვებისა და მარკეტინგის, ბრენდინგის, ბიზნესის განვითარებისა და მართვის სპეციალისტები და ლიდერები ესწრებიან. 28 ნოემბერს კი ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში ქართველ მსმენელს შანსი მიეცემა მოუსმინოს უოლ სტრიტის ნამდვილი მგელის იუმორით სავსე მასტერკლასს: თუ როგორ გამოიყენოთ საუკეთესო ბიზნესსისტემა თქვენ სასარგებლოდ.

ცოტა რამ ჯორდან ბელფორტის შესახებ:

უოლ სტრიტის მგელმა 90-იანი წლების დასაწყისში, დაარსა კომპანია Stratton Oakmont, რომელმაც წარმოუდგენელ ფინანსურ მწვერვალებს მიაღწია, წლის განმავლობაში კომპანია 50 მილიონ დოლარზე მეტს გამოიმუშავებდა. სწორედ ეს გახდა ჯორდან ბელფორტის ცნობილი სახელის, „უოლ სტრიტის მგელის“ წარმოშობის მიზეზი.

მან დააპროექტა 1.5 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების საჯარო კომპანიები, სადაც 30-ზე მეტ შემთხვევაში, საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა. კონსულტაციას უწევდა 50-ზე მეტ საჯარო კომპანიას. გარდა ამისა, მასზე დაიწერა ფაქტობრივად, ყველა წამყვან ჟურნალსა თუ გაზეთში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

2013 წელს, ჯორდან ბელფორტის როლი ლეონარდო დი კაპრიომ ითამაშა მარტინ სკორსეზეს ფილმში „უოლ სტრიტის მგელი“, რომელიც ამავე სახელწოდების წიგნის მიხედვით გადაიღეს. ჯორდანის ორი ბესტსელერი წიგნი, „უოლ სტრიტის მგელი“ და „უოლ სტრიტის მგელის დაჭერა“, 40-მდე ქვეყანაში გამოქვეყნდა და 18 ენაზე ითარგმნა.

მსოფლიო სპიკერი საქართველოში, „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგმა“ და ჟურნალისტმა ოთარ ქირიამ CSR-ის ფარგლებში ჩამოიყვანა. „პრაიმტაიმი“ მასტერკლასის იდეის ავტორს ოთარ ქირიას ესაუბრა და ვიზიტის დეტალების გარკვევას შეეცადა.

- რით გამოირჩევა ჯორდან ბელფორტის მასტერკლასი სხვა მისი მსგავსი შეხვედრებისგან?

- უოლ სტრიტის მგლის ისტორია გამორჩეული და ქარიზმატულია. ის საფონდო ბირჟაზე საქმიანობისთვის დააპატიმრეს, გარკვეული პერიოდი პატიმრობაში იყო, შემდეგ აღიარა დანაშაული. ბევრს მიაჩნდა, რომ მისი ისტორია ამით დამთავრდებოდა, მაგრამ არ დანებდა. იმავე სფეროში, იმ გზებით, რომელიც კანონს არ არღვევდა, უამრავი მილიონი იშოვა და დღესაც მილიონრეების სიაშია. ეს უკვე მიუთითებს იმაზე, რომ ამ ადამიანს აქვს უნიკალური ნიჭი და მეთოდიკა, თუ როგორ მიყიდოს-გაყიდოს ესა თუ ის პროდუქტი. სწორედ ამიტომ, მან შექმნა საგანმანათლებლო პროგრამა Straight Line - დამარწმუნებელი კომუნიკაციის პროგრამა.

- დიდია თუ არა საზოგადოების ინტერესი მასტერკლასისადმი?

- დაინტერესება საკმაოდ მაღალია. ბილეთების 60%-ზე მეტი უკვე გაყიდულია. ფასი სხვადასხვაა. wallstreet.ge - არის ასეთი გვერდი და ყველაფერი იქაა მითითებული. სტუდენტებისთვის გამონაკლისი დავუშვით. მათ ბილეთი ნომინალურ ფასად ეძლევათ. ჩვენ ვიღებთ განაცხადებს, უნივერსიტეტებში ვამოწმებთ და შემდეგ ამა თუ იმ სტუდენტს ვაძლევთ ადგილს დარბაზში.

- რა ფორმით ჩატარდება მასტერკლასი?

- მასტერკლასი მოიცავს ხუთსაათიან პროგრამას, შაბათს დილით დაიწყება და ნაშუადღევს დამთავრდება. ბოლო სეტი არის კითხვა-პასუხის რეჟიმი. ბელფორტის მასტერკლასები ყოველთვის ინტერაქციულია ხოლმე. დადის დარბაზში და ხალხთან ურთიერთობს. ხოლო მათ, ვინც ბელფორტთან ერთად კოქტეილსაღამოზე მოხვდებიან, საშუალება ექნებათ გაესაუბრონ, ფოტოები გადაიღონ და წიგნზე ხელი მოაწერინონ.

- მისი ქარიზმატულობის გამო, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბელფორტი წარმატების ეტალონად იქცა?

- კი უნიკალური მაგალითია, მაგალითად, „ფორბსმა“ ის რობინ ჰუდსაც შეადარა, რომელმაც მდიდრებს მოპარა და გაყიდვების აგენტებს, თანამშრომლებს დაურიგა. ბელფორტი წარმატების უნიკალური ფორმულაა.

თქვენ თავად დააკვირდით: რაღაც კონკრეტულ სფეროში მონაწილეობდა, ამ სფეროში სამართალდარღვევაზე დაიჭირეს, გაასამართლეს და სფეროდან არ წამოსულა, დარჩა და მიუხედავად იმისა, რომ ლუპით აკვირდებოდა მედია, სამართალდამცველები და ყველა, სრულიად ლეგალურად მოახერხა და იმპერიები აააშენა. მისი კომპანიები საფონდო ბირჟებზე ისევ აქტიურია. უკვე საგანმანათლებლო გზით, თავის გამოცდილებას უზიარებს ათასობით ადამიანს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავსი ტიპის მასტერკლასი არასდროს ჩატარებულა.

28 ნოემბერს, მასტერკლასზე მისულებს, ჯორდანი შეეცდება დაგანახოთ, თუ როგორ შეიძლება მისი სტრატეგიის გამოყენება დიდი წარმატების მისაღწევად, მისივე შეცდომების გვერდის ავლით.

თქვენ გექნებათ უნიკალური შესაძლებლობა, მოისმინოთ მისი ცხოვრების გარდამტეხი მოვლენების შესახებ, 8 წლის ასაკიდან ადრეულ 20 წლამდე, როდესაც მან საბროკერო კომპანია ჩამოაყალიბა. ასევე, პირველი მოულოდნელი წარმატება, მარცხის პიკი და ამ ყველაფრიდან ნასწავლი გაკვეთილები.

ოთარ ქირია: „სტუმრებს საშუალება ექნებათ ბელფორტს პირადად გაესაუბრონ, წიგნზე ხელიც მოაწერინონ და ფოტოებიც გადაიღონ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მხატვრული ფილმი ექვთიმე თაყაიშვილ



ნინა პალტარაცკაია არის ანა წერეთელი, ნოე ჟორდანია არის გოგი თურქიაშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი - დიმიტრი ტატიშვილი

my View
ნინო მჭედლიშვილი

რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე მსახიობ ლაშა კანკავას სცენარით ფილმს იღებს ექვთიმე თაყაიშვილზე. ექვთიმეს როლზე რეზო ჩხიკვიშვილი მოიწვიეს, ნოე ჟორდანიას გოგი თურქიაშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილს - დიმიტრი ტატიშვილი ითამაშებს. ფილმში იქნება გალაკტიონიც, რომელსაც თავად სცენარის ავტორი, ლაშა კანკავა განასახიერებს, ნინა პალტარაცკაია, ილია ჭავჭავაძე. გადაღებები დაწყებულია. ფილმის ეკრანიზაციას მაისისთვის ვარაუდობენ, მანამდე კი ლაშა გიამბობთ სცენარზე და ფილმზე მუშაობის დეტალებს.

ინტერვიუს დასაწყისში შევეცადეთ მსახიობი და ახლა უკვე სცენარისტი უკეთ გაგვეცნო თქვენთვის.

- ბავშვობიდან მომწონდა ეს პროფესია, მიყვარდა ფილმების ყურება. მაშინ გაუცნობიერებლად, მოგვიანებით შეგნებულად გადავწყვიტე მსახიობი გავმხდარიყავი. სხვა პროფესიაზე არც მიფიქრია. ბედნიერი ვარ, რომ ამ პროფესიას ვემსახურები. თეატრალური დავამთავრე. სტუდენტი ვიყავი, როცა რუსთაველის სარდაფში და თავისუფალ თეატრში ვთამაშობდი. მესამე კურსზე პირველ მხატვრულ ფილმში გადამიღეს, ეს იყო პირველი ჩეჩნური ფილმი, „მარშო“. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ორი წელი პაუზა მქონდა. რთული აღმოჩნდა ჩემთვის ის ურთიერთობები, ინტრიგები, რაც ამ პროფესიას ახლავს და ცოტა ხანს განზე გავდექი... გარკვეული პერიოდის შემდეგ ლევან წულაძემ რუსთავის თეატრში დადგა სპექტაკლი. თეატრალურში ლევანი და გოჩა კაპანაძე იყვნენ ჩემი პედაგოგები. სწორედ ამ პერიოდში მოხდა ხელმეორედ ჩემში მსახიობის გაღვიძება. ლევანმა სწორად მიმახვედრა რატომ არ უნდა ჩამექნია ხელი. მისი რეკომენდაციით მოვხვდი რუსთავის თეატრში. გოჩა კაპანაძეც ძალიან დამეხმარა. კვლავ დავბრუნდი სარდაფში. მერე კინოს კონტაქტების ძებნა დავიწყე და აქამდე მოვედი.

- რომელ ფილმებში ხარ დაგაღებული?

- თუ რამე სერიალი გადაუღიათ საქართველოში, ყველგან ვითამაშე მგონი: „ცხელი ძაღლი“, „კლინიკა“, „კა 17“, „აფსურდის ტანი“. „შუა ქალაქში“ ვიყავი კაკი, „ჩემი ცოლის დაქალებში“ - მანიაკი, რომელიც ანკას დასდევდა, „ტიფლისში“ - დათა. მხატვრული ფილმებიდან ვთამაშობდი „რენე მიდის ჰოლივუდში“, „აგვისტოს 5 დღე“, „პრეზიდენტი“, „დავიწყებული მეფე“, „საქმე ნომერი 11“, „პრობლემა შავი და თეთრი“. კინო მიზიდავს. თეატრალურზე რომ ვაბარებდი, ალალად ვთქვი, თეატრი არ მიყვარს-მეთქი, ერთმანეთს გადახედეს ჭოლამ და გოჩამ, აბა აქ რას მოდიოდიო. რა ვქნა, კინო მირჩევნია. ახლაც, ძირითადად, ფილმებში ვარ დაკავებული, სცენარისტიც ვარ, ქასთინგმენეჯერი, ეკა მჟავანაძის ასისტენტი გახლავარ. რამდენჯერმე რეჟისურაშიც მოვსინჯე ძალები. იანვარში რუსთავის თეატრში „ხეჩოს სიზმარს“ ვდგამ, „კოჯრის ტყის ზღაპრების მიხედვით“.

- შენ გეკუთვნის სცენარი ფილმისა ექვთიმე თაყაიშვილზე, რომელსაც ნიკოლოზ ხომასურიძე იღებს...

- ნიკოლოზის დამსახურებაა, რომ სცენარისტობას სერიოზულად მოვეკიდე. მან შემომთავაზა ექვთიმეზე სცენარის დაწერა. რომ ვწერდი, ვფიქრობდი, რომ ბიოგრაფიას არ მოვკიდებდი ხელს, მეტისმეტად საპასუხისმგებლოა, ბევრი დეტალია, რომელზეც შეიძლება ჩაგეძიონ, გაგაკრიტიკონ. ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის ამ სცენარზე მუშაობა, ცდუნებას ვერ გავუძელი. ექვსი თვე ვმუშაობდი სცენარზე. თავიდან ძალიან დიდი გამოვიდა, მაგრამ მაქსიმალურად შევამცირე. ეს არის ისტორიული დრამა, მაგრამ არა დოკუმენტური ფილმი. ეს იქნება მხატვრული ფილმი და, შესაბამისად, თავს უფლება მივეცი ფანტაზიებში არ შევზღუდულიყავი.

- ვინ ითამაშებს ექვთიმეს?

- რეზო ჩხიკვიშვილი. სპეციალურად ამ როლისთვის სამჯერ იყო ჩამოსული საქართველოში. ახლა კიდევ ჩამოდის და 19-ში ექვთიმეობაზე მიგვყავს ლიხაურში. ბევრი ვარიანტი განიხილებოდა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ეს ჩემი სცენარის პირველი ეკრანიზაცია იქნება და დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები“

„თავს უფლება მივეცით რაღაცები დაგვემატებინა, მაგალითად, პერსონაჟები, გალაკტიონ ტაბიძე, რომელსაც ვითამაშებ მე. ასე გადაწყვიტა რეჟისორმა. წვერსაც სპეციალურად ვიზრდი, გალაკტიონობისთვის ვემზადები“

„დიდი ბიუჯეტის მოზიდვის შემთხვევაში ბენ კინგსლი მოიაზრებოდა ექვთიმეს როლზე, რადგან ძალიან ჰგავს“

EXCLUSIVE

ამ როლზე, უბრალოდ, მათივე სურვილია არ გავახმაუროთ. ის, თუ ვინ იქნებოდნენ დაკავებულნი მთავარ როლებზე, დამოკიდებული იყო ფილმის ბიუჯეტზეც. დიდი ბიუჯეტის მოზიდვის შემთხვევაში ბენ კინგსლი მოიაზრებოდა ექვთიმეს როლზე, რადგან ძალიან ჰგავს...

- ექვთიმეს ცხოვრების რომელ ეპიზოდებზე გაამახვილეთ ყურადღება?

- ვინაიდან ფილმში ვერ ჩავატევდით ექვთიმეს მთლიან ცხოვრებას, გადავიღეთ განძის წაღებიდან ჩამოსვლამდე. გადაღებები დაწყებულია საქართველოში. გადაღებები გვექნება საფრანგეთში - პარიზში, ლევილში.

- კიდევ რომელი მსახიობები გყავთ დაკავებული ფილმზე?

- ნინა პალტარაცკაია არის ანა წერეთელი, ნოე ჟორდანია არის გოგი თურქიაშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი - დიმიტრი ტატიშვილი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არის მხატვრული ფილმი და შესაბამისად, იმისთვის, რომ უფრო საინტერესო და სანახაობრივი გამოსულიყო სცენარი, თავს უფლება მივეცით რაღაცები დაგვემატებინა, მაგალითად, პერსონაჟები, გალაკტიონ ტაბიძე, რომელსაც ვითამაშებ მე. ასე გადაწყვიტა რეჟისორმა. წვერსაც სპეციალურად ვიზრდი, გალაკტიონობისთვის ვემზადები. იმ წლებში გალაკტიონი ხელოვნების სიმპოზიუმზე იყო წასული პარიზში. ისტორიულად არ არის დაფიქსირებული, რომ გალაკტიონი და ექვთიმე იქ ერთმანეთს შეხვდნენ, მაგრამ ჩვენ არ გამოვრიცხეთ, რადგან ამ სიმპოზიუმს არასდროს აკლდებოდა ექვთიმე.

- გამოდის, ისტორიული ფაქტების მოძიება და გადამოწმება მოგიწიათ?

- კი, ასეა. დღესაც, მე და ნიკოლოზი შალვა ამირანაშვილის შვილის ოჯახში ვიყავით, საიდანაც არაერთი საინტერესო ინფორმაცია წამოვიღეთ. არ ვჩქარობთ, გვინდა ყველაფერი ისე გამოვიდეს, როგორც ჩაფიქრებული გვაქვს. გვაქვს ფიქრის, სცენარის ჩასწორების დრო და საშუალება.

- რომელი სცენები გაქვთ გადაღებული უკვე?

- ოსტსაუნას სანატორიუმში ქაქუცას ბოლო დღეები გადავიღეთ, იმ ჰოსპიტალში სადაც ინვა ჭლექით დაავადებული და სადაც ბოლო დღეები გაატარა. ჩვენ იქ ჩავიყვანეთ ექვთიმე. არავინ იცის იქ მართლაც შეხვდნენ თუ არა ქაქუცა და ექვთიმე ერთმანეთს, მაგრამ ფერისთვის, მრავალფეროვნებისთვის ჩვენ მათი შეხვედრის ორი სცენა ჩავსვით ფილმში. გადავიღეთ ნოე ჟორდანიასა და ექვთიმეს სცენაც, გადაღებული გვაქვს მატარებლის სცენა, რომლითაც ექვთიმე და ნოე პარიზში მიდიან და გეგმავენ როგორ გაიყონ განძი, რათა უკეთ დაიცვან ვიდრე სახაზინი ქონება. გადაღებული გვაქვს ფილმის პრომოც საგურამოში, სადაც ილია ჭავჭავაძე ექვთიმეს აცნობს ნინა პალტარაცკაიას.

- როდის ვარაუდობთ ფილმის ეკრანიზაციას?

- მაისისთვის ყველაფერი მზად უნდა იყოს. ეს ჩემი სცენარის პირველი ეკრანიზაცია იქნება და დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები. თემა ძალიან მნიშვნელოვანია და ფაქიზი, მძიმედ ვიღებთ ქართველები ასეთი ისტორიული ამბის გადასხვაფერებას, ამდენად, ძალიან ვფრთხილობ. დასასრულ კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ეს არ არის დოკუმენტური ფილმი, ეს არის მხატვრული ფილმი, ამიტომ ვეცადეთ სანახაობისთვის ფანტაზიები მოგვეშველიებინა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერვიუ ბორის

ნინო ცაბოლოვი

საქართველოს საკითხებზე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) თანამომხსენებლები 12-14 ოქტომბერს, თბილისში, მონიტორინგის ფარგლებში იმყოფებოდნენ. ლატვიელი დეპუტატი სოციალისტური ჯგუფიდან, ბორის სილევიჩი და შვედი დეპუტატი ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსიდან ევროპისთვის, კერსტინ ლანდგრენი ხელისუფლების, ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდნენ. განსახილველ თემებს შორის, სხვა საკითხებთან ერთად, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, სასამართლო სისტემის, ასევე, საარჩევნო რეფორმის თემა და მედიის კუთხით არსებული ვითარება იყო. რა ინფორმაციები და შენიშვნები მოისმინეს თბილისში გამართულ შეხვედრებზე, როგორ აფასებენ თანამომხსენებლები საქართველოს მართლმსაჯულების სისტემას, რას ფიქრობენ პოლიტპატიმრების საკითხზე და რას სთხოვენ ხელისუფლებასა და ოპოზიციას? ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმს“ ბორის სილევიჩი ესაუბრა.

„რაც შეეხება ჩემს შთაბეჭდილებებსა და განწყობას საქართველოში ვიზიტის შემდეგ, წინასაარჩევნო პერიოდში, ვითარება ყოველთვის ემოციური და დაძაბულია“

„ვფიქრობ, საქართველო სწორ გზაზე დგას. ჩვენ ვაფასებთ იმ მნიშვნელოვან რეფორმებს, რომელიც მართლმსაჯულების სისტემაში განხორციელდა, რაც უზრუნველყოფს სერიოზულ პროგრესს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მიმართულებით“

– საარჩევნო რეფორმა იყო ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც საქართველოში ვიზიტის დროს განიხილეთ. ეს თემა თქვენს წინა ანგარიშებშიც არაერთხელ მოექცა. რა ცვლილებები დაინახეთ ამ საკითხის ირგვლივ და რას ფიქრობთ მაჟორიტარული სისტემის გაუქმების მოთხოვნაზე?

– მართლაც, საარჩევნო რეფორმა საქართველოსა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას შორის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ამის მთავარი ფაქტორი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებებია. თბილისში გამართული შეხვედრებიდან დამრჩა შთაბეჭდილება, რომ კოალიცია და ოპოზიცია ვერ თანხმდებიან სრული საარჩევნო რეფორმების გრაფიკზე. ჩვენმა თანამოსაუბრეებმა მყარი გარანტიები მოგვცეს, რომ ყველაზე მწვავე საკითხი, როგორიც არის მაჟორიტარული ოლქების სიდიდე/მასშტაბი მომავალ არჩევნებამდე სათანადოდ მოგვარდება და ვიმედოვნებ, ეს მალე განხორციელდება. იმედი გვაქვს, რომ პოლიტიკური პარტიები ურთიერთშეთანხმებას მიაღწევენ გრძელვადიან რეფორმებზე, რომელიც მომავალ არჩევნებამდე პროპორციულ სისტემაზე მთლიანად გადასვლას უკავშირდება. მიმაჩნია, რომ ეს სასიკეთო იქნება ქართული დემოკრატიისთვის, 2007 წლიდან ჩვენ ვიწვევდით მმართველ უმრავლესობასა და ოპოზიციას, იმისდა მიუხედავად, ვინ იყო მთავრობაში – იმისთვის, რომ საარჩევნო სისტემებთან დაკავშირებით რაიმე კონსენსუსისთვის მიგვეღწია. კონსენსუსის არარსებობა ისევ უწყვეტი კამათის საგანია ქვეყნის პოლიტიკურ გარემოში, რაც მოგვარებას/სათანადო ყურადღებას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, კარგია, რომ ამჯერად, ზოგადად, სისტემაზე თანხმდებიან, თუმცა აშკარა უთანხმოებაა მისი განხორციელების დროსთან დაკავშირებით.

– განსახილველ საკითხებს შორის, ასევე, იყო მედიაგარემო. ისაუბრეთ თუ არა კონკრეტულ მაგალითებზე, მაგალითად, „რუსთავი 2“-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე?

– მედიაგარემოს საქართველოში ახლოდან ვაკვირდებით. ჩვენი ხედვით, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ პლურალიზმი, ღია დებატები იყოს უზრუნველყოფილი, განსაკუთრებით – წინასაარჩევნო პერიოდში. რაც შეეხება „რუსთავი 2“-ის საქმეს, ჩვენ სხვადასხვა წყაროებიდან მივიღეთ ინფორმაცია. დავაკვირდებით სასამართლო პროცესს და მოვლენების შემდგომ განვითარებას.

„რაც შეეხება „რუსთავი 2“-ის საქმეს, ჩვენ სხვადასხვა წყაროებიდან მივიღეთ ინფორმაცია. დავაკვირდებით სასამართლო პროცესს და მოვლენების შემდგომ განვითარებას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„2007 წლიდან ჩვენ ვიწვევდით მმართველ უმრავლესობასა და ოპოზიციას, იმისდა მიუხედავად, ვინ იყო მთავრობაში – იმისთვის, რომ საარჩევნო სისტემებთან დაკავშირებით რაიმე კონსენსუსისთვის მიგვეღწია“

– რა შენიშვნები და შეფასებები მოისმინეთ მხარეებისგან სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით და რას ფიქრობთ „პოლიტიკური პატიმრების“ საკითხზე?

– ჩვენ ვაფასებთ იმ მნიშვნელოვან რეფორმებს, რომელიც მართლმსაჯულების სისტემაში განხორციელდა, რაც უზრუნველყოფს სერიოზულ პროგრესს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მიმართულებით. ამასობაში, რჩება რამდენიმე აუცილებელი ასპექტი, რომელიც ყურადღებას საჭიროებს. განსაკუთრებით, რამდენიმე სისტემური პრობლემა OSCE ODIHR-ის ანგარიშშიც არის აღნიშნული. ამასთანავე, უნდა განხორციელდეს შემდგომი რეფორმები და ჩვენ მივიღეთ გარანტია მთავრობისგან, რომ ისინი ამ მიმართულებით მუშაობას განაგრძობენ. რაც შეეხება „პოლიტიკური პატიმრების“ თემას, როგორც

ჩვენთვის ცნობილია, ზოგიერთი პოლიტიკური ძალები აცხადებენ, რომ ზოგიერთი, მიმდინარე ბრალდება პოლიტიკურად არის მოტივირებული. ჩვენ არ შეგვიძლია, განვსაჯოთ საქმის არსი, ქართული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე კომენტარის გაკეთება უადგილო იქნება. მიმართვის შემთხვევაში, ეს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს საქმეა. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენთვის უცნობია არსებული ხარვეზების შესახებ, რომელზეც სასამართლო პროცესების დროს იყო საუბარი და რომელიც შეშფოთების საგანს წარმოადგენდა. გარდა ამისა, ჩვენ მოვუწოდეთ ხელისუფლებას ამ ხარვეზების დაუყოვნებლივ გამოსწორებისკენ.

– რაც შეეხება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებს, მიმდინარეობს თუ არა მუშაობა დამკვირვებლების დასწრების მიმართულებით და არის თუ არა ცნობილი იმ დელეგაციების შესახებ, რომლებიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს დაკვირდებიან?

– ეჭვი არ მეპარება, რომ საქართველოს მთავრობა დამკვირვებლებს მოიწვევს. ასევე, დარწმუნებული ვარ, რომ ევროპის საბჭო მონაწილეობას მიიღებს ამ პროცესში, როგორც ეს წინა არჩევნებზე მოხდა. ეს დაკვირვება საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ფარგლებში – OSCE/ODIHR-თან თანამშრომლობით ხორციელდება. ეს არის კარგად გამოცდილი ფორმატი და ჩვენ, როგორც მომხსენებლები, ასამბლეის დელეგაციის ნაწილი ვიქნებით.

– როდის გეგმავთ შემდეგი ანგარიშის გამოქვეყნებას, მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, რით იქნება ის განსხვავებული და რამდენად კრიტიკულ მოხსენებას უნდა ველოდოთ?

– განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოხსენებას მოვამზადებთ. საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის თანახმად, არჩევნების წინ, პლენარული დებატები არ იმართება. ამიტომ ამ საკითხს ასამბლეის სხდომაზე 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დავაყენებთ. რაც შეეხება ჩემს შთაბეჭდილებებსა და განწყობას საქართველოში ვიზიტის შემდეგ, წინასაარჩევნო პერიოდში, ვითარება ყოველთვის ემოციური და დაძაბულია. ვფიქრობ, საქართველო სწორ გზაზე დგას. იმედი მაქვს, რომ კოალიცია და ოპოზიციური პარტიები, სამოქალაქო სექტორთან დიალოგის გზით, თანამშრომლობის გზას იპოვიან და პრობლემების გადასაწყვეტად ერთად იმუშავებენ.

„რაც შეეხება პარტიული რეიტინგების საკითხს, პროცენტების არ მჯერა“

გია ხუხაშვილი: „დინამიკა აჩვენებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ერთ ადგილზე გაიყინა, შესაძლოა, 2-3%-ის ფარგლებში ითამაშოს, მაგრამ საარჩევნოდ მეტ-ნაკლებად სერიოზული შედეგის მიღწევა არ შეუძლია“



ნინო ცაბოლოვი

ექსპერტი გია ხუხაშვილი ხელისუფლებას მმართველობითი კრიზისის აღიარებასა და სისტემის რეფორმირებას ურჩევს.

ექსპერტი მომავალი ძალაუფლების გასაღებს იმ ამომრჩეველში ხედავს, რომელსაც, კვლევის მიხედვით, ჯერ არ გადაუწყვეტია, რომელ პოლიტიკურ გაერთიანებას უჭერს მხარს, ან რომლის პოლიტიკური სიმპათიებიც არავისკენ არ იხრება. რატომ ფიქრობს, რომ ხელისუფლება ეცემა, „ნაციონალური მოძრაობა“ გაიყინა, ძალაუფლება ქუჩაში გდია და ამღები არავინ ჩანს? NDI-ს შედეგები გია ხუხაშვილმა „პრაიმტაიმთან“ შეაფასა.

– NDI-ს გამოკითხვის მიხედვით, მათ შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მდგომ პარტიად „ქართულ ოცნება“ 14%-მა დაასახელა. 13% – „ნაციონალური მოძრაობა“; არც ერთი პარტია – 42%. რით ახსნით, ამ მაღალ მაჩვენებელს და რა მიმართულებით შეიძლება გადაიხაროს იმ ადამიანების სიმპათიები, რომლებსაც გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ, ან მხარდაჭერას არავის უცხადებენ?

– რეალური ამომრჩეველი სწორედ ეს 42 პროცენტია. პოლიტიკურ ძალებს 10-11% სტაბილური ამომრჩეველი ჰყავთ. წარმოიდგინეთ, კოალიციაში 6 პარტიაა გაერთიანებული, რომელთაც შიდა რისკები აქვთ იმიტომ, რომ კოალიცია ეკლექტურია, მასში გაერთიანებულ პოლიტიკურ ძალებს მსოფლმხედველობრივი არაფერი აკავშირებთ. ამ პერიოდში შიდა დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდება, კიდევ უფრო ცუდად აქვთ საქმე, ვიდრე ეს რეიტინგები აჩვენებს. ეს მაღალი პროცენტი (42%), რომელიც რეალურად კიდევ უფრო მაღალია, არ ახდენს არჩევანის იდენტიფიცირებას საგარეო პოლიტიკურ ვექტორთან. რა თქმა უნდა, ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ არის პირველი რიგის პრობლემა. ისინი არიან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემატიკაზე, თუნდაც საკუთარ სახელმწიფოზე ორიენტირებული ადამიანები. ჩვენი პოლიტიკური ელიტა საერთოდ ჩამორჩა საზოგადოების განწყობას და დიდი უფსკრული გაჩნდა იმიტომ, რომ თავის იდენტიფიცირებას საგარეო პოლიტიკური ვექტორით ახდენს და არა სახელმწიფოებრივი ამოცანებით. რეალურად, მომავალი ძალაუფლების გასაღები არის ამ ხალხში და არა მათში, ვისაც უკვე ჩამოყალიბებული აქვს თავისი პოლიტიკური გემოვნება, რომელიც არ შეიცვლება.

– რამდენად შესაძლებელია, რომ ეს გასაღები ახალი პოლიტიკური ძალის ხელში აღმოჩნდეს?

– დღეს ძალაუფლება, არჩევანი ქუჩაში გდია და ამღები არავინ ჩანს. რაც შეეხება პარტიული რეიტინგების საკითხს, პროცენტების არ მჯერა, ტენდენციებზე ვილაპარაკებ, რაც შემაშფოთებელია. პირველ რიგში, არ მესმის, რას ზეიმობს „ნაციონალური მოძრაობა“, იმიტომ, რომ ის არ იზრდება. ეს კვლევებიც აჩვენებს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰყავს თავისი სტაბილური ამომრჩეველი და ზრდის პოტენციალი არ გააჩნია. დინამიკა აჩვენებს, რომ ეს პარტია ერთ ადგილზე გაიყინა, შესაძლოა, 2-3%-ის ფარგლებში ითამაშოს, მაგრამ საარჩევნოდ მეტ-ნაკლებად სერიოზული შედეგის მიღწევა არ შეუძლია. რაც შეეხება ხელისუფლების რეიტინგის ვარდნას, მის მიმართ უკმაყოფილება რომ იზრდება, საზოგადოებაში ჩანს. ვარდნის დინამიკაა. ანუ „ნაციონალური მოძრაობა“ გაიყინა, ხელისუფლება ეცემა.

– ვის შეუძლია ამ სიტუაციით სარგებლობა?

– ამით ვერ სარგებლობს ვერც ერთი სხვა პოლიტიკური ძალა. ამომრჩეველი პოლიტიკურ ელიტას შორდება. ჩვენ გვაქვს ძალიან სერიოზული პოლიტიკური ელიტის კრიზისი, როგორც სახელისუფლებო, ასევე, ოპოზიციური – ეს არის ძალიან სახიფათო მდგომარეობა, იმიტომ, რომ ეს ქმნის უმართავი პროცესების წარმოშობის რისკებს. როდესაც ამომრჩეველი სკეპტიკურადაა განწყობილი და თავის თავთან მარტოა დარჩენილი, ეს არის ძალიან რთული მდგომარეობა.

– რას გულისხმობთ უმართავ პროცესში, რაში შეიძლება ეს გამოიხატოს?

– უმართავი პროცესი შესაძლოა, სოციალურ აფეთქებაში გამოიხატოს. რა მიზეზით, როდის და რა გარემოებაში, ეს ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ ნებისმიერ ავანტიურისტს (არა პოლიტიკური ელიტიდან) შეუძლია, ეს სოციალური პროტესტი სამზარეულოდან ქუჩაში გადმოიტანოს. ანუ, ფაქტობრივად, ეს არის წინასარევოლუციო განწყობა. რა არის პოლიტიკური ელიტის დანიშნულება?! – ის, რომ საარჩევნო გზით მოვიდეს ხელისუფლებაში. გამომდინარე იქიდან, რომ ამომრჩეველი დაშორდა პოლიტიკურ ელიტას, განწყობა არის რევოლუციური. საზოგადოება თუ გააქტიურდება, ის არ არის განწყობილი, რომ არჩევნებს დაელოდოს იმიტომ, რომ არ აქვს არჩევანი.

– იმ მცირე პერიოდში, რაც არჩევნებამდე დარჩა, რას ელით?

– თუ საარჩევნოდ რადიკალურად არ შეცვალეს რამე, დინამიკა ექნებათ ძალიან მძიმე. არჩევნები რომც მოიგონ... ასეთი დაბალი აქტივობის პირობებში ხელისუფლებას აქვს უპირატესობა, თუნდაც გარკვეული ადმინისტრაციული რესურსის სახით, მათ ექნებათ ძალიან დაბალი ლეგიტიმაცია და პოსტსაარჩევნო პერიოდში, შესაძლოა, მათ მიიღონ კრიზისი, რომელსაც ვეღარ გადალახავენ. ერთადერთი გზა არის ის, რომ ხელისუფლებამ აღიაროს მმართველობითი კრიზისი და დაიწყოს მმართველობითი სისტემის რეფორმირება არა მხოლოდ პერსონალურ დონეზე, არამედ მთლიანად, გადახედონ მმართველობით სისტემას. პასუხისმგებლობის აღების უნარის, ეფექტურობის, პოლიტიკურად გაძლიერების თვალსაზრისით, ანუ მთლიანად შესაცვლელია მმართველობითი სისტემა, რადგან ძალიან სერიოზულ კრიზისში არიან და ამ ვითარებიდან არათუ ვერ გამოვლენ, კიდევ უფრო დამძიმდება ვითარება.

„უმართავი პროცესი შესაძლოა, სოციალურ აფეთქებაში გამოიხატოს. რა მიზეზით, როდის და რა გარემოებაში, ეს ცალკე მსჯელობის საგანია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ტიფლისი“ მეორე სე

გიორგი ურუშაძე

„ქართველებსაც შეგვიძლია“ - ამ ფრაზის დასტურად ბევრისთვის სერიალი „ტიფლისის“ ხსენებაც საკმარისია. ეს იყო მოვლენა. რომელმაც ქართული სერიალებისადმი კრიტიკულად განწყობილი მაყურებელი, ტელეეკრანებს მიაჯაჭვა. და აი, ბრაზილიურისა და თურქული სერიალების გვერდით, აღმოცენდა ქართული, თანაც დრამა და თანაც, ასეთი ხარისხიანი.

წარმატებული პირველი სეზონის შემდეგ, მეორეს დროც დადგა და ჩვენმა ყურადღებამაც არ დააყოვნა. „პრაიმტაიმი“ დიქტოფონითა და ფოტოაპარატით შეიარაღდა და „ტიფლისის“ გადასაღები მოედნისკენ გაეშურა.

ბეთანიისკენ გზა არც ისე მოკლე აღმოჩნდა. თუმცა, გზა ამად ღირდა. გადასაღები მოედნის ამოცნობა ძალიან მარტივი გამოდგა, რადგან ადგილზე დაპირებული მასშტაბები დაგხვდა.

ხის სახლი, რომელიც რეალურად გადაღების ნაწილი და სცენარის მიხედვით, ციმბირში გადასახლებულების საპყრობილე იყო, ჩვენს სამუშაო გარემოდ იქცა. როგორც გაირკვა, თბილისის სცენების ნაცვლად, ახლა ციმბირის მონაკვეთს იღებენ. ამიტომ, ადგილზე ორი მთავარი გმირი, ანუ ციმბირში გადასახლებული პერსონაჟები - ლუკა და კიტა აღმოვაჩინეთ.

კახა კინწურაშვილს (ლუკას) გრიმის გაკეთება ვაცადეთ და ჩაწერაზეც გადავედით. როგორც გაირკვა, მსახიობი იდეის ჩასახვისთანავე სერიალის გუნდთან ერთად მოიაზრებოდა და აქტიურად იღებდა მონაწილეობას მისი ჩამოყალიბების პროცესში. მისი როლი, სამართლიანობისთვის მებრძოლი ყაჩაღი, მაყურებელმა მალევე შეიყვარა, ამან, მსახიობის პოპულარულობაზეც დადებითად იმოქმედა.

კახა კინწურაშვილი:

„ყველაფერი უცებ მოხდა. თავიდან ლევან დაბრუნდაშვილს ჰქონდა ფილმის იდეა, თუმცა მერე სერიალად ჩამოყალიბდა. ჩვენ მუდმივად გვქონდა ამაზე საუბრები. ლევანმა შემომთავაზა მონაწილეობა, მითხრა, რომ ყაჩაღი უნდა იყოო და ასე, ძალიან მოკლე დროში გადაწყდა ამ სერიალის გადაღება“.

საკუთარ როლზე:

„მე უფრო დავხვეწდი ჩემს როლს, გავამრავლაფეროვნებდი. შეიძლება 100 პროცენტით დაიხარჯო, მაგრამ მაინც ვერ დადო ის შედეგი, რა მოლოდინიც გაქვს. მაგრამ ვფიქრობ, ცდა ღირდა. მაყურებელი აფასებს, რა გამოდის და რა არა. მე აქამდეც მქონია გამოცდილება ტელევიზიაშიც და თეატრშიც. ჩემთვის ორივე, თავისი მხარეებით ძვირფასია. ამ პროფესიის მილმა მე ვერაფერი სხვა ვერ წარმომიდგენია“.

პირველი სეზონის დასრულების შემდეგ ბევრს კითხვები და გაურკვევლობის გრძნობა დაეუფლა. სერიალის ბევრმა თაყვანისმცემელმა, პირველი სეზონის ბოლო მომენტი რეალურად არ ჩათვალა და სიზმრად მიიჩნია. ასეთმა რეაქციებმა, სერიალის მთავარი გმირი, კახა კინწურაშვილი გააკვირვა.

კახა კინწურაშვილი:

„პირველი სეზონის დასასრული ზოგს სიზმარი ეგონა და მეკითხებოდნენ. ყველაზე მეტად მაგ შეკითხვას არ ველოდებოდი. ეს ძალიან გამიკვირდა. შეიძლება აღიქვა ისე, რომ არ მოკვდება, ან გადარჩება ამილახვარი და ვარაუდი გამოთქვა. მაგრამ როცა გაჩნდა ასეთი ფაქტი, სიზმარი ხომ არ არისო, ჩემთვის ცოტა უცნაური იყო. შეიძლება ეს ვიზუალური კუთხით აღიქვეს სიზმრად. მთავარია, რომ ეს სიზმარი არ არის. მეორე სეზონში უფრო სასტიკი რეალობა იქნება წარმოჩენილი. ციმბირის ბანაკებში ვითარდება სიტუაცია“.

ექსკლუზიური რეპორტაჟი „ტიფლისის“ გადასაღებ მოედნიდან - სერიალის ბოლო სეზონის მნიშვნელოვანი დეტალები

საკუთარ პერსონაჟზე მეორე სეზონში: „სიცოცხლის გაგრძელების სურვილი ყველაზე ნაკლებია ახლა ამ პერსონაჟში. შურისძიების გამო, რომ ვერ შეიკავა თავი და მოკლა ადამიანი და ამ შურისძიებას შეეწირა მისი საყვარელი ადამიანი. ამ შურისძიების გამო დანებებულია. ლუკამ უნდა დაინახოს, რომ ვინმეს სჭირდება მისი დახმარება. მეორე სეზონში იგეგმება დიდი ბატალური ბრძოლები და სახელმწიფოებრიობისთვის საჭირო ამბები გადაწყდება“.

იქვე, სერიალის მეორე მთავარი გმირი, თორნიკე გოგრიჭიანიც შევნიშნეთ. როგორც გავარკვიეთ, მისი გმირი კიტა სრულად შეიცვლება და თითქმის განახლებული სახით წარსდგება მაყურებლის წინაშე. ჟანდარმერიიდან გამოგდებული პერსონაჟი, ლუკასთან ერთად ციმბირში აღმოჩნდება.

თორნიკე გოგრიჭიანი:

„როგორ მოვირგე გმირი ამაზე ლაპარაკი გამიჭირდება, მაგრამ როგორ მოვხვდი მაგაზე გეტყვით. მე და ლევანი ძალიან დიდი ხნის მეგობრები ვართ. საერთო ინტერესები გაგვაჩნდა ყოველთვის და პირველი ნაბიჯებიდან მოყოლებული, „ვეფხისტყაოსნის“ თრეილერის გადაღების მცდელობა რომ იყო, მაგ დროიდან ერთად ვართ. ასევე, ერთად მოვდივართ GDS-ის დაარსების პერიოდიდანაც“.

საკუთარ როლზე: „რაც შეეხება როლს, საინტერესოა იმიტომ, რომ როცა ადამიანი არ გგავს შენ და გიწევს მისი თამაში, ეს უკვე გამოწვევაა. როგორ გამოგდის ამ როლის თამაში, ეს უკვე მაყურებლის გადასაწყვეტია. ზოგადად, არაერთგვაროვანი კომენტარები იყო, ზოგის აზრით, ძალიან თანამედროვე იყო საუბარი სერიალში, მე პირადად ამას არ ვეთანხმები. იგივე ვიკინგებს რომ უყურებ, თანამედროვე ინგლისურად საუბრობენ. სულ არ მაინტერესებს მეტყველება, მთავარი ისტორია და შინაარსია.

ჩემი პერსონაჟის სახე იცვლება. თუ ის აქამდე სისტემის ნაწილი იყო და მისთვის ბევრი რაღაცა ადვილად გაკეთებადი იყო, ახლა ასე აღარ იქნება. პოლიციელი აღარ არის ჩემი გმირი. გამოაგდეს ჟანდარმერიიდან და გაასახლეს ციმბირში. კიტა ებრძვის იმას, რა სისტემაშიც ადრე იყო. ჩემი მეწყვილეც აღარ იქნება პოლიციელი. ვფიქრობ, ეს ტრანსფორმაცია კარგი იქნება. ჩემი გმირი აღარ იქნება ისეთი, როგორსაც ადრე იცნობდნენ, მაგალითად, ქალების მოტრფიალე, ბორდელში მოსიარულე და ფეხებზე მკიდია“.

სერიალის მეორე სეზონში ახალ გმირებსაც ვიხილავთ. მაგალითად, მსახიობი ზაზა სალია ისტორიული პერსონის, ნესტორ კალანდარიშვილის, იგივე ციმბირელი ბაბუას როლს მოირგებს.

ზაზა სალია, (ციმბირელი ბაბუა):

„ლუკა მაისურაძე, მთავარი გმირი ხვდება ციმბირში და ჩემს გმირსაც იქ გაიცნობს. იყო ასეთი ისტორიული პიროვნება ნესტორ კალანდარიშვილი, რომელიც ცხოვრობდა ციმბირში და იქ ეძახდნენ ციმბირელ პაპას. ეს პაპა კი სწორედ ციმბირში გაიცნობს ლუკას. ეს სერიალის ერთგვარი ინტრიგა იქნება, მაყურებელი ვერ მიხვდება თავიდან, ჩემი პერსონაჟი ლუკას ეხმარება თუ პირიქით, ხელს უშლის“.

„სერიალის პირველი დახურული პრემიერა 26 ოქტომბერს IMAX-ში გაიმართება“

სერიალს ორი ახალგაზრდა მსახიობი, ნოდარ ძოწენიძე და ნინო იაშვილიც შეემატებიან. მათი გმირები, მათე და კატო ციმბირში გადასახლებული ახალგაზრდები არიან.

ნინო იაშვილი, (კატო):

„ჩემი პერსონაჟი თავადის შვილია. ბავშვობაში ოჯახი ციმბირში გადაუსახლეს და, შესაბამისად, ისიც იქ აღმოჩნდა. მშობლები დაეღუპნენ და დარჩა მარტო. ერთადერთი ხელობა რაც აქვს, ეს არის სამედიცინო საქმე და ამით ცდილობს, რომ თავი გაიტანოს. ძალიან მძიმე ცხოვრება აქვს“.

ნოდარ ძოწენიძე, (მათე):

„მე და კატოს შორის რაღაც სასიყვარულო ისტორიებიც ვითარდება. ჩემი გმირი არის პატარა ბიჭი, 19 წლის მათე, მაჩხაანიდან. რომელიც პატარა შემთხვევის გამო გადაასახლეს ციმბირში. მათე გლეხის ბიჭია, რომელსაც იმ მაჩხაანის გარდა ირგვლივ არაფერი უნახავს. ჩემს გმირს, ასაკის გამო, ციმბირში სხვა ქართველები ეხმარებიან“.

ორივე მათგანი სერიალში კასტინგის მეშვეობით მოხვდა, ნოდარი ჯერ „ქერჩის“ კასტინგზე იყო მისული, უცბად „ტიფლისის“ ერთ-ერთ მთავარ როლზე რომ დაამტკიცეს. აი, ნინო კი საკუთარი გმირისგან ტიპაჟურად განსხვავდებოდა, თუმცა ამას რეჟისორის არჩევანზე გავლენა არ მოუხდენია.

ნოდარ ძოწენიძე:

„სერიალში ქასთინგის საშუალებით მოვხვდით. მე ვიყავი „ქერჩის“ ქასთინგზე მისული, შემდეგ დამირეკეს, რომ „ტიფლისში“ ერთ-ერთ როლზე განიხილებიო და უნდა მოხვიდეო. მივედი და აქედან დაიწყო ყველაფერი“.

ნინო იაშვილი:

„მეც დამირეკეს, რომ შენც განიხილებიო. ჩემზე პრობლემა შეიქმნა, თუ ნოდარი ტიპაჟურად შეესაბამებოდა როლს, ჩემთან ასე არ იყო. მოხდა ისე, რომ ტიპაჟურად არ ვჯდებოდი მთავარ გმირში. ცოტა რაღაცების გადაკეთება მოგვიწია და არ ვიცი, საბოლოოდ რაღაც გამოვიდა“.

რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, სერიალის რეჟისორი სულ რაღაც 25 წლის ივა ფეზუაშვილი გახლავთ. მისთვის ასეთი მასშტაბური ხასიათის პროექტი პირველია. ბევრი დაბრკოლების მიუხედავად, შეძლო მიეღო ისეთი ხარისხიანი პროდუქტი, რომელიც მთელ საქართველოს აალაპარაკებდა.

ივა ფეზუაშვილი:

„პირველი, რაც დავიწყეთ, ეს იყო ეპოქის შესწავლა. გვაინტერესებდა როგორ ცხოვრობდნენ, რა ეცვათ, როგორც მეტყველებდნენ და ასე შემდეგ. შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე რომ ეპოქის ნატურალიზმი არ გვაწყობდა არანაირად და ეს ემჩნევა მეტყველებასაც. გმირები არ ლაპარაკობენ მე-19 საუკუნის ქართულით, ლაპარაკობენ თანამედროვე ქართულად. ვიღაცისთვის, ეს უხეშია, ვიღაცისთვის არა, მაგრამ ამათ რომ ელაპარაკათ - „რაც გინახავს, ველარ ნახავს“ ენით ბევრად უფრო სასაცილო და მაზალო გამოვიდოდა. იგივე არჩილის სახლის დეკორაცია არ არის ტიპური ქართული სახლი და არის უფრო რაღაც, რანჩოს სტილი. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შენიშვნა იყო, რომ სომეხ ვაჭრებს არ აჩენთ, კინტოებსო. ეს ამბავი ზუსტად იმაზეა, რაც კინტოებს, სომეხ ვაჭრებს და ყარაჩოხელებს მიღმა ხდება. ეგეთი რომანტიკა კარგია, მაგრამ რომანტიკულობა არ არის ამ სერიალის მთავარი დატვირთვა. რეალურად ეს სერიალი აჩვენებს იმას, რაც მაშინ თბილისში ხდებოდა. რა თქმა უნდა, ეს მოგონილია, მაგრამ ისტორიულ რაღაცებზეა მოგონილი“.

„ტიფლისზე“ და ქართულ სერიალებზე: „ასეთი სერიალი, ასეთ ჟანრში და

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზონით დასრულდება“

კახა კინწურაშვილი:
„მე უფრო დავხვეწდი ჩემს როლს“

თორნიკე გოგრიჭიანი:
„ჩემი გმირი აღარ იქნება ქალების მოტრფიალე, ბორდელში მოსიარულე და ფეხებზე მკიდია ტიპი“

EXCLUSIVE

ტიფლისი

ზურა შარაშენიძე:
„მეორე სეზონი, პირველთან შედარებით, იქნება ნამდვილი კინო“

ხარისხში პირველია. არ მინდა ქებადიდება, მაგრამ ვფიქრობ, ასეა. თავიდან „იმედმა“ დაიწყო ტელესერიალები, რომლებიც უფრო მოდეტექტივო და მოძველებიჭო სამყაროზე იყო. თვითონ ეს სამყარო გაქრა და შესაბამისად, გაქრა ასეთ სერიალებზე მოთხოვნა. ასეთი კოსტიუმირებული და ის, რომ ქართველებსაც შეგვიძლია სერიალი, აპრიორში გაამართლებდა“.

საკუთარ თავზე, როგორც რეჟისორზე:

„არ მეგონა თუ კოსტიუმირებულ რაღაცას შევეხებოდი. ასეთი მასშტაბური პროექტი პირველად ავიღე ჩემს თავზე. თავიდან სულ სცენარისტად ვმუშაობდი. პირველი სერია ლევან დაბრუნდაშვილმა გადაიღო და მე ვეხმარებოდი. მეორე სერიიდან უკვე მარტო ვიყავი. თავიდან დავიწყეთ შედარებით რთულად, იმიტომ რომ, ამ ხელა პროექტი ჩემს ასაკში და ამდენი ადამიანის მართვა რთულია. დიდი გამოცდილება არ მქონდა. თავიდან სატელევიზიო გადაცემაზე ვმუშაობდი, „ლეგენდა“ იყო ასეთი და იმის რეჟისორი ვიყავი. თუმცა, ასეთი მასშტაბური არაფერი ყოფილა. აქ ყველა დეტალს ფიქრი უნდა. არასწორი იარაღი ხომ არ უჭირავს, ან ასეთი სიტყვა იმ დროს არსებობდა თუ არა და ასე შემდეგ. ყველაფერს ერთად რომ იწყებ, ძალიან ძნელია. გადაღების დასაწყისში, ერთ დღეში, ერთი სცენის გადაღებას ძლივს ვახერხებდით. შემდეგ ავჩქარდით და როგორც მე დავიხვენე, ისე დაიხვეწა სტაფი და უფრო რთულ რაღაცებს ვეჭიდებით. მგონია, რომ მეორე სეზონში უფრო მეტს ნახავენ.

მთავარია, გადალახონ ფაქტორი, რომ წინა სეზონში ასე იყო და ახლა ასე რატომაა, თუ ეს გადალახეს, ამ ამბავში შემოვიდნენ თავიდან ბოლომდე, ბევრად მეტ მუღამს დაიჭერენ და უფრო საინტერესოც იქნება“.

GDS-ის მარკეტინგის დირექტორი ზურა შარაშენიძე, სერიალის შესახებ ექსკლუზიურ დეტალებს გვიმხელს. როგორც აღმოჩნდა, პოპულარული ქართული დრამის მეორე სეზონი დღის სინათლეს, ძალიან მალე იხილავს.

ზურა შარაშენიძე:

„26 რიცხვში შედგება დახურული ჩვენება IMAX-ში, ეს იქნება არაგახმაურებული ჩვენება. რის შემდეგაც 29-ში არის სახალხო პრემიერა, ესეც IMAX-ში, მხოლოდ ერთი დღე. სატელევიზიო პრემიერა კი, ნოემბრის პირველ ნახევარში იქნება.

ამით იდეაში „ტიფლისი“ სრულდება. თუმცა ყოველთვის, ნებისმიერი ასეთი დრამა სრულდება თუ არა, განაპირობებს ის წარმატება, რომელსაც ის მოიტანს.

თვითონ ისტორია იმდენად განსხვავებულად ვითარდება და ისეთი სიურპრიზი ელოდება მაყურებელს, რომ ძნელი იქნება ტელეეკრანებიდან მათი მოწყვეტა. ვთვლი, რომ პირველ სეზონს ჰქონდა გარკვეული ხარვეზები, იმიტომ რომ, პირველი იყო. მეორე სეზონი მასთან შედარებით ნამდვილი კინოა“.

ასე რომ, სულ მალე პირველი ქართული მასშტაბური სერიალი „ტიფლისი“ ციმბირიდან დაგვიბრუნდება. სერიალის გუნდის თქმით, ეს ბოლო სეზონია. თუმცა, ყველაფერი მაინც მის წარმატებაზეა დამოკიდებული.

P.S. შევხვდებით „ტიფლისში“.

„გმირებს რომ ელაპარაკათ - „რაც გინახავს, ველარ ნახავს“ ენით, სასაცილო და მაზალო გამოვიდოდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ალასანიას მძიმე არჩევანი

ქეთი ხატიაშვილი

NDI-ს კვლევა შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს ირაკლი ალასანიასთვის. მისი რეიტინგი, შეიძლება ითქვას, კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება. კითხვაზე: ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, თქვენი აზრით, რომელი პარტია გაიმარჯვებდა, გამოკითხულთა მხოლოდ 3%-მა დაასახელა „თავისუფალი დემოკრატები“. 3%და ქვევით სოციოლოგიაში ითვლება, რომ პარტია აღარ არსებობს, რადგანაც 2-3% ისედაც ცდომილების ველია სოციოლოგიაში. ანუ ალასანიას შემთხვევაში მინუსს 3% უკვე ნულია. ასე რომ, პოლიტიკაში ის განულებულია.



უფრო ადვილია, თქვა, რომ ეს შავი პიარია და შეკვეთილი წერილი, ვიდრე გულწრფელად ილაპარაკო პარტიაში მიმდინარე პროცესებზე

„ვიღაცებს სურთ, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ წარმოაჩინონ არა როგორც დამოუკიდებელი პარტია, რომელსაც ხელისუფლების შეცვლა შეუძლია“

საარჩევნო ციკლის ასე დაწყება საკმაოდ რთული არჩევანის წინაშე აყენებს პარტიას და პირადად ალასანიას, რომელსაც მოუწევს, მძიმე არჩევანი გააკეთოს.

კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ სკანდალურად წასვლის შემდეგ (ალასანია თავდაცვის მინისტრის პოსტიდან გადააყენეს, მისი გუნდი კი ოპოზიციაში გადავიდა) ის პარტნიორის გარეშე დარჩა და ის ძლიერი ქარიზმაც დაკარგა, რომელიც წლების წინათ, პოლიტიკაში შემოსვლის დროს ჰქონდა. მაშინ დიპლომატიიდან პოლიტიკაში შემოსულ ალასანიას ყველასთვის შეეძლო თამაშის წესები ეკარნახა. მისი რეიტინგი „ბუკვალნო ზაშკალივალა“.

პოლიტიკურ ბრძოლებში მან რეიტინგიც დაკარგა და პოპულარობაც. სხვათა შორის, ალასანია არც პირველია და, ალბათ, არც უკანასკნელი, რომელმაც პოლიტიკურ ველზე მაგნიტის ძალა დაკარგა. მანამდე, სხვათა შორის, ვაკვირდებოდით იგივე „ფორუმის“ გაცილებით ძლიერი რეიტინგის მილევას. თუმცა ეს სულ სხვა ისტორიაა.

ახლა ირაკლი ალასანიას მძიმე არჩევანის გაკეთება მოუწევს. მას უკვე აღარც თამაშის წესების კარნახი შეუძლია და აღარც ელექტორატის რაიმეთი გაოცება და მიზიდვა. ის ან მარტო უნდა გავიდეს არჩევნებზე ან „ნაციონალურ მოძრაობას“ გაურიგდეს. მისთვის ორივე შემთხვევა რთული იქნება.

ნაციონალებთან გარიგება პარტიის დაშლას ნიშნავს. ხმები უკვე გარეთაც გამოდის. მისი პარტიის დანარჩენი ლიდერები ამ გეგმას არ ეთანხმებიან. ცალკე თემაა თავად მიხეილ სააკაშვილის პოზიციაც. როგორც ამბობენ, არც ის აპირებს მასთან პოლიტიკურ პარტნიორობას.

ასეა თუ ისე, ხმები იმის შესახებ, რომ თავისუფალი დემოკრატები რამდენიმე ლიდერმა შეიძლება დატოვოს, შემთხვევით არ აგორდა. ეს ის ფიგურები არიან, რომელიც არჩევნების წინ ნაციონალებთან კოალიციას არ ეთანხმებიან.

ერთი საინტერესო დეტალი: ალასანია ღიად კი აცხადებს, რომ ის დასავლურ ღირებულებებს მთლიანად იზიარებს და რომ მისთვის სიტყვის თავისუფლებაც და დემოკრატიული პროცესებიც ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, მეორე მხრივ, მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას ან მედიაში აგორებულ ხმებს ყოველთვის შეკვეთილს უწოდებს. როგორც ჩანს, ასე უფრო მარტივია.

უფრო ადვილია, თქვა, რომ ეს შავი პიარია და შეკვეთილი წერილი, ვიდრე გულწრფელად ილაპარაკო პარტიაში მიმდინარე პროცესებზე. არადა მაშინ, როცა ირაკლი ალასანიამ ოპოზიციაში წასვლის შემდეგ აღმოაჩინა, როგორი ცუდი ყოფილა მმართველი ძალა და რამდენად „მავნებელია“ თურმე ბიძინა ივანიშვილი, **ვიქტორ დოლიძემ** ერთ-ერთ მედიაგამოცემას ინტერვიუ მისცა, სადაც ბიძინა ივანიშვილის მიმართ დადებით კონტექსტში საუბრობს:

„არაფერს არ გამოვრიცხავ! პირდაპირ გეტყვით, რაც ჩვენსა და ბიძინას შორის ხდება, ჩემთვის ეს სასიამოვნო ნამდვილად არ არის, არც ის არის სასიამოვნო, რომ კოალიცია დაიშალა და „თავისუფალი დემოკრატები“ კოალიციიდან წამოვედით. ჩვენ ბიძინა ივანიშვილთან ერთად ვიბრძოდით და არასოდეს მოვრიდებივართ იმის თქმას, რომ ბიძინა ივანიშვილისა და მისი ფაქტორის გარეშე 2012 წლის 1-ელ ოქტომბერს ქვეყანაში ამგვარი ცვლილებები ვერ განხორციელდებოდა, მაგრამ პოლიტიკური ოპონენტების ფონზე ჩვენ გადავაწყდით იმ უსამართლობას, რომლის წინააღმდეგაც სწორედ ბიძინა ივანიშვილთან ერთად ვიბრძოდით. ეს ჩემთვის ძალიან გულდასაწყვეტია... თუმცა რა ვიცი, რა გითხრათ, ცხოვრებაში, მით უმეტეს, პოლიტიკაში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს...“

ვიქტორ დოლიძე „არაფერს არ გამოვრიცხავ! პირდაპირ გეტყვით, რაც ჩვენსა და ბიძინას შორის ხდება, ჩემთვის ეს სასიამოვნო ნამდვილად არ არის, არც ის არის სასიამოვნო, რომ კოალიცია დაიშალა“

დოლიძის ამ განცხადების შემდეგ, მედიაში „თავისუფალ დემოკრატებსა“ და ივანიშვილს შორის ურთიერთობების შესაძლო დათბობაზეც კი ალაპარაკდნენ.

ამის პარალელურად ირაკლი ალასანია გუნდის ერთობაზე საუბრობს:

„მინდა გითხრათ, რომ ჩვენი პარტია ახლა ისეა შეკრული და ერთიანი, როგორც არასდროს. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს ერთიანი გუნდი საზოგადოებასთან ყოველდღიურ კონტაქტში იყოს“.

უფრო ადვილია, მედიის მოქრთამვაზე ილაპარაკო და არა იმაზე, რატომ აქვს პარტიას ასეთი დაბალი რეიტინგი, რატომ ვერ შეძლო ოპოზიციაში გადასულმა ალასანიამ ელექტორატის მოზიდვა. ამის ახსნას, რა თქმა უნდა, სჯობია, თქვა, რომ ასეთი კითხვებიც და ამ მიმართულებით კრიტიკაც ბინძური შავი პიარია.

NDI-ს კვლევების კრიტიკულად დაბალი მაჩვენებლის პარალელურად ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ ის მზად არის ხელისუფლების ხელში ასაღებად:

„ვიღაცებს სურთ, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ წარმოაჩინონ არა როგორც დამოუკიდებელი პარტია, რომელსაც ხელისუფლების შეცვლა შეუძლია, არამედ წარმოგვაჩინონ, როგორც „ნაცმოძრაობასთან“ კავშირში მყოფი პარტია. ეს, პირველ რიგში, „ოცნებას“ სურს.

ირაკლი ალასანია პარტიაში შექმნილ დაძაბულობას არ იმჩნევს. მას ურჩევნია, თქვას, რომ ბიძინა ივანიშვილი ერჩის. ამით ის საკუთარი პერსონის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

„ამ საკითხთან დაკავშირებით ადგილი აქვს თითიდან გამოწოვილ ინსინუაციებს ივანიშვილის მხრიდან, – აცხადებს იგი, – ნუ ჰგონია ბიძინა ივანიშვილს, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ დაიშლება. ისე, როგორც არასდროს, „თავისუფალი დემოკრატები“ არის ერთიანი, ჩვენ ვძლიერდებით და გუშინ ახალი წევრიც შემოგვემატა, რაც გაგრძელდება. ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას და მზადებას არჩევნებისთვის“.

კი „აჯაზებს“ ალასანია, ბიძინა მებრძვისო, მაგრამ ფაქტია, რომ დავით ზალკალიანმა პარტია უკვე დატოვა. მისივე განმარტებით, ზალკალიანის წასვლა ნახევარი წლის წინათ იყო ცნობილი. შესაძლოა, ასეც იყო, თუმცა მედიამ ამის შესახებ კულუარულად გაიგო.

ისევე როგორც ცნობილი გახდა, რომ ნაციონალებთან გარიგების შემთხვევაში, პარტიას არა მხოლოდ ვიქტორ დოლიძე დატოვებს, რომლისთვისაც ბიძინა ივანიშვილი ფაქტორად რჩება, არამედ ზურაბ აბაშიძე და სხვა ლიდერებიც.

თუმცა, როგორი იქნება პარტიის წარმატება საარჩევნო რინგზე, აქაც დიდი კითხვის ნიშანია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აბრეშუმის გზა - ახალი შესაძლებლობები

ქეთი ხატიაშვილი

აბრეშუმის გზა საქართველოს ახალ და ფართო შესაძლებლობებს უხსნის. ამიტომაც „თბილისში აბრეშუმის გზის ფორუმის“ ჩატარებას განუზომელი დატვირთვა აქვს როგორც ვაჭრობის, ისე ინვესტიციების გაზრდისა და ახალი ურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით. და ეს ცარიელი სიტყვები სულაც არ არის.

„ეს მოვლენები ხაზს უსვამს საქართველოს ტრანსფორმაციას მულტირეგიონალურ სავაჭრო კარიბჭედ, რომელიც აკავშირებს ევროპას, აღმოსავლეთ აზიას, ინდოეთს, ცენტრალურ აზიასა და შუა აღმოსავლეთს“

ჩვენ გარშემო არსებული ეკონომიკური თუ სხვა კრიზისების ფონზე საქართველოს ხელისუფლებამ, ისე ჩანს, თითქოს ერთადერთ სწორ გამოსავალს მიაგნო, როდესაც ჩინეთთან აქტიურად დაიწყო ეკონომიკური ურთიერთობების გაბმა.

ექსპერტების განმარტებით, ჩინეთს 2-3 ტრილიონი დოლარი აქვს და მომგებიან ბიზნესებს ეძებს ამ თანხის დასაბანდებლად. შესაბამისად, შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ძირითადი აქცენტი სწორედ ჩინეთზე გააკეთა და საკმაოდ სერიოზული პროექტების განხორციელება შესთავაზა საქართველოში. მათ შორის, ერთ-ერთი პროექტი ანაკლიის პროექტია. იგივე ექსპერტების განმარტებით, ანაკლია, თავისი მასშტაბით, შავი ზღვის აუზში მძლავრი პორტი იქნება, რომელიც შეძლებს ღრმაწყლოვანი გემების მიღებას. ეს იქნება არამხოლოდ მსხვილი პორტი და შეძლებს ისეთი გემების მიღებას, რომელსაც ამჯერად ფოთი და ბათუმი ვერ იღებენ, ასევე, იქნება თავისუფალი ვაჭრობის ზონაც.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი **ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.** ნავსადგურის ტვირთბრუნვა წელიწადში 100 მილიონი ტონა იქნება. მისით უკვე დაინტერესებულნი არიან უდიდესი ჩინური კომპანიები. რკინიგზის მთავარ მაგისტრალთან პორტის დასაკავშირებლად 20-კილომეტრიანი მონაკვეთია ასაშენებელი და ამ სამუშაოს ქართული მხარე ჩინურ პარტნიორთან ერთად განახორციელებს:

„ძალიან მნიშვნელოვან ინვესტიციებს ველოდებით, პირველ რიგში, ინფრასტრუქტურის მიმართულებით. ჩვენ ახლა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მართვის გამარჯვებულის გამოვლენის ბოლო ეტაპზე ვართ და ზუსტად ეს არის ის შემადგენელი ნაწილი აბრეშუმის გზისა, რომელმაც ჩვენს ქვეყანას დამატებითი და მნიშვნელოვანი როლი უნდა შესძინოს აბრეშუმის გზის განვითარებაში“.

ექსპერტებს შედარებისთვის რამდენიმე ციფრი მოჰყავთ. ანუ ანაკლიაში ნავსადგურის ტვირთბრუნვა წელიწადში 100 მილიონი იქნება. მაშინ როცა ნოვოროსიისკში ეს ციფრი მხოლოდ 5 მილიონს შეადგენს, კონსტანტაში კი – სამ მილიონს.

ექსპერტების განმარტებით, სხვა მსხვილი პროექტების ჩამონათვალში ტყიბულიც არის. ჩინეთი ამითაც დაინტერესდა და სოლიდური ინვესტიციის ჩადებას გეგმავს.

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ფარგლებში, „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციასა“ და უდიდეს ჩინურ კორპორაცია „Dongfang Electric“-ს შორის რამდენიმე შეთანხმება გაფორმდა.

პროექტი, რომელსაც „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ Dongfang Electric-ის დაფინანსებით განახორციელებს, ითვალისწინებს ტყიბულის მუნიციპალიტეტში ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობას. მისი დადგმული სიმძლავრე 150 მგვტ, წლიური გამომუშავება 1 მილიარდ კვტ/ს შეადგენს. პროექტის ჯამური ღირებულება 200 მლნ აშშ დოლარია.

აბრეშუმის გზის იდეა საქართველოსთვის მიმზიდველია, რადგანაც ტრანზიტულ ფუნქციაში ქვეყანა ცენტრალურ და საკვანძო ფუნქციას იტვირთავს. როგორც პრემიერმა აღნიშნა, საქართველო იქნება ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და ეს ქვეყნის ისტორიული ფუნქციაა.

ინფორმაციისთვის:

აბრეშუმის გზის გაყვანა დაკავშირებულია ბერძნული, სპარსული, ჩინური, ინდური, ხმელთაშუა ზღვისპირეთის, შავი ზღვისპირეთის ნაწილის გააქტიურებასთან. აბრეშუმის გზა რუკაზე – ეს გახლავთ ჩინეთი, ინდოეთი, შემდეგ მოდის აზია, რომელსაც გადაკვეთდნენ ხოლმე კასპიის ზღვამდე.

ფორუმი 2-დღიანი იყო. საქართველომ უმასპინძლა ლიდერებსა და მაღალი რანგის ოფიციალურ წარმომადგენლებს 30-ზე მეტი ქვეყნიდან – ავღანეთიდან, სომხეთიდან, ავსტრიიდან, აზერბაიჯანიდან, ბელორუსიდან, ბულგარეთიდან, კანადიდან, ჩინეთიდან, კვიპროსიდან, ჩეხეთიდან, დანიიდან, ფინეთიდან, საფრანგეთიდან, უნგრეთიდან, იტალიიდან, ინდოეთიდან, ირანიდან, ყაზახეთიდან, კორეიდან, ქუვეითიდან, ყირგიზეთიდან, ლატვიიდან, ნორვეგიიდან, პოლონეთიდან, ყატარიდან, რუმინეთიდან, სლოვენიიდან, შვეიცარიიდან, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან, აშშ-დან, თურქეთიდან, თურქმენეთიდან, უკრაინიდან, უზბეკეთიდან. საქართველოში 800-ზე მეტი სტუმარი ჩამოვიდა.

„სულ რამდენიმე კვირის წინ ვეწვიე ჩინეთს, სადაც ძალიან თბილად მიმიღეს. ჩემი ენთუზიაზმი გააათმაგა საქართველოთი დაინტერესებული ბიზნესების მოზღვავებამ. ამ ვიზიტის ფარგლებში გაცხადდა ჩვენს ქვეყანაში ახალი მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებაც.

ეს მოვლენები ხაზს უსვამს საქართველოს ტრანსფორმაციას მულტირეგიონალურ სავაჭრო კარიბჭედ, რომელიც აკავშირებს ევროპას, აღმოსავლეთ აზიას, ინდოეთს, ცენტრალურ აზიასა და შუა აღმოსავლეთს. საქართველოს წყალობით, კერძო პირებსა თუ კომპანიებს მარტივად მიუწვდებათ ხელი მილიარდობით მომხმარებელზე აზიასა და ევროპაში, ხოლო აზიის პროდუქცია და ენერგორესურსები საქართველოს გავლით ბევრად უფრო სწრაფად მიეწოდება ევროპას“, – **განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.**

პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ დანიშნულება არის არა მხოლოდ საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდის, მნიშვნელოვანი როლის ხაზგასმა, არამედ პეკინიდან ბრიუსელამდე ყველასთვის საერთო სარგებლის მოტანა.

ფორუმი ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით ჩატარდა. შესაბამისად, მისი ორგანიზატორი საქართველოს მთავრობა იყო. თანაორგანიზატორი – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, ხოლო მხარდამჭერი – აზიის განვითარების ბანკი.

პრემიერ-მინისტრმა ფორუმის მონაწილეებს აცნობა, რომ საქართველოს ბაზარზე ახალი უცხოელი ინვესტორების მხარდასაჭერად შექმნილია მრავალმილიარდიანი საპარტნიორო და თანაინვესტირების ფონდები. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებითვე, აბრეშუმის გზის გასწვრივ არსებობს საქმიანი თანამშრომლობისა და ვაჭრობის უდიდესი პოტენციალი და ამ გზის ხელახლა დაბადების ძირითადი მამოძრავებელი ძალა ბიზნესია. პრემიერის თქმით, საქართველოს მთავრობა მომავალშიც ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ უზრუნველყოს ინვესტიციების წარმატება და ინვესტორთა მხარდაჭერა.

„ჩემი მთავრობის მიზანია, საქართველოს გადაქცევა აყვავებულ ქვეყნად, რომელიც გონივრულად იყენებს თავის მდებარეობას სასიცოცხლო მნიშვნელობის გზაჯვარედინზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს და ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. მან „აბრეშუმის გზის ფორუმის“ მონაწილეებს მიმართა, რომ მათთვის საქართველოში ინვესტირება ისეთივე უსაფრთხოა, როგორც ევროპის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.

„ჩვენ ახლა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მართვის გამარჯვებულის გამოვლენის ბოლო ეტაპზე ვართ და ზუსტად ეს არის შემადგენელი ნაწილი აბრეშუმის გზისა“

ფორუმში მონაწილე სტუმრების განცხადებით, საქართველო საინტერესო ქვეყანაა თავისი სატრანზიტო პოტენციალითა და ბიზნესის კეთების სიმარტივით. ამასთანავე, ქვეყანაში კორუფციის დაბალი მაჩვენებელია, რაც, მთლიანობაში, მას საინვესტიციო პოტენციალით უცხოელი მეწარმეებისთვის საინტერესოს ხდის.

„ჩემი მთავრობის მიზანია, საქართველოს გადაქცევა აყვავებულ ქვეყნად, რომელიც გონივრულად იყენებს თავის მდებარეობას სასიცოცხლო მნიშვნელობის გზაჯვარედინზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს და ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N41 (342) ორშაბათი, 19 ოქტომბერი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

exclusive

ISSN 1987-7404



9 771987 740005
შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება